

პაპლე ინგოროჟვა.

ძველ-ქართული წარმართული კალენდარი

მე-5--8 საუკუნეების ძეგლებში.

წერილი პირველი.

VI

თვეების ძველ-ქართული სახელები, მათი თანამიმდევრობა
და თარიღები

(გაგრძელება *)

6. «მარჩბივი»-ს ზოდიაკოს თვე.

«ვარდობის თთუც», როგორც გამორკვეული იყო, უდრიდა „კურო“-ს ზოდიაკალურ ნიშანს, იწყებოდა 21 აპრილიდან (როდესაც მზე შედის, „კურო“-ს ზოდიაკოში), ხოლო სრულდებოდა 21 მაისს (როდესაც მზე დასტოვებს „კურო“-ს ზოდიაკოს).

ამ-რიგად, შემდეგი თვის ფარგლები არის «მარჩბივი»-ს (ანუ, რაც იგივეა, „ტყუბი“-ს) ზოდიაკალური ნიშანი, რომელიც უშუალოდ მისდევს „კურო“-ს ზოდიაკოს. ეს შემდეგი თვე მაშასადამე იწყება 22 მაისიდან (როდესაც მზე შედის ამ მომდევნო ზოდიაკოს „მარჩბივი“-ს ნიშანში), ხოლო დასრულდება 21 ივნისს (როდესაც მზე დასტოვებს „მარჩბივი“-ს ზოდიაკოს ნიშანს).

თუ რა სახელწოდებას ატარებდა ძველ-ქართულად ეს თვე, რომელიც „მარჩბივი“-ს ზოდიაკალურ ნიშანს უდრიდა (ე. ი. შეიცავდა ციკლს: 22 მაისიდან 21 ივნისამდე), — გამოურკვეველი რჩება. როგორც ცნობილია, ძველ-ქართული წარმართული კალენდარის

*) იხ. ს ა ქ. მ უ ზ. მ ო ა მ ბ ე ტ. VI, გვ. 373 შდდ.

თვეების სახელწოდებათა ერთი მთლიანი სია არ მოღწეულა; ჩვენ ვიცით მხოლოდ საერთო ზოდიაქალური სისტემა, რომელიც საფუძვლად უდევს ძველ-ქართულს წარმართულს კალენდარს, ხოლო ცალკე თვეების სახელების გამორკვევა გვიხდება სხვადასხვა წყაროებში გაბნეული ცალკეული ცნობების მიხედვით. ხოლო ისეთი ძველ-ქართული ტექსტი, სადაც მოხსენებული იყვის ეს თვე, რომელიც ამ ციკლს (22 მაისი—21 ივნისი) შეიცავდეს, ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა.

სულხან-საბა ორბელიანი ფიქრობდა, რომ ძველ-ქართული სახელწოდება თვისა, რომელიც „მარჩბივი“-ს ზოდიაქალურ წრეს უდგება, იყო: „მარიალი“. მაგრამ სულხან-საბა თარიღის დადგენაში სცდება. როგორც თავის ადგილას იქნება გამორკვეული, «მარიალი» ეს იყო პარალელური სახელწოდება «მიჰრაკანი»-ს თვისა, და სულ სხვა თარიღს შეიცავდა, სახელდობრ ციკლს 19 თებერვლიდან—20 მარტამდე. (იხ. ამის შესახებ ქვემოთ, თავი: „წარმართული ქართული კალენდარის თვეების პარალელური სახელწოდებანი: § 1 «თთუპ მარიალისაჲ»).

7. «თთუპ ქუელთობისაჲ».

ძველ-ქართულ ძეგლებში ჩვენ გვხვდება საკალენდრო ტერმინები „ქუელთობაჲ“ და „თთუპ ქუელთობისაჲ“. პირველი ტერმინი—„ქუელთობაჲ“—აღნიშნავს გარკვეულ დღეს (და არა თვეს). მეორე ტერმინი—„თთუპ ქუელთობისაჲ“, როგორც ამას თითონ სახელწოდებაც გვიჩვენებს, თვეს აღნიშნავს.

ამის მიხედვით, „ქუელთობაჲ“ რაღაც მნიშვნელოვანი დღესასწაულის სახელი ყოფილა, რომლის სახელწოდება გავრცელებულა იმ თვეზე. რომლის ფარგლებშიაც სრულდებოდა ეს დღესასწაული.

თვის სახელის ამნაირი წარმოება, რასაკვირველია, მოულოდნელს არას შეიცავს. გარდა ქუელთობის-თვისა, წარმართული ხანის ზოგიერთი სხვა თვის სახელიც ანალოგიურად არის ნაწარმოები. ასე, ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ არსებობდა წარმართული დღესასწაული „ვარდობაჲ“, ხოლო თვე, რომლის ფარგლებშიაც სრულდებოდა ეს დღესასწაული, იწოდებოდა „თთუპ ვარდობისაჲ“.

ეს პრაღმაცია, თვის სახელების წარმოება მთავარი საკულტო დღეების სახელებიანაა. წარმართული ხანიდან გადმოვიდა ქრისტიანულ ეპოქაშიაც. ასე,—დღეობა იოანეს შობისა 24 ივნისს, აქედან „ივანობის-თვე“; დღეობა „კვირიკობა“—აქედან „კვირიკობის-თვე“; დღეობა „მარიამობა“—აქედან „მარიამობის-თვე“; დღეობა „ენკენია“—აქედან „ენკენიის-თვე“; დღეობა „გიორგობა“ აქედან „გიორგობის-

თვე“ (გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფიაში : „გიორგი-წმიდობისა თთუპ“): დღე „ქრისტეს შობა“—აქედან „ქრისტეს-შობის თვე“.

მაგრამ ანალოგია „ვარდობისა“ და „ქუელთობისა“ შორის კიდევ უფრო შორს მიდის. ისევე როგორც „ვარდობის“ წარმართული დღესასწაული ქრისტიანულ ხანაში ქრისტიანულ კულტს დაუკავშირეს და ასეთი ოდნავი სახე-შეცვლით „ვარდობის“ დღესასწაული ერთხანს კიდევ შეინახა, — „ქუელთობის“ წარმართული დღესასწაულის მიმართაც ამ-რიგადვე მიქცეულან; „ქუელთობის“ დღეობა არ მოსპობილა მაშინვე, არამედ აქაც მომხდარა მისი ნაწილობრივი ქრისტიანიზირება, და ასეთის შეცვლილის სახით იგი კიდევ შეჩენილა ერთხანად.—

თუ სახელდობრ რა დღეობას წარმოადგენდა წარმართულ ხანაში „ქუელთობაჲ“, და რა ცვლილებანი განიცადა მან ქრისტიანულ ეპოქაში, ამ კითხვას ჩვენ ისევ დაუბრუნდებით, აქ კი შევხებით თარიღის საკითხს.

ძველ-ქართული მწერლობის ძეგლებიდან—„თ თ უ ლ ქ უ ე ლ თ ო ბ ი ს ა ჲ“ მოხსენებულია ქრისტეფორეს მარტვილობის პირველ ვერსიაში, ხოლო დღე „ქ უ ე ლ თ ო ბ ა ჲ“ პროკოპის მარტვილობაში.

ჯერ მეორე ძეგლის, პროკოპის მარტვილობის ჩვენებას განვიხილავთ.

პროკოპის მარტვილობის შესავალში ვკითხულობთ:

„წელსა პირველსა დევნულებისა ჩვენისასა, უწინარეს რვისა დღისა ქუელთობისასა“¹.

მოთხრობის ბოლოში ეს თარიღი უფრო სრულად, შემდეგის სახით არის გადმოცემული:

„დღს ოთხშაბათი იყო, მერვს [უწინარეს] ქუელთობისაჲ, უწინარეს რვისა ჟამთა იულისისათა—რომელსა ჰრქუიან ჰრომაებრ, პირველსა წელსა ჩუენისა დევნულებისასა“².

¹) იხ. ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 535, გვ. 175 ხ, და ხელნაწერი სიძველეთა მუზეუმისა № 95, გვ. 951.—აღვნიშნავთ აქვე, რომ ხელნაწერში № 535 ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ორთოგრაფიული თავისებურობანი, კერძოდ დიალექტიზმი—„ო“-ნისა და „უ“-ნის შენაცვლება („დევნოლებისა“, „ქუელთობისასა“ და სხვანი). ქვემოთ ჩვენ ასეთს უბრალო ორთოგრაფიულ ვარიანტებს აღაო აღვნიშნავთ.

²) იხ. ხელნაწერი № 535, გვ. 176ხ, და ხელნაწერი № 95, გვ. 953.—

პირველ ხელნაწერში (№ 535-ში), რომელიც ძირითადად ხელნაწერს წარმოადგენს, ტექსტიდან: „და დღს ოთხშაბათი იყო, მერვს [უწინარეს] ქუელთობისაჲ, უწინარეს რვისა ჟამთა იულისისათა—რომელსა ჰრქუიან ჰრომაებრ, პირველსა წელსა ჩუენისა დევნულებისასა“—გამოშვებულია პირველ შემთხვევაში სიტყვა

რომ შესაძლო გახდეს ამ თარიღების განმარტება, საჭიროა შევესოთ პროკოპის მარტვილობის უცხოურ ვერსიებს.

პროკოპის მარტვილობა — ბერძნულს, ლათინურს და აღმოსავლურს ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ჩვეულებრივ მიეკუთვნება ივლისის თვეს (8 ს ან 7-ს რიცხვს) და მხოლოდ ორს ვერსიაში (ერთ

„უწინარეს“ (ე. ი. იმ ადგილას, სადაც სწორი ფრჩხილებით [] გვაქვს ნაჩვენები). ამოიგად ჩვენ პირველ ნაწილში ვლებულობთ ფრაზას: „მერვპ ქუელთობისაჲ“, იმ დროს, როდესაც უნდა ყოფილიყო: „მერვპ უწინარეს ქუელთობისაჲ“. რომ აქ საქმე გვაქვს გადამწერის შეცდომასთან, და რომ ტექსტი თავდაპირველად ამოიგად იკითხებოდა: „მერვპ უწინარეს ქუელთობისაჲ“ (და არა: „მერვპ ქუელთობისაჲ“), ეს მტკიცდება მოთხრობის შესავლიდან, სადაც ორთავე ხელნაწერში ეს თარიღი „უწინარესობის“ ჩართვით არის წარმოდგენილი: „უწინარესობისა დღისა ქუელთობისაჲ“.

თუ რა-გზით წარმოსდგა აქ ტექსტის დამახინჯება, ადვილი ასახსნელია. ხელნაწერი № 1151 მეთუ საუკუნეს ეკუთვნის, ხოლო მეთუ საუკუნეში ძველი კალენდარული ტერმინოლოგიის ცოდნა საფუძვლიანად გადავიწყებული იყო. და ის გარემოება, რომ ტექსტში აქ ორგზის გვხვდება სიტყვა „უწინარეს“, — გადამწერს ეს გახსენდება შეცდომად მიუჩნევია და ერთი „უწინარეს“ ტექსტიდან ამოუგდია.

მაინც, ხელნაწერში № 1151, დაზიანებულია მხოლოდ ერთი სიტყვა. და ტექსტი იმ რიგად არის მოღწეული, რომ პირვანდელი სახის ამოცნობა და ნანდვილი წაკითხვის აღდგენა აი წარმოადგენს სიძნელეს, მით უფრო რომ შესავალში იგივე თარიღი ოოჯერ არის სწორად განმეორებული.

ხოლო რაც შეეხება მეორე ხელნაწერს (№ 95). აქ ტექსტი სრულებით შერყენილია, და რომ ჩვენამდე არ ღწნახულყო ხელნაწერი № 95, ტექსტის აღდგენა საძნელო იქნებოდა. ამ მეორე ხელნაწერში № 95 ტექსტი შემდეგნაირად იკითხვის: „ესე რყო რვასა ქუელთობისასა, დღესა ოთხშაბათსა, უწინარეს რვისა ივლისისათა, წელსა ჩუენისა დევნულებისასა“. როგორც ვხედავთ, გადაიწერს აქ გადაუცეთებია მოელი წინადადება და თან რამდენიმე მძიმე შეცდომა დაუშვია. (ჯერ ერთი, აქაც გამოწვეებულია ერთხელ სიტყვა „უწინარეს“; ამას გარდა, გადამწერს აი სკოდნია მნიშვნელობა ძველი კალენდარული ტერმინისა „ჟამი“. რაც რომაულ „იდებს“ უდრის და ნაცვლად სრულიად ნათელი ფრაზისა — „უწინარეს რვისა ჟამთა ივლისისათა“ იგი სწერს: „უწინარეს რვისა ივლისისათა“, ე. ი. გამოწვეებულია სიტყვა „ჟამთა“, ანუ „იდები“. რის გამო დათარღდება ჰვარგავს აზრს. ამას გარდა, ფრაზაში — „პირველსა წელსა ჩუენისა დევნულებისასა“, გამოწვეებულია სიტყვა „პირველსა“). რომ ხელნაწერში № 95 ტექსტი აი ადგილას დაზიანებულია და შეცვლილი, ეს სჩანს არა მარტო შედარებიდან ჩვენ ძირითად ხელნაწერთან (№ 95), არამედ ამას ადასტურებს ბერძნული ორიგინალიც. საიდანაც თარგმნილია ქართული ტექსტი. და რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

აქ კი საჭიროდ უნდა იქნებოდეს კიდევ მანც ვახსენოთ იმ გარემოებას, რომ მეცხოვრებოც საუკუნის ქართული ხელნაწერები ერთ-ერთი მახასიათებელი იქნის. რომ წარმოადგენს ქართული კალენდარი უცხოელი ხანის გადამწერის წარმოად-

ასურულ ტექსტში და ევსები კესარიელის მოთხრობაში) ივლისის თვეს, 7 რიცხვს¹.

ფიქრობენ, ზოგიერთ მოსაზრებათა გამო, რომ ივლისის თვე, რომელიც გვხვდება ზემოთ-დასახელებულ ორ ვერსიაში, წარმოადგენს შემდეგ-დროინდელ გადამწერთა უბრალო შეცდომას ივლისის ნაცვლად²; მაგრამ ამის განხილვაში აქ არ შევდივართ, და ჩვენი საკითხისათვის ეს არც არის საჭირო; ქართულს დედანში, როგორც ენახეთ, პირდაპირ დასახელებულია ივლისის თვე, და მაშასადამე ქართული მოთხრობა ამ შემთხვევაში უდგება ჰაგიოგრაფიული ძეგლების იმ უმრავლესობას, რომლებიც პროკოპის წამების თარიღად ივლისის თვეს უჩვენებენ.

ამას გარდა, როგორც აღვნიშნეთ, მცირეოდენი მერყეობაა თვის რიცხვში. ჰაგიოგრაფიული ძეგლების უმრავლესობა აღნიშნავს 8 ივლისს, ხოლო უფრო იშვიათად გვხვდება 7 ივლისი³.

გადავიდეთ, ამის შემდეგ, ქართული მოთხრობის თარიღების

გენდა. მეცხრე-მეათე საუკუნის ხელნაწერების შესწავლა ადასტურებს, რომ ამ დროს უკვე ძველი ქართული კალენდარის სისტემის შესახებ აღარავითარი წარმოდგენა აღარ ჰქონდათ; მეცხრე-მეათე საუკუნის გადამწერნი ძველ-საკალენდარო ფორმულებს და გამოთქმებს მხოლოდ მექანიკურად იწერენ და იმეორებენ, და ზოგჯერ შეაქვთ ისეთი „შესწორებანი“, რაც ტექსტს სრულიად ამახინჯებს. ამის შესახებ ჩვენ უკვე ჩქონდა საუბარი ამ გამოკვლევის მეოთხე თავში, და აქ, რაკი სიტყვამ მოიჭანა, აღვნიშნავთ კიდევ ერთს ამის მაგალითს. ჩვენამდე მიღწეულა ძველ-ქართული მწერლობის ერთი ძეგლი, რომელსაც ეწოდება „პოვნაჲ სტეფანისი“; ეს თხზულება მოთავსებულია ჩვენს ძირითად ხელნაწერშიაც (№ 115) და თარიღი მოთხრობის ტექსტში სწორად არის აქ აღნიშნული წარმართული კალენდარის ტერმინით: „თთუესა აპნისისა სამსა“. (ხოლო ორს მეათე საუკუნის ხელნაწერში (სიძველეთა მუზეუმისა № 19) და ათონისა № 57) ეს თარიღი ასეა შესწორებული: „თთუესა აპრილისა სამსა“. როგორც ირკვევა, გადამწერლებს არათუ არ სცოდნიათ „აპნისის“ თვის თარიღი (ქართული კალენდრის რიცხვები არ უდრის რომაულს), არამედ ისიც კი არ სცოდნიათ, რომ საერთოდ „აპნისი“ წარმოადგენდა თვის სახელს, და ეს უცნობი ტერმინი „თთუესა აპნისისა“ მათ გაუგიათ როგორც დამახინჯება ნაცნობი თვის სახელისა „თთუესა აპრილისა“ (როგორც მკითხველმა უკვე იცის, აპნისის თვეს აოაჟერი აქვს საერთო აპრილთან: აპნისისის თვე, ზოდიაქალური ქრონოლოგიის თანახმად, შეიცავდა რკალს 20 იანვარიდან - 18 თებერვლამდე. იხ. ამის შესახებ ზემოთ, მე-6 თავის § 2: „თთუჲ აპნისისაჲ“, გვ. 435-437, „საქ. მუხ. მოამბე“, ტ. VI).

¹) იხ. *Acta Sanctorum, Iulii II* (die octava Iulii).—Bruno Violet, *Die Palästinischen Martyrer des Eusebius von Cäsarea*, Lpz. 1896.—Сеприй, *Полный Месяцеслов Восточна*, ტ. II, ნაწილი II, გვ. 259-60.

²) იხ. იგივე წყაროები.

³) იხ. იგივე წყაროები.

განმარტებაზე. ქართულ მოთხრობაში, როგორც ვნახეთ, თარიღი ორნაირად არის აღნიშნული:

ქართულის სათვალავით: უწინარეგს რვისა დღისა ქუელთობისა (მოთხრობის შესავალში და მოთხრობის ბოლოს).

რომაულის სათვალავით: „უწინარეგს რვისა ჟამთა იულისისათა, რომელსა ჰრქუიან ჰრომაებრ“ (მოთხრობის ბოლოს).

ჯერ რომაული თარიღის განმარტებას წარმოვადგენთ.

მკითხველს, რომელიც არაა გაცნობილი ძველი კალენდრის ტექნიკას, შესაძლოა უცნაურად ეჩვენოს ეს ფორმულა: „უწინარეგს რვისა ჟამთა იულისისათა, რომელსა ჰრქუიან ჰრომაებრ“.

ძველ რომაულ კალენდარში, როგორც ცნობილია, მიღებული იყო „უწინარესობით“ აღრიცხვა თვის გარკვეული დღებიდან, რომელთაც ეწოდებოდა: კალენდები, ნონები და იდები.

კალენდები—Calendae (—ეს სიტყვა შემოსულია ქართულშიც, ფორმით: „კალანდა“-¹)—ნიშნავდა ყოველი თვის 1-რიცხვს.

ნონები—Nonae—უწევდა თვის 5-სა და 7-ს რიცხვებში (სხვადასხვა თვეში სხვადასხვანაირად).

იდები—Idus—უწევდა თვის 13-სა და 15 რიცხვებში (სხვადასხვა თვეში სხვადასხვანაირად).

ამ თარიღებიდან სწარმოებდა „უწინარესობით აღრიცხვა“:

ასე, მაგალითად, რიცხვი 25 ივნისი აღინიშნებოდა ამ-რიგად: „უწინარეს 7-სა კალანდათა იულისისათა“;

რიცხვი 9 ივნისი ამ-რიგად გამოიხატებოდა: „უწინარეს 5-სა იდთა იულისისათა“.

რიცხვი 2 ივნისი აღინიშნებოდა ასე: „უწინარეს 4 სა ნონათა იულისისათა“.

ეს აღრიცხვა კალენდა—ნონა—იდებით, რომელიც ძველს ეპოქაში იყო მიღებული, თანდათან გამოდის ხმარებიდან საშუალ-საუკუნეთა დასაწყისში, და მის ნაცვლად ვრცელდება ჩვეულებრივი აღრიცხვა (ე. ი. იმგვარი, როგორიც ეხლაა მიღებული: 1 იანვარი, 2 იანვარი და სხვა). ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ამ უფრო გვიან ხანაში ხმარობდნენ ძველებურს კალენდა—ნონა—იდების ფორმოებს, მას ჩვეულებრივ უმატებდნენ ხოლმე ასეთს სტერეოტიპულ ფრაზას: „რომელსა ჰრქუან ჰრომაებრ“ (ე. ი. როგორც ეს ითქმის

¹) ქართულს ეს სიტყვა, როგორც მოსალოდნელი იყო, შეუთვისებია ბერძნულს საშუალებით, რასაც გვიჩვენებს ფორმა „კალანდაჲ“ რაც უდგება ბერძნულს გამოთქმას καλάνδα და არა ლათინურს Calendae.

რომაულად, ლათინურად); მაგალითად: *Septima Iulii mensis, quae Nonas Iulias dicitur apud Latinos*¹.

რომაული კალენდარის ფორმულა „უწინარესობით“ აღრიცხვისა კალენდა—ნონა—იდებით ჩვენ გვხვდება ლათინური („პრომაული“) მწერლობის გარეშეც, მაგალითად ბერძნულ ლიტერატურაში, და აქაც ასეთ ფორმულას ჩვეულებრივ დაემატებოდა ხოლმე იგივე სტერეოტიპული ფრაზა: „რომელსა ჰქვან ჰრომაებო“. მაგალითად: $\pi\alpha\rho\chi\ \acute{\epsilon}\pi\alpha\chi\ \epsilon\iota\acute{\zeta}\epsilon\upsilon\ \text{Ιουλίαν λ᾽ἔχουσιν}$ ἢ $\pi\alpha\rho\chi\ \text{Ρωμαιοί}$ — „უწინარეს 8-ისა იდთა ივლისისათა, რომელსა ჰქვან ჰრომაებო“.

აღსანიშნავია, რომ რომაული ფორმულა „უწინარესობით“ აღრიცხვისა, სტერეოტიპული ფრაზის დამატებით: „რომელსა ჰქვან ჰრომაებო“ ჩვენ გვხვდება ძველი ქართული მწერლობის ძეგლებშიც; ასე მაგალითად პავლეს ეპისტოლეთა ძველ-ქართული ტექსტის შესავალში ჩვენ ვკითხულობთ:

„მარტურობაჲ პავლე მოციქულისაჲ . . . რომელსა ჰქვან ჰრომაებო—უწინარეს სამთა კალანდათა ივლისისათა“².

დაუბრუნდეთ ამის შემდეგ ჩვენ ტექსტს. პროკოპის მარტვილობა, როგორც აღვნიშნეთ, ასეა დათარიღებული:

„უწინარეს რვისა ჟამთა ივლისისათა, რომელსა ჰქვან ჰრომაებო“.

ტექსტი, როგორც ვხედავთ, ძველი რომაული კალენდარის ჩვეულებრივს ფორმულას შეიცავს და მისი საერთო წყობა გასაგებია. აქ მხოლოდ გამოსარკვევი რჩება, თუ რას ნიშნავს ტერმინი: „ჟამი“.

„ჟამის“ მნიშვნელობის დადგენა შესაძლებელი ხდება ქართული მოთხრობის უცხოური პარალელების მიხედვით.

უშუალო დედანი, საიდანაც თარგმნილია პროკოპის მარტვილობის ტექსტი, თუმცა ცნობილი არაა, მაგრამ ზოგ უცხოურ ვერსიაში შენახულა თარიღის ფორმულის იმნაირი ზუსტი შეხვედრა, რაც გვიჩვენებს, რომ ქართული და ზოგიერთი უცხოური ვერსიები ერთი და იმავე პირველწყაროსაგან არიან დამოკიდებული.

ასე, ევსები კესარიელის მოთხრობაში ჩვენ გვაქვს შემდეგი თარიღი:

1) იხ. *Acta Sanctorum, Iulii II* (die octava Iulii), გვ. 576.

2) იხ. ხელნაწერები წერა-კითხვის საზოგადოების კოლექციისა N° 407 (გვ. 31) და N° 1138 (გვ. 4).

„... πρὸ ἐκτὸς ἐξῆναι Ἰουλίῳ, λένει· ἢ πρὸ Παυλίῳ, ἡμέ-
ρῃ τετράτῃ σάββατον ἑστῶν ἐπὶ Κωνσταντίνῃ καὶ Παλατιῶν...“
(ე. ი. „უწინარეს 7-სა იდთა იულიისისათა—რომელსა ჰრქუიან
ჰრომაებრ, ოთხეულსა შაბათისასა, პირველსა წელსა ჩუენისა დევნუ-
ლებისასა, ეს პირველი ნიშანი აღესრულა პალესტინის კესარიასა
შინა“).¹

შეადარეთ ამ ბერძნულ ორიგინალს ქართული მოთხრობის
ტექსტი:

„დღს ოთხშაბათი იყო... უწინარეს რვისა ჟამთა ივლისისა-
თა—რომელსა ჰრქვან ჰრომაებრ, პირველსა წელსა ჩუენისა დევნუ-
ლებისასა, ესე პირველად პოეს კესარიას წაშებაჲ“.

აშკარაა, რომ ორთავე ტექსტი, ბერძნული და ქართული,
ერთსა და იმავე პირველწყაროს იმეორებს: ორსავე ტექსტში გვხვ-
დება „ოთხშაბათი“, უწინარესობით აღრიცხვა, გამეორებულია სტე-
რეოტიპული გამოთქმაც—„რომელსა ჰრქუიან ჰრომაებრ“ და სხვა-
ნი. განსხვავებაა მხოლოდ რიცხვში: ქართულში ნაჩვენებია 8 რი-
ცხვი, ხოლო ევსების ტექსტში 7; მაგრამ ამას არსებითი მნი-
შვნელობა არა აქვს და ცხადია ეს სხვაობა გადაწერის შეცდომას
წარმოადგენს ან ქართულში, ან ბერძნულში. (რაკი სიტყვამ მოი-
ტანა, აღვნიშნავთ, რომ ქართული დედნის რიცხვი 8 საფიქრებე-
ლია უფრო სწორი უნდა იყოს, რადგან იგი უდგება ჰაგიოლოგიურ
ძეგლთა უმრავლესობის ჩვენებას).

ამ-რიგად, ჩვენ მოგვეპოვება ქართული ტექსტის უშუალო პი-
რველწყარო, და ამის თანახმად ქართული დედნის ფორმულა—„უწი-
ნარეს რვისა ჟამთა ივლისისათა“ უდრის ბერძნულ—რომაულს:
„უწინარეს რვისა იდთა ივლისისათა“. „ჟამი“ უდრის „იდებს“.

ისტორია ტერმინისა „იდები“ (Idus) ასეთია. Idus, როგორც
ირკვევა, ხმარებაში შემოსულა იმ უძველეს ხანაში, როდესაც ჯერ
კიდევ არ იყო შემოღებული მზის უძრავი კალენდარი და დროის
აღრიცხვა მთვარის მოქცევისათან იყო შეფარდებული. Idus თავდაპი-
რველად აღნიშნავდა მთვარეს და მთვარის თვეს². მთვარის
კალენდარში, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული მნიშვნელობა
ჰქონდა მთვარის გავსებას, რადგან მთვარის თვის შუა რიცხვს
აღგენდენ და ამოწმებდენ იმის მიხედვით, თუ როდის გაივსებოდა

¹) იხ. Bruno Violet, Die Palästininischen Martyrer des Eusebius von Cäsarea, Lpz., 1896,—(კერაოდ „იქნისის“ და „ივლისის“ შენაცვლების შესახებ იხ. ზემოთ. გვ. 263-264).

²) იხ. A. Walde, Lat. Et m. Wört. (s. v. Idus).

მთვარე. (დრო მთვარის დაბადებიდან ვიდრე გავსებამდე ეს არის მთვარის თვის პირველი ნახევარი, ხოლო დრო მთვარის გავსებიდან ვიდრე მისი ცხრომის ბოლომდე—ეს არის თვის მეორე ნახევარი). იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რომელსაც წარმოადგენდა ეს თარიღი მთვარის კალენდარის აღრიცხვის წარმოების დროს, Idus სპეციალურად დარქმევია მთვარის გავსებას და მთვარის თვის შუა რიცხვს.

შემდეგ, როდესაც მთვარის კალენდრის ნაცვლად მზის უძრავი კალენდარი იქმნა შემოღებული, ეს ტერმინი Idus ახალ კალენდარსაც შერჩა როგორც terminus technicus და აღნიშნავდა ცნებას: თვის შუა რიცხვი.

ამის შემდეგ ჩვენ შევხებით ისტორიას ქართული ტერმინისა: „ქამი“.

პირველადი მნიშვნელობა ტერმინისა „ქამი“ დღემდე გამოუკვეველი იყო. ტერმინი „ქამი“ ჩვენ გვხვდება როგორც დედა-ქართულში, ისე ქართულის ენა-კავებში, მეგრულსა და ქანურში¹.

ტერმინი „ქამი“ ქართულში ნიშნავს ზოგადად დროს, და ვიწრო მნიშვნელობით საათს. ასეთი მნიშვნელობა ტერმინისა ქამი (—„დრო“ და „საათი“) დამოწმებულია ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში—დაბადებაში, სახარებაში, შუშანიკის მარტილობაში, და მაშასადამე მე-5 საუკუნეზე უწინარეს დრომდე აღწევს.

მაგრამ პირველადი მნიშვნელობა ტერმინისა „ქამი“ სჩანს სხვა ყოფილა. იგი თავდაპირველად აღნიშნავდა მთვარის თვეს, ე. ი. 30-დღიან წრეს. ამის შესახებ დაცულია მეტად საგულისხმო გადანაშთი ძველ-ქართულს საკალენდარო ტრაქტატში № 38.

აქ ჩვენ გვხვდება ასეთი ცნობები:

პირველი: „მარტისა ოცსა განისწორნიან დღენი და ლამენი... აწ იწყო ჯობნებად დღემან ლამესა ოთხმოც-და-ათერთმეტ დღე, რომელ არს სამ ქამ და ერთ დღე“².

მეორე ცნობა:

„ივნისსა ათცხრამეტსა... იწყო უკუმოლებად ლამემან დღისა-

¹) სხვა კავკასიურ პარალელებს ამ-ქამად აქ არ ვხვებით. ეს სიტყვა, როგორც ცნობილია, გვხვდება სომხურშიაც. იგი არ არის ინდოგერმანული ძირის სიტყვა, და ამის მიხედვით იგი სომხურში ან პირდაპირ ნასესხებია ქართულიდან, ან-და ეკუთვნის ქართულ-კავკასიურ ენათა საერთო ძირითადს საუნჯეს, იაფურ ფენს.

²) იხ. გვ. 240.

2) об. 83. 241.

იქნება მოვიგონოთ ერთი ტექნიკური დეტალი: იდებით, ნონებით და კალენდებით აღრიცხვის დროს მიღებული იყო როგორც სრული, ისე შემოკლებული ფორმულები. აი მაგალითები სრული და შემოკლებული ფორმულებისა¹.

სრული ფორმულები:
ante diem V Kalendas Iulias

(= „უწინარეს 5-სა დღისა კალანდათა ივლისისათა“)

ante diem V Nonas Iulias

(= „უწინარეს 5-სა დღისა ნონათა ივლისისათა“)

ante diem V Idus Iulias

(= „უწინარეს 5-სა დღისა იდთა ივლისისათა“)

შემოკლებული ფორმულები:

ante V Kalendas Iulias

(= „უწინარეს 5-სა კალანდათა ივლისისათა“)

ante V Nonas Iulias.

(= „უწინარეს 5-სა ნონათა ივლისისათა“)

ante V Idus Iulias

(= „უწინარეს 5-სა იდთა ივლისისათა“)

ამ-რიგად, შემოკლებულ ფორმულებში სიტყვა „დღე“ არ იწერება, არამედ იგულისხმება.

მაშასადამე პროკოპის მარტვილობის როგორც ქართულს, ისე შესათარდ ბერძნულს ტექსტში ჩვეულებრივი შემოკლებული ფორმულა გვაქვს, და გამოთქმა: „უწინარეს რვისა ეამთა ივლისისათა“ ნიშნავს: „უწინარეს რვისა [დღისა] ეამთა ივლისისათა“.

ხოლო რაკი ივლისის „იდები“ ანუ „ეამი“, რომაული კალენდარის თანახმად, მიმაგრებული იყო 15 ივლისს, მაშასადამე ქართული მოთხრობის თარიღი: „უწინარეს რვისა [დღისა] ეამთა ივლისისათა“—ეს ნიშნავს: „15 ივლისზე მერვე დღით ადრე“—ე. ი. უდრის 8 ივლისს.—და მართლაც, როგორც ვნახეთ; ეს დღე, 8 ივლისი, მიღებულია პაგიოლოგიურ ძეგლებში პროკოპის ხსოვნის აღსანიშნავად. ამ-რიგად აქ ჩვენ გვაქვს თარიღების ზუსტი შეხვედრა.

ჩვენ ამით დავასრულებთ პროკოპის მარტვილობის რომაული თარიღის განხილვას.—

გადავიდეთ ამის შემდეგ მეორე, ქართულ თარიღზე.

პროკოპის მარტვილობაში, როგორც აღნიშნული გვქონდა, გარდა რომაულისა, თარიღი ხაჩვენებია ქართულის სათვალავითაც, რომელიც აქ ორჯერ არის განმეორებული; მოთხრობის შეაჯვალში: „წელსა პირველსა დევნულებისა ჩუენისასა, უწინარეს რვისა დღისა ქუელთობისასა“; მოთხრობის ბოლოს: „დღე ოთხშაბათი იყო, მერვეც უწინარეს ქუელთობისაჲ“.

¹) შდ. W. Kubitschek, Grundriss der antiken Zeitrechnung. München 1928. გვ. 135.

ეს პირველი მაგალითია ქართულს კალენდარში, როდესაც ჩვენ გვხვდება „უწინარესობით“ აღრიცხვა გარკვეული უძრავი დღიდან. მართალია, როგორც ეს ზევით გამოიკვეთა, „უწინარესობით“ აღრიცხვა ქართულს მწერლობაში მიღებული ყოფილა, მაგრამ ზემოთ-განხილული მაგალითები მაინც სულ სხვა ხასიათისა იყო; იქ თარიღები რომაული კალენდარიდან იყო აღებული, „უწინარესობა“ იქ რომაული საკალენდარო მთლიანი ფორმულის ნაწილს შეადგენდა. და ამ-რიგად იქ საქმე გვქონდა მთლიანი რომაული ფორმულის უბრალო თარგმანთან.

ხოლო მეორე შემთხვევა, რომელიც აქ უნდა განვიხილოთ, სულ სხვა ხასიათისაა; აქ „უწინარესობა“ უკვე საკუთრივ ქართულ წარმართულ კალენდარში გვხვდება, თარიღი ნაჩვენებია ქართული წარმართული კალენდარის გარკვეული ფიქსირებული უძრავი დღიდან: „ქუელთობის“ დღეობიდან.

ამიხ გამო სიფრთხილე გვაგალებს დავსვათ ასეთი საკითხი: მიღებული იყო თუ არა წარმართულ ქართულ კალენდარში „უწინარესობით“ აღრიცხვა, და კერძოდ რას წარმოადგენს პროკოპის მარტვილობის ეს ადგილი, — არის იგი უცხოური თარიღის თარგმანი ან უცვლელი განმეორება, თუ უცხოური თარიღი აქ ქართული კალენდარის სათვალავზეა გადაყვანილი. (უნდა გვახსოვდეს, რომ მეორე ხასიათის შემთხვევა ხშირს, შეიძლება ითქვას ჩვეულებრივს მოვლენას წარმოადგენდა ქართულს ჰაგიოგრაფიულს მწერლობაში: ტექსტის თარგმნის დროს უცხოურ თარიღებს კი არ იმეორებდნენ პირდაპირ, არამედ ქართული კალენდარის სათვალავზე გადაჰყავდათ).

აქ აღძრულ საკითხზე შესაძლოა გარკვეული პასუხის გაცემა:

1. პროკოპის მარტვილობის ეს თარიღი არ წარმოადგენს უცხოური ტექსტის პირდაპირ განმეორებას ან თარგმანს. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაჩვენებელია მოთხრობის შესავალი. ქართული მოთხრობა შესავალში იძლევა ქართულს თარიღს, რომელიც „უწინარესობით“ არის გაანგარიშებული, ხოლო უცხოური ვერსიების (ბერძნულის, ლათინურის და ასურულის) შესავალში, არათუ ანალოგიური თარიღი, რომელიც გარკვეულს უძრავს დღეს უჩვენებდეს, არამედ საერთოდ „უწინარესობით“ აღრიცხვა არ მოიპოვება¹. ცხადია ქართველი მწერალი აქ დამოუკიდებლად იძლევა გაანგარიშებას ქარ-

¹) იხ. Acta Sanctorum, Iulii II (die octava Iulii), გვ. 556-576 (ტექსტები ლათინური და ბერძნული). B. Violet, Die Palästinischen Martyrer des Eusebius von Cäsarea, Lpz., 1890 (ტექსტები ასურული, ლათინური და ბერძნული).

თული კალენდრის საფუძველზე იმ თარიღისას, რომელთანაც პროკოპის ხსოვნა იყო დაკავშირებული.

2. რომ ქართულ კალენდარში, გარდა ჩვეულებრივი სათვალავისა, ე. ი. თვეების რიცხვის ჩვენებისა, მიღებული იყო „უწინარესობით“ აღრიცხვაც, თვლა გარკვეული უძრავი დღეებიდან, ეს მტკიცდება სხვა ძველ-ქართული ტექსტებიდანაც. ასე, ათონურ ცნობილს კრებულში № 57 ჩვენ გვხვდება ანალოგიური დათარიღება: „უწინარესისა რვისა დღისა ვარჯობისა“¹. როგორც ვხედავთ, ანალოგია აქ სრულ პარალელიზმამდე მიდის: ჯერ ერთი, ორსავე შემთხვევაში თარიღი ნაჩვენებია „უწინარესობით“, და ამას გარდა ორსავე შემთხვევაში თარიღის გამოსავალ წერტილად აღებულია გარკვეული დღეობა ანუ დღესასწაული: პირველ შემთხვევაში „ვარდობა“, მეორე შემთხვევაში „ქუელთობა“.

3. რომ ქართული წარმართული კალენდარისათვის საერთოდ არ იყო უცხო „უწინარესობით“ აღრიცხვა, რომაული კალენდარის მსგავსად, ეს მტკიცდება იმის მიხედვითაც, რომ ძველ-ქართულ მწერლობაში შერჩენილა ადგილობრივი ქართული არქაული ტერმინი „ჟამი“, რაც, როგორც გამოირკვა, უდრიდა რომაულს „იღები“, და რომელიც „უწინარესობით“ აღრიცხვის ერთ-ერთ გამოსავალ თარიღს წარმოადგენდა.

ამ-რიგად საკითხი „უწინარესობით“ აღრიცხვის არსებობისა ძველ-ქართულ წარმართულ კალენდარში, და კერძოდ ჩვენი ტექსტის ავტენტიურობა, დადებითად სწყდება.

ამის შემდეგ დაგვრჩენია პასუხი გავცეთ შემდეგს საკითხებს: 1. რომელ რიცხვში უწევდა „ქუელთობის“ დღე; 2. რა კულტთან იყო დაკავშირებული ეს „ქუელთობის“ დღე; 3. რა ფარგლებს შეიცავდა „ქუელთობის“ თვე.

1. „ქუელთობის“ დღე უწევდა 15 ივლისს. ეს სრულიად უდავოდ ირკვევა მოთხრობაში წარმოდგენილი რომაული და ქართული თარიღების შეფარდებიდან: ქუელთობის დღე აქ პირდაპირ ნაჩვენებია ივლისის იღებში, ე. ი. 15 ივლისს. ეს ერთი. ამას გარდა მოთხრობაში აღნიშნულია, რომ პროკოპის მარტვილობა მოხდა ქველთობის რვა დღით ადრე; ხოლო რადგან პროკოპის მარტვილობას ჰაგიოლოგიური მწერლობის სხვადასხვა ძეგლები ათარიღებენ 7—8 ივლისით, მაშასადამე ამ მეორე ანგარიშითაც ჩვენ ვღებულობთ

¹) იხ. ნ. მარჩის აღწერილობა, Агиографические материалы по грузинским рукописям Иверы: Зап. Вост. Отд. Русск. Арх. О-ва, XIII, გვ. 49.

ქუელთობის დღის იმავე თარიღს, 15 ივლისს (8 ივლისიდან მერვე დღე).

2. თუ რა კულტთან იყო დაკავშირებული ქუელთობის დღე, ამ კითხვაზე აქ აღარ გავაგრძელებთ საუბარს, რადგან ამას არა აქვს უშუალო კავშირი ქრონოლოგიურ საკითხებთან, რაც ამ ჟამად ჩვენი კვლევის პირდაპირ საგანს შეადგენს. საკითხი ქუელთობის დღის საკულტო რაობის შესახებ განხილული იქნება ამ გამოკვლევის სპეციალურ ნაწილში, სადაც ჩვენ ვეხებით ძველი ქართული კულტის ისტორიას, ქართულ წარმართულ კალენდარში დაცული გადანაშთების მიხედვით; ქუელთობის დღის მნიშვნელობის განხილვა უფრო მიზანშეწონილია ამ მთლიან კომპლექსთან ერთად, რადგან აქ მთელი რიგი საკითხებისა ერთმანერთზეა გადაჯაჭვული.

აქ აღვნიშნავთ მხოლოდ გაკვრით, რომ „ქუელთობა“ წარმართული ხანის დღესასწაულია, რომელიც, როგორც ირკვევა, დაკავშირებული იყო სასოფლო-სამეურნეო მუშაობათა ერთი ციკლის დამთავრებასთან, სახელდობრ მკის დასრულებასთან. წარმართული ხანის ეს დღეობა ქრისტიანულ ეპოქაშიაც შენარჩუნდა ერთხანად ამავე სახელწოდებით „ქუელთობა“ (იხევე როგორც ოდნავ ქრისტიანიზირებული წარმართული „ვარდობა“), ხოლო შემდეგ „ქუელთობის“ — მკის დღეობა შეერთებია „კვირიკობას“ [შეად. ხალხური თვის სახელები „მკათათვე“ = „კვირიკობისთვე“], „ელიობას“, და აგრეთვე ნაწილობრივ „ათე-გენობას“, რომლებიც ჩვეულებრივ სწორედ ამავე შეიღ ულში სრულდება ხოლმე, 15 ივლისიდან დაწყებული — 22 ივლისამდე. ამ ხალხურ დღეობებს, მთელ რიგ ქართულ თემებში, დღემდე შერჩენია ძველი წარმართული კულტის გადანაშთები.

3. ნესამე საკითხი: რა ფარგლებს შეიცავდა ქუელთობის თვე. რაკი დადგენილია თარიღი ქუელთობის დღისა (15 ივლისი), რომლის სახელი გავრცელებულა ქუელთობის თვეზე აქედან ცხადი ხდება ქუელთობის თვის ფარგლებიც. ქართულ წარმართულ კალენდარს, როგორც ეს უკვე დადგენილი იყო, საფუძვლად უდევს გარკვეული სისტემა ზოდიაკალური ქრონოლოგიისა, ხოლო 15 ივლისი მოქცეულია კირჩხიბის ზოდიაკალურ ფარგლებში. მაშასადამე „ქუელთობის“ თვის დასაწყისია 22 ივნისი, როდესაც მზე კირჩხიბის ზოდიაკოს ნიშანში შედის, ხოლო დასასრული უწევს 22 ივლისს, როდესაც მზე სტოვებს ამ ნიშანს.

[არაა ზედმეტი აღვნიშნოთ აქ თარიღების შეხვედრა: ამავე რიცხვს, 22 ივლისს სრულდება „ქუელთობის“ დღესასწაულის „შვიდეულიც“: 15 ივლისიდან გრძელდება 22 მდე].

ჩვენ ამით ვასრულებთ განხილვას იმ ცნობებისას, რომელთაც პროკოპის მარტვილობა შეიცავს.

გარდა პროკოპის მარტვილობისა, ქართულს ენაზე შენახულა მეორე მარტიროლოგიური ძეგლი: ქრისტეფორეს მარტვილობის პირველი ვერსია, სადაც, როგორც აღნიშნული გვქონდა, ძოხსენებულია „თთუჲ ქუელთობისაჲ“. ამ ვერსიაში მარტვილთა ერთი ჯგუფის (ორასთა ახლად მოქცეულთა) წამება ნაჩვენებია:

«თთუესა ქუელთობისასა ოც-და-რვასა, დღესა კჳრიაკესა»¹.

ზოდიაკალური ქრონოლოგიის თანახმად 28 რიცხვი ქუელთობის თვისა უდრის 19 ივლისს.

ქრისტეფორეს მარტვილობის ეს პირველი ვერსია უნიკალურ ტექსტს წარმოადგენს, და სხვა ენებზე, გარდა ქართულისა, ამ-გვარი ვარიანტი ჯერჯერობით ცნობილი არაა.

მაინც, თუმცა უშუალო პირველწყარო ქართული მოთხრობისა არ შენახულა, მაგრამ სხვადასხვა ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში და მოსახსენებლებში მოიპოვება თარიღების ერთი წყება ქრისტეფორეს თანამოდვაწეთა მარტვილობისა, რომლებიც სწორედ ივლისის რკალს უჩვენებენ².

*

8. «არდა-დეგი» (|| * «არდა-დეგისაჲ»).

«არდა-დეგი»-ს თვითური ციკლის განმარტება დაცული აქვს სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში.

როგორც ეს ქვემოთ იქნება გამოჩეული, სულხან-საბას ეს განმარტება ამოღებული აქვს ძველ-ქართული მწერლობის ერთი ძეგლიდან, რომელიც ეკუთვნოდა არქაულ ხანას, არა უგვიანეს მე-4—5 საუკუნისა ჩვენი წელთაღრიცხვის.

განმარტება «არდა-დეგი»-სა, რომელიც დაუცავს სულხან-საბას, შემდეგია:

¹) იხ. ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 535, გვ. 155a.—პირი ამავე მარტვილობისა, აკადემიკოს ნ. მარრის აღწერილობის თანახმად, დაცულია ათონის კოლექციის ხელნაწერებში № 57 და 53. (იხ. Н. Марр, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера: Зап. Вост. Отд. Русск. Арх. О-ва. XIII, გვ. 67, 81-84).

²) იხ. Сергей, Полный месяцеслов Востока, ტომი II, ნაწილი I, გვ. 136, 137, 223, ნაწილი II, გვ. 629.—Analecta Bollandiana, I, გვ. 145 Acta Sanctorum Iulii, VI, გვ. 139, 141, ზენიშენა, პეტრონიუსის de Natilibus, lib. 6, გვ. 145.

„არდადეგი არს,—რა მკათათვეში მზე «ლომზე» შევალს, მის გამოცვლამდე და «სახვსა» შესლვამდე ოცდაათერთმეტნი დღენი“¹.

ზოდიაკალური ქრონოლოგიის თანახმად, რომელიც საფუძვლად უდევს წარმართულ ქართულ კალენდარს, მზე შედის ლომის ზოდიაკალურ ნიშანში 23 ივლისს, ხოლო დაასრულებს გზას ამ ზოდიაკალურ ნიშანზე 22 აგვისტოს. ამ-რიგად, როდესაც ზემოთ-მოყვანილი ტექსტი იძლევა ცნობას, რომ მზის შესლვა „ლომის“ ზოდიაკოში მკათათვეში ხდება,—ზედმიწევნით უდგება წარმართული ქართული კალენდარის ქრონოლოგიურ განრიგებას.

ამ ტექსტის მიხედვით ცხადი ხდება აგრეთვე, რომ არდადეგი შეიცავდა თვით რკალს, რომელიც უშუალოდ მისდევდა ქუელთობის თვეს.

როგორც ეს უკვე დადგენილი გვქონდა ქუელთობის თვის თარიღის განხილვის დროს, ქუელთობის თვე სრულდებოდა 22 ივლისს (როდესაც მზე დაამთავრებს გზას კირჩხიბის ზოდიაკალურ ნიშანზე და მიაღება ლომის ზოდიაკოს საზღვარს). ხოლო «არდადეგი» ყოფილა მომდევნო თვე, რომელიც იწყებოდა სწორედ 23 ივლისს და სრულდებოდა 22 აგვისტოს (ე. ი. იმ დროის მანძილზე, როდესაც მზე ლომის ზოდიაკოს ნიშნის ქვეშ იმყოფებოდა).

ამ-რიგად აქ ჩვენ გვაქვს ყველა თარიღებისა და თვეების თანამიმდევრობის შეხვედრა.

განვაგრძოთ ამის შემდეგ საბას სხვა ცნობების განხილვა.

აღსანიშნავია, რომ „არდადეგი“-ს ზემოთ-მოყვანილი განმარტება საბას ცალკე მოჰყავს, ხოლო ძველ-ქართული წარმართული კალენდარის თვეების საერთო ცხრილში «არდადეგი» ანუ «არდადეგისაჲ» შეტანილი არა აქვს.

ეს გარემოება ორი რამით აიხსნება:

1. თავდაპირველად საჭიროა მოვიგონოთ, რომ საბას არ ჰქონდა წარმართული კალენდარის თვეების რაიმე ერთი მთლიანი სია, არამედ თვეების ცხრილი საბას აღდგენილი აქვს სხვადასხვა წყაროებში

¹) იხ. საბას ლექსიკონი, ქართული წიგნის გამოცემა, 1928 წ., გვ. 16, სიტყვა არდადეგი. (საბას ტექსტში ამ ადგილას სწერია: „ოცდაათნი დღენი“, მაგრამ აქ შეცდომაა ერთი დღით: ლომის ზოდიაკალური რკალი შეიცავს 31 დღეს. ამ შეცდომას თითონვე ასწორებს საბა და მეორე ადგილას იგი ლომის რკალს სწორად უბრუნებს, — 31 დღეს: იხ. ლექსიკონი, გვ. 130).

გაბნეული ცალკეული ცნობების მიხედვით¹. და საბას, თვეების მთლიანი ცხრილის აღდგენის დროს, არა ერთი და ორი შეცდომა მოსვლია, რის მაგალითები ჩვენ ზემოთაც ვუჩვენეთ და ქვემოთაც შეგვხვდება. კერძოდ იმის ასახსნელად, თუ რად არ შევიდა „არდადეგი“ საბას მიერ აღდგენილ თვეების საერთო ცხრილში, ჩვენ ჯერ მოგვიხდება შევეხოთ საბას განმარტებას ქუელთობის თვისა.

საბას, ქუელთობის თვის თარიღის დადგენის დროს, შეცდომა მოსვლია. საბა ფიქრობდა, რომ ქუელთობის თვე უდრიდა აგვისტოს თვეს. ნამდვილად კი, როგორც ეს უკვე ზუსტად არის განსაზღვრული, ქუელთობის-თვე არ უდრის აგვისტოს, არამედ ამის წინარე ციკლს შეიცავს, იწყება 22 ივნისს და სრულდება 22 ივლისს.

საბას შემცდარი განმარტება ქუელთობის-თვისა, სჩანს, შემდეგით არის გამოწვეული. პროკოპის მარტვილობის ძეგლი, სადაც მოხსენებულია ქუელთობის თვე, ძნელი ტექსტია, და თარიღები აქ რთული ფორმულებით არის წარმოდგენილი. ამ თარიღების ზედმიწევნით ამოშიფრვა შესაძლო გახდა მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა ამ ტექსტის ბერძნული პარალელი. ხოლო საბასთვის ამ ძეგლის ბერძნული პროტოტიპი მიუწვდომელი იყო და ამის გამო თარიღების ზუსტი ამოცნობა ვერ მოუხერხებია. საბამ იცოდა მხოლოდ, რომ პროკოპის მარტვილობა ივლისს ეკუთვნის. ხოლო რადგან ამასთან მარტვილობის მოთხრობაში ნათქვამია, რომ პროკოპის მარტვილობა მოხდა ქუელთობის უწინარეს, აქედან საბას გაუკეთებია დასკვნა: რაკი პროკოპი ივლისში აწამეს, ქუელთობის წინ, მაშასადამე ქუელთობის თვე მომდევნო თვე, ე. ი. აგვისტო ყოფილაო.

მეორე გარემოება, რასაც გამოუწვევია საბას შემცდარი განმარტება ქუელთობის თვის თარიღისა, არის შემდეგი. ძველ-ქართული კალენდარის შესწავლიდან ირკვევა, რომ ზოგიერთ თვეს ორი და ზოგჯერ სამი პარალელური სახელი ჰქონდა, ისევე როგორც ეხლანდელს ქართულ ხალხურ კალენდარში ერთსა და იმავე თვეს ეწოდება ხოლმე: ღვინობის-თვე, მწიფობის-თვე (და ამავე დროს ოქტომბერიც). უნდა გვახსოვდეს, რომ ამ-გვარი პარალელური სახელწოდებანი ერთისა და იმავე თვისა რასაკვირველია ახასიათებს არა მხოლოდ თანამედროვე ქართულ ხალხურ კალენდარს, არამედ ხშირს მოვლენას წარმოადგენს საერთოდ ყველა კალენდრებში. კერძოდ ძველ-ქართულ წარმართულ კალენდარშიაც ადგილი ჰქონდა ასეთ პარალელურს სახელწოდებებს; ასე, მაგალითად, როგორც ზემოთ იყო გამორკვეული, ვარდობის-თვეს მოეპოვებოდა ასეთი პარალელური სახელები: „ყუ ა ვ ი ლ ო ბ ი ს ა ჟ“ და „ა ხ ა ლ თ ა ჟ“; ამნაირადვე მიჰრავ-

1) იხ. გვ. 417—418 („საქ. მუხ. მოამბე“, VI).

ნის-თვეს ჰქონდა პარალელური სახელწოდება: „მარიალისაჲ“; ამ-გვარადვე ქუელთობის-თვეს ჰქონდა პარალელური სახელი: „თიბისაჲ“. (იხ. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ, თავი VII: ძველ-ქართული კალენდარის თვეების პარალელური სახელწოდებანი. § 2 «თთუჲ თიბისაჲ»).

საბას შეუმჩნეველი დარჩა ეს ფაქტი, რომ ძველ-ქართულ წარმართულ კალენდარში პარალელური სახელები მოიპოვება, და აქედან მომდინარეობს საბას ზოგიერთი შეცდომა, და კერძოდ შემცდარი დათარიღება ქუელთობის თვისა. საბას წაკითხული ჰქონდა, რომ „თიბისაჲ“ ზოგადად შეიცავდა ივლისის რკალს („თიბისაჲ“ მოხსენებულია პავლეს ეპისტოლეთა ძველ-ქართულ ტექსტში, რომლითაც სარგებლობდა საბა), მაგრამ ის კი არ იცოდა რომ „თიბისაჲ“ და „ქუელთობისაჲ“ ერთი და იმავე თვის პარალელური სახელებია. პირიქით, საბა, როგორც ვნახეთ, პროკოპის მარტვილობის ტექსტის არა-სწორი გაგების საფუძველზე ჰფიქრობდა, რომ ქუელთობის-თვე უდრიდა აგვისტოს. და სწორედ ამ გარემოებამ, რომ საბამ არ იცოდა საერთოდ ფაქტი პარალელური სახელების არსებობისა ძველ-ქართულ კალენდარში, კიდევ უფრო გააძლიერა საბას შემცდარი მოსაზრება ქუელთობის თვის თარიღის შესახებ. მართლაც, გამოდიოდა მოჩვენებითი თანხმობა: ერთის მხრით ქუელთობის-თვე თითქმის უდრიდა აგვისტოს, ხოლო იმავე დროს არც ივლისის თვე რჩებოდა უსახელოდ, რადგან არსებობდა გარკვეული ცნობა, რომ „თიბისაჲ“ ზოგადად ივლისის რკალს შეიცავს. აი ამ-გზით, წყაროების არა სწორი გაგების საფუძველზე, საბამ, ნაცვლად ერთი თვის ორმაგი პარალელური სახელისა (თიბისაჲ=ქუელთობისაჲ) მიიღო ორი თვე:

თიბისაჲ — ივლისი

ქუელთობისაჲ — აგვისტო.

ამ შეცდომას, რომელიც საბას მოსლვია ქუელთობის თვის თარიღის დადგენის დროს, გამოუწვევია შემდეგი შეცდომაც. რაკი საბა ჰფიქრობდა, რომ ქუელთობის-თვე უდრიდა აგვისტოს, ამის გამო არდა-დეგის თვე (რომელიც შეიცავს სწორედ აგვისტოს თვის მეტ ნაწილს) მექანიკურად გამოვარდნილა თვეების საერთო სიიდან.

მაშასადამე საბას სია ერთის მხრით, და ნამდვილი სია მეორე მხრით, ასეთს სურათს წარმოგვიდგენენ:

საბას სია:

1. „თიბისაჲ“ — ივლისი.
2. „ქუელთობისაჲ“ — აგვისტო.

ნამდვილი სია:

1. „ქუელთობისაჲ“ (=„თიბისაჲ“) — დრო 22 ივნისიდან — 22 ივლისამდე.
2. „არდა-დეგისაჲ“ — დრო 23 ივლისიდან — 22 აგვისტომდე.

2. მაგრამ მთავარი, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს არდა-დეგის თვის შესახებ, არის შემდეგი. საბა, როგორც ვნახეთ, იძლევა არდა-დეგის განმარტების ვრცელს ტექსტს. საბას ეს განმარტება ცხადია ამოწერილი აქვს რომელიღაც ძველ-ქართული წერილობითი ძეგლიდან. (ასეთია საბას ლექსიკოლოგიური მეთოდი, რომელსაც იგი მტკიცედ იცავს მთელი ლექსიკონის მანძილზე იშვიათი სიტყვებისა და ტერმინების განმარტების დროს). მაგრამ საბას უბრალოდ გადმოუწერია ძველი წყაროს ეს ცნობა და არ მოსვლია ფიქრად, რომ „არდა-დეგი“ თვის სახელს წარმოადგენს; და თუ რატომ, ეს ადვილი გასაგებია. საბა, როგორც ამას ადასტურებს ის ცნობები, რომელთაც იგი ძველ-ქართული თვეების შესახებ იძლევა, ჰფიქრობდა, რომ ძველ-ქართული თვეები იწყებოდა ეხლანდელი კალენდარის პირველი რიცხვიდან; ნამდვილად კი, როგორც ვიცით, ძველი თვეების დასაწყისი არ უდრიდა ეხლანდელი თვეების დასაწყისს, არამედ შეფარდებული იყო ზოდიაკალურ ქრონოლოგიის გარკვეულ ციკლთან. ხოლო რაკი საბას შეხვედრია ასეთი ცნობა, რომ „არდა-დეგი“-ს დასაწყისი და დღეების რიცხვი ზოდიაკოთა ქრონოლოგიას შეეფარდება, (ე. ი. იწყება მაშინ, როცა მზე შედის ლომის ზოდიაკოს ნიშანში, და სრუოდება—როცა მზე სტოვებს ამ ზოდიაკოს ნიშანს),—ამნაირი ცნობა არ უდგებოდა საბას მიერ აღდგენილ კალენდარის სისტემას; ამის გამო საბას უფიქრია, რომ „არდა-დეგი“ არ წარმოადგენს თვის ჩვეულებრივს სახელს, არამედ შეიცავს თვითური ციკლის რაღაც სხვანაირ აღრიცხვას. ამიტომ საბას პირდაპირ განუმარტავად ამოუწერია ძველი ტექსტის ცნობა „არდა-დეგი“-ს შესახებ და ეს „არდა-დეგი“ თვეების საერთო ცხრილში აღარ შეუტანია.

ეხლა-კი, პირიქით, სწორედ ეს ზედმიწევნლი შეხვედრა ზოდიაკოთა ქრონოლოგიასთან, და თითონ საბას მიერ ამოწერილი ტექსტის პირდაპირი შინაარსიც (რომ არდა-დეგი არის ის ერთ-მეორე რკალი, როდესაც «მზე ლომზე შევალს, მის გამოცვლამდე და სახვსა შესლვამდე ოცდაათეოშეტნი დღენი») — გვიჩვენებს, რომ არდა-დეგი ძველ-ქართული კალენდარის თვის სახელი ყოფილა.

3. შემდეგი საკითხი: რა დროს ეკუთვნოდა ის წყარო, საიდანაც საბამ ამოსწერა ზემოთ-მოყვანილი განმარტება არდა-დეგისა. ამ კითხვაზე გარკვეული პასუხის გაცემა შეუძლება. ის წერილობითი ძეგლი, საიდანაც საბამ ამოსწერა „არდა-დეგის“ განმარტება, სჩანს ეკუთვნოდა ქართული მწერლობის არქაულ პერიოდს, საფიქრებელია არა უგვიანეს მე-4—5 საუკუნისა. ეს შემდეგის მიხედვით ირკვევა.

საბას ამოწერილ ტექსტში ჩვენ გვხვდება ზოდიაკოს სახელწოდება: «ს ა ხ ვ». ასე რქმევია იმ ზოდიაკოს, რომელშიაც შედის მზე, როდესაც დაასრულებს გზას ლომის ზოდიაკოზე. მაშასადამე «ს ა ხ ვ» რქმევია იმ ზოდიაკოს, რომელიც «ქ ა ლ წ უ ლ ი»-ს სახელით არის ცნობილი..

მე-8—9 საუკუნიდან დაწყებული ქართულს მწერლობაში ჩვენ გვაქვს ზოდიაკების სახელწოდებათა ერთი გარკვეული მთლიანი ციკლი. დაწყებული ამ ეპოქიდან, სახელწოდებათა ეს ციკლი საყოველთაო გავრცელებით სარგებლობს ქართულს მწერლობაში და ეს დადასტურებულია წერილობითი ძეგლების მთელი რიგით (მათ შორის—საკალენდრო ტრაქტატით № 38, იოანე-ზოსიმე სინელის საკალენდრო ტრაქტატით, ასტრონომიული ტრაქტატით № 65 და სხვანი). ხოლო ამ ციკლში, რომელიც მიღებული იყო მე-8—9 საუკუნეებიდან, სახელწოდება „ს ა ხ ვ“ უკვე აღარ გვხვდება, ეს ძველი ტერმინი ამ დროს უკვე ხმარებიდან ყოფილა გამოსული. „სახვ“-ს მაგიერ აქ ყოველგან იხმარება ტერმინი „ქალწული“.

უფრო ძველი ეპოქიდან ჩვენ გვაქვს ქართულს ენაზე ერთი ძეგლი: „მარტვილობაჲ კალისტრატისი“. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ტექსტი ერთი უძველეს ნაწარმოებთაგანია, რომელიც ქართულს ენაზე შენახულა, და თუ უფრო ადრინდელი არა, ყოველ შემთხვევაში მე-5 საუკუნეზე გვიანი ხანისა არ არის. ამ თხზულების განსაკუთრებული სიძველე შემდეგის მიხედვით ირკვევა. 1) ამ თხზულებაში ჯერ კიდევ არ არის მიღებული რომაული სათვეო ტერმინოლოგია, თვის სახელი აქ წარმართული ხანის ტერმინით არის აღნიშნული. 2) ამ თხზულებას გავლენა მოუხდენია ევსტათი მცხეთელის ბიოგრაფიის ავტორზე (— ევსტათის ბიოგრაფიაში ჩვენ გვაქვს ადგილები, რომლებიც ამ თხზულების გავლენით არის დაწერილი, ხოლო ერთ შემთხვევაში ევსტათის ბიოგრაფს პირდაპირ ამოუწერია ტექსტი ამ თხზულებიდან). ხოლო ევსტათის ბიოგრაფია ეკუთვნის მე-6 საუკუნის მეორე ნახევარს (უფრო ზუსტად მე-6 საუკუნის მესამე მეოთხედს)—და მაშასადამე კალისტრატეს მარტვილობა ამაზე ადრინდელს ძეგლს წარმოადგენს. —3) ენა კალისტრატეს მარტვილობისა განსაკუთრებული სიძველის ნიშნებს შეიცავს და უფრო არქაულია, ვიდრე ენა შუშანიკის ბიოგრაფიისა, რომელიც მე-5 საუკუნის ნაწარმოებია.

ამ თხზულებაში, კალისტრატეს მარტვილობაში, ჩვენ გვაქვს ერთი ვრცელი თავი, რომელიც შეიცავს ასტრონომიული ხასიათის ცნობებს. აქ, სხვათა შორის, ჩამოთვლილია მთავარ ვარსკვლავთა-

კრებულების სახელები („ურემ კარი“ „გარე-მოსაქცეველი“, „კომნი“, „მთიებხი“) და კერძოდ ზოდიაკოთა სახელებიც არის მოყვანილი. ამ ტექსტიდან ირკვევა, რომ ზოდიაკების ერთ რიგს იგივე სახელები ჰქონია ძველად, როგორც ამას ვიცნობთ შემდეგი ხანის ძეგლებიდან („ვერძი“, „კურო“), მაგრამ ზოგი ზოდიაკო ამ ძველს ეპოქაში სხვა სახელებით ყოფილა ცნობილი; ასე, ზოდიაკოს, რომელიც შემდეგ-დროინდელს ქართულს მწერლობაში ცნობილი იყო სახელწოდებით: „თხის-რქა“, ამ ძეგლში ეწოდება „ვაცი“; შემდეგ-დროინდელი „სასწორი“ აქ იწოდება როგორც „მეუღლე“.

ჩვენი საკითხისათვის აქ საყურადღებო ის არის, რომ კალისტრატის მარტვილობაში, ე. ი. ისეთ ტექსტში, რომელიც მე-5 საუკუნისაზე გვიანია დროისა არ არის, ჩვენ უკვე აღარ გვხვდება ტერმინი „სახვ“. მის ნაცვლად ამ თხზულებაში ჩვენ გვაქვს მეორე ტერმინი: „ქალწული“, როგორც ეს შემდეგი ხანის მწერლობაში იყო მიღებული.

ამ-რიგად წყაროების ეს მიმოხილვა მეტად მნიშვნელოვან დასკვნას იძლევა. ცხადი ხდება, რომ ის წერილობითი ძეგლი, საიდანაც საბას ამოუწერია განმარტება არდა-დეგის თვისა, და სადაც ზოდიაკო „ქალწული“ იწოდებოდა როგორც „სახვ“, — უაღრესად არქაული ეპოქის ტექსტი ყოფილა, საფიქრებელია არა უგვიანესი მე-4 — 5 საუკუნისა, რადგან ამის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში მე-5 საუკუნიდან, ეს ტერმინი „სახვ“, როგორც ირკვევა, ხმარებიდან გამოდის.

თავის-თავად ეს გარემოება, რაც აქ გამოირკვა, რომ საბას ცნობა არდა-დეგის შესახებ ამოუწერია არქაული ეპოქის წერილობითი ძეგლიდან, მოულოდნელი არაა.

ჩვენ, დამოუკიდებლად ამისაგან, უკვე დადგენილი გვქონდა, რომ საბას ხელთა ჰქონდა ერთი ძველ-ქართული ტექსტი, რომელიც შეიცავდა ცნობებს მნათობთა შესახებ, და რომელი ტექსტიც, უშუალოდ თუ მეშვეობით, წარმართული ხანიდან მომდინარეობდა. ამ ტექსტიდან აქვს საბას ამოღებული ცნობები კვირიაკის შვიდეულის ცალკე დღეების შესახებ, თუ რომელი დღე შვიდეულისა რომელ მნათობს მიეკუთვნებოდა; აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, თუ რა სახელები ერქვა ძველ-ქართულად ცის მნათობთა სფეროებს („ცორანო“, „ქირანო“ „მელ-ტარო“, „ალაბას-ტარო“ და სხვანი). აგრეთვე, რაც მთავარია, ამავე წყაროდან აქვს ამოღებული საბას ზოდიაკოთა ძველ-ქართული ქრონოლოგია. (იხ. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით, მეხუთე თავი, გვ. 432—433, მოამბე, № VI). — საფიქ-

ჩეხელთა, რომ კერძოდ ეს ტექსტიც „არდა-დეგი“-ს შესახებ საბას ამოწერილი აქვს იმავე ძეგლიდან.—ყოველ შემთხვევაში ამ ტექსტის დიდი სიძველე უდავოა.

※

რათა საგანზე სრული წარმოდგენა ვიქონიოთ, აქ საჭირო იქნება შევეხოთ კითხვასაც, თუ რას უნდა ნიშნავდეს ტერმინი „სახჯ“, რომელიც მოხსენებული ყოფილა იმ არქაულ წყაროში, საიდანაც საბას ამოუწერია განმარტება „არდა-დეგის“ თვისა.

საბას ამ ტექსტის, და აგრეთვე კალისტრატეს მარტვილობის თანახმად, ჩვენ გვაქვს ასეთი შეფარდება ზოდიაკოთა ძველი და ახალი სახელებისა:

ძველი სახელები:		ახალი სახელები:
ვაცი	=	თხის-რქა
მეულლე	=	სასწორი
სახჯ	=	ქალწული

როდესაც ჩვენ ვადარებთ ზოდიაკების ძველსა და ახალს სახელებს, ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ერთისა და იმავე წრის ცნებებს აღნიშნავენ.

მართლაც, ახალი სახელწოდება „თხის-რქა“ შეეფარდება ძველს სახელწოდებას: „ვაცი“. აქ ჩვენ გვაქვს, როგორც ვხედავთ, ცნებათა ერთი რკალი. (აღვნიშნავთ ამასთან, რომ „ვაცი“ ერქვა ამ ზოდიაკოს იმის გამო, რომ ძველი რელიგიური წარმოდგენების თანახმად, იგი ითვლებოდა სახლად ღვთაება-ვაცისა, ე. ი. იმ ღვთაებისა, რომელსაც ბერძნულ მითოლოგიაში „პან“, ხოლო ქართულში „ოჩო-პან-ტარი“ ეწოდება).

ამნაირადვე ახალი სახელწოდება „სასწორი“ შეეფარდება ძველ სახელწოდებას „მეულლე“. უნდა გვახსოვდეს, რომ „ულელი“ ნიშნავს „სასწორს“¹, და მაშასადამე „მეულლე“ არის იგივე „მე-სასწორე“, ე. ი. ამწონველი. (აღვნიშნავთ ამასთან, რომ ეს სახელწოდება „სასწორი“ „მე-სასწორე“ მიეკუთვნება ამ ზოდიაკოს იმის გამო, რომ ამ ზოდიაკოს ფარგლებში ხდება ხოლმე შემოდგომის დღე-ღამის გასწორება):

ამ პარალელების მიხედვით საფიქრებელია, რომ მესამე ზოდიაკოს ძველი სახელი „სახჯ“ აღნიშნავდა იმავე წრის ცნებას, რასაც ამ ზოდიაკოს ახალი სახელწოდება: „ქალწული“.

მართლაც, ამ დასკვნაზე ამართლებს ქართველურ ენებში დაცუ-

¹) შეადარეთ ანალოგიური წარმოება, რომელიც მოიპოვება ბერძნულშიაც: $\alpha\upsilon\tau\acute{o}\varsigma$ = ულელი, სასწორი.

ლი სხვადასხვა განშტოება იმავე ფუძე-სიტყვისა, საიდანაც ნაწარმოებია ტერმინი: „სა-ხვ“.

თავდაპირველად საჭიროა ჩოვიგონოთ, რომ ქართულში ცნება ვაჟი აღინიშნება ტერმინით: „ძე“, ხოლო ცნება ქალი ტერმინით: „ხე“.

ტერმინი „ხე“ დღემდე შენახულა გადანაშთის სახით ზოგიერთ ქართულ კილოებში, (ასე, კერძოდ გურულ კილოში), სადაც იგი ჩვენ გვხვდება საგვარეულო სახელწოდებათა აღსანიშნავად; მაგალითად: ნაკაში-ძე (ვაჟი), ნაკაში-ხე (ქალი)¹.

მეგრულში ეს ტერმინი „ხე“ დღემდე ცოცხალ სიტყვას წარმოადგენს, და აქაც იგი ერთვის ქალის გვარს (როგორც მაგალითად გვაზა-ხე=ქალი, ხოლო გვაზა-¹ვა, ე. ი. გვაზა-ძე=ვაჟი).

სვანურში იგივე ტერმინი „ხე“ წარმოდგენილია ფუძე-სიტყვის სახით: „ხვ“ (იხ. აკად. ნ. მარრის: Извлечение из Сванско-Русского словаря, Пг. 1922, გვ. 34, ფუძე-სიტყვა: „ხვ“). ამ ფუძე-სიტყვიდან „ხვ“ ჩვენ გვაქვს სვანურში სიტყვები:

„მეხვ“, „ჰეხვ“, — რაც ნიშნავს ცოლს;

„ნა-მახვ“ ე. ი. ნა-ცოლარი;

„ლე-მახ-რი“ საცოლო, ე. ი. სა-ცოლ-ური; (სვანურში პრეფიქსი „ლე“ ნიშნავს იმასვე, რასაც ქართული „სა“).

ეს ფუძე-სიტყვა „ხე“, სვანურის მსგავსი გახმოვანებით „ხჷ“, არსებობს აგრეთვე მეგრულშიაც. აქედან არის ნაწარმოები ზმნა: „ხჷა-ლა“, „ხჷა-ფა“, რაც ნიშნავს: შობ-ვა². (შეადარეთ ქართული ტერმინი: „ძე-ობა“, „ძე-ბა“ ძველ-ქართულად. მხოლოდ ქართულში ძეობა, ძე-ბა ნაწარმოებია ვაჟის სახელიდან: ძე; ხოლო მეგრულში ქალის სახელიდან: ხჷ||ხვ).

ამ პარალელების მიხედვით, სადაც წარმოდგენილია ეს ფუძე-სიტყვა „ხე“ და „ხვ“, ცხადი ხდება მნიშვნელობა ტერმინისა: სა-ხვ.

ისევე როგორც სიტყვისაგან „ძე“ ჩვენ გვაქვს ტერმინი სი-ძე (ე. ი. თავში დაერთვის პრეფიქსი: „სი“); აგრეთვე სიტყვისაგან სძა-ლი გვაქვს ტერმინი სა-სძლო, სიტყვისაგან ცოლი — სა-ცოლო (ე. ი. ამ მეორე შემთხვევაში თავში დაერთვის პრეფიქსი „სა“); ამნაირადვე

¹) აღვნიშნავთ ამასთან, რომ გურულ კილოში ეს ტერმინი წარმოდგენილია ორგვარი სახე-სხვაობით, როგორც „ხე“ და როგორც „ფ-ხე“: ითქმის „ნაკაში-ხე“ და „ნაკაში-ფ-ხე“.

²) იხ. იოსებ ყიფშიძე, Грамматика мингрельского языка, СПб, 1914, გვ. 401 (ხუალა), გვ. 396 (ხ—). მეგრულში ეს სიტყვა გვხვდება ფორმებით: „ხ ჳ ა-ლ ა“ და „ხ ა-ლ ა“, ე. ი. მეორე შემთხვევაში უმარცვლო „ჳ“ დაკარგულია. ანალოგიურ სახესხვაობს წარმოგვიდგენს: *ხ ჳ ა - ფ ა || ხ ა - ფ ა.

ფუძე-სიტყვისაგან „ხვ“, (ე. ი. ქალი, ცოლი) ჩვენ გვაქვს ტერმინი „ხა-ხვ“ ე. ი. სა-ცოლო, სა-სძლო.

შეადარეთ ამას, კონსტრუქციის მხრით, ტერმინი, რომელიც სვანურში არის დაცული: „ნა-მახვ“, რაც ნიშნავს: „ნა-ცოლარი“.

სიტყვასთან „სა-ხვ“, „სა-ხუი“ (—სა-სძლო) სჩანს დაკავშირებულია აგრეთვე ტერმინი: მ-ზახ-ება (← * მ-სახ-ე-ება). შეადარეთ ბიბლიის ძველ-ქართულ ვერსიაში: „არცა ემზახო (← * ემსახუო) მათ, ასული შენი არა მისცე ძესა მისსა, და ასული მისი არა მოჰგუარო ძესა შენსა“ (იხ. შექმნათა. 34, ე. იხ. აგრეთვე წიგნი მეორე სჯულისა, 7, ე).

ამ რიგად ირკვევა, რომ ზოდიაკოს ძველი სახელწოდება: „ს ა ხ ვ“ ე. ი. სასძლო, აღნიშნავდა იმასვე, რასაც შემდეგდროინდელი სახელწოდება იმავე ზოდიაკოსი: „ქ ა ლ წ უ ლ ი“.

ამის შემდეგ ყოველმხრივ გასაგები ხდება საბას მიერ ძველი ტექსტიდან ამოწერილი ცნობა, რომ არდა-დეგი უდრის ლომის ზოდიაკოს ნიშანს, და რომ არდა-დეგი დასრულდება მაშინ, როდესაც მზე დაასრულებს გზას ლომის ზოდიაკოზე და „ს ა ხ ვ“-ს საზღვართან მივა. მართლაც ლომის ზოდიაკოს უშუალო მოსაზღვრეა სწორედ „ქალწულის“ ე. ი. „სახვ“-ს ზოდიაკო.

ჩვენ ამით დავამთავრებთ განხილვას იმ ცნობებისას, რომელთაც შეიცავს „არდა-დეგი“-ს შესახებ საბას მიერ გადმოწერილი არქაული წყარო.

ძველ-ქართული წარმართული კალენდარის „არდა-დეგი“-ს თვის საკითხის გარკვევისათვის ერთგვარ ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე ის პარალელები, რომელთაც შეიცავენ სხვა ძველი კავკასიური კალენდრები: ძველ-სომხური და ალვანური.

მაგრამ ჯერ იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს თვით სიტყვა „არდა-დეგი“.

ეტიმოლოგია ამ სიტყვისა განხილული აქვს პროფ. ივ. ჯავახიშვილს. სიტყვა „არდი“ ურარტულს წარწერებში, როგორც ცნობილია, ნიშნავს: მზე, მზის ღვთაება.

ქართულშიაც, არქაულ ეპოქაში, სიტყვა „არდი“, როგორც ირკვევა, აგრეთვე „მზე“-ს აღნიშნავდა. ამის მიხედვით ტერმინი „არდა-დეგი“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს შემდეგს: „მზე-დეგი“, ე. ი. „მზის ღვთაება“¹.

აღსანიშნავია, რომ სხვა კავკასიურ კალენდრებშიაც შესატყვისი თვის სახელი ერთგვარ ანალოგიას წარმოგვიდგენს.

საკითხს ძველი კავკასიური კალენდრების შესახებ ჩვენ ქვემოთ.

¹) იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 121.

დაწვრილებით ვეხებით სპეციალურ ექსკურს'ში, აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ძველ-სომხურში პარალელურ თვეს ეწოდება „ჰროტიც“, რაც ნიშნავს „ცეცხლისაჲ“; ალვანურში ამავე თვეს ეწოდება „ბახნეაჲ“, რაც ნიშნავს „მზისაჲ“¹.

ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ლომის ზოდიაკო, რომლის რკალშიაც იმყოფება მზე „არდა დეგი“-ს („მზის დგომის“) თვეში, ძველი ასტრონომიული წარმოდგენების თანახმად, „ცეცხლის“ სახლად ითვლებოდა.

ამ-რიგად ჩვენ გვაქვს გარკვეული პარალელიზმი ამ თვის სახელისა სამსავე კავკასიურს ენაში, ე. ი.:

ა) ქართული „არდა-დეგი“ ანუ „მზის დეგი“ (როდესაც მზე იმყოფება ლომის „ცეცხლის“ ზოდიაკოში).

ბ) ალვანური „ბახნეაჲ (ე. ი. „მზისაჲ“).

და გ) სომხური „ჰროტიც“ (ე. ი. „ცეცხლისაჲ“).

დასასრულ „არდა-დეგი“-ს თვის თარიღის საკითხთან დაკავშირებით არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ აგრეთვე ისიც, რომ ტერმინი „არდა-დეგი“ ხალხურს ენაში, გადანაშთის სახით, ჩვენ დრომდისაც მოღწეულა, და როგორც ირკვევა, ზოგიერთ ქართულ კილოებში დღემდე ცოცხალს სიტყვას წარმოადგენს. ასე, მაგალითად, ქართლის ზოგ რაიონებში, ხალხის ცოცხალ სასაუბრო ენაში, „არდა-დეგი“ ნიშნავს შემდეგს: „სიცხეების დრო“ (უმთავრესად ივლისის თვის სიცხეების სეზონზე ითქმის). წარმართული ქართული კალენდარი ათასეულ წელზე მეტია რაც ხმარებიდან გამოვიდა და რასაკვირველია არაა მოსალოდნელი, რომ ჩვენ გვქონდეს ეხლანდელ ხალხურ ტერმინოლოგიაში ზუსტი გადმოცემა წარმართული კალენდარის თვის თარიღისა დღიდან დღემდე. მაგრამ აქ მაინც უაღრესად საგულისხმოა, რომ „არდა-დეგი“ დღევანდელის ხალხური გაგებით, და ზოგადი ფარგლები ძველ-ქართული წარმართული კალენდარის „არდა-დეგი“-ს თვისა შეიცავენ ერთსა და იმავე რკალს².

1) კერძოდ ალვანური თვეების ციკლზე. აგრეთვე სომხური და ალვანური ტერმინების ეტიმოლოგიის შესახებ, იხ. იმავე ექსკურსში.

2) შენიშვნაში საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ შემდეგი. როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა (იხ. გვ. 421, „მოამბე“ VI), გამოკვლევის ამ პირველ ნაწილში ჩვენ ვეხებით წარმართული ქართული კალენდარის უკანასკნელ სტადიას, იმ ფორმაციას, როგორადაც იგი მოცემულია წარმართული ქართული კალენდარის არსებობის უკანასკნელ პერიოდში. კერძოდ „არდა-დეგის“ თვის თა-

9. «თთუც ახალწლისაჲ»

თუ როდის იწყებოდა ძველ-ქართული კალენდარით ახალი წელი და რა ფარგლებს შეიცავდა მისი მომდევნო «თთუც ახალწლისაჲ», ამის გამორკვევა შესაძლო ხდება ერთი ძველ-ქართული თარგმნილი მარტიროლოგიური მოთხრობის მიხედვით: წამებაჲ ქსკსტოჲსი და თანა-მარტკლთა.

ამ ძეგლის ორი პირი შენახულა: პარხალის კრებულში (ხელნაწერი სიძველეთა მუზეუმისა № 95), და პროხორე ჯვარელის კრებულში (ოქსფორდის ბოდლენის ხელნაწერი).

რილი, რომელიც აქ დავადგინეთ (23 ივლისი – 22 აგვისტო) წარმართული კალენდარის ამ უკანასკნელს სტადიას ეკუთვნის.

შემდეგ, ამ გამოკვლევის სპეციალურს ნაწილში განხილული გვექნება კალენდარის ისტორია და იქ ვნახავთ, რომ წარმართულ ქართულ კალენდარს თავის განვითარებაში რამდენიმე საფეხური გაუვლია და ადგილი ჰქონია კალენდარის რეფორმას. ეს რეფორმა შემდეგით იყო გამოწვეული. წარმართული ქართული კალენდარი ზოდიაკალურ სისტემასთან არის შეფარდებული. ხოლო, როგორც ცნობილია, საუკუნეთა განმავლობაში ხდება ზოდიაკოთა სარტყელის თანდათან გადანაცვლება. (ეს გადანაცვლება დაკავშირებულია იმ ასტრონომიულ მოვლენასთან, რომელსაც პრეცესია ეწოდება. გადანაცვლება გამოიხატება ერთი ზოდიაკოს მანძილით ყოველი 2150 წლის განმავლობაში). რეფორმა გამოწვეული იყო კალენდარის შეფარდების საჭიროებით ზოდიაკოთა სარტყელის რეალურ მდგომარეობასთან.

როდესაც ჩვენ ვადარებთ ერთის მხრით იმ ზოდიაკალურ ქრონოლოგიას რომელიც საფუძვლად უდევს წარმართული ქართული კალენდარის უკანასკნელ ფორმაციას, ხოლო მეორე მხრით ზოდიაკოთა იმ სისტემას, რომელიც გადანაშთის სახით მოცემულია თითონ თვეების სახელწოდებაში,—ჩვენ ვხედავთ, რომ აქ ჩვენ გვაქვს ორი პარალელური წყობა, ორი ზოდიაკალური ციკლი, რომელიც გარკვეული ასტრონომიული მანძილით დაცილებლია ერთი-მეორეს. ეს კი ჩვენ გვაძლევს საშუალებას ზედმიწევნით დავადგინოთ: 1) როდის ჩამოყალიბდა თავდაპირველად წარმართული ქართული კალენდარი; 2) რა დროს ეკუთვნის მისი უკანასკნელი ფორმაცია.—წარმართული ქართული კალენდარი თავდაპირველად ჩამოყალიბებულია ეგრეთწოდებულ „მარჩბივის ეპოქაში“, ხოლო მისი უკანასკნელი ფორმაცია წარმოგვიდგენს „ვერძის ეპოქას“.

ჩვენ აქ საჭიროდ დავინახეთ წინასწარ აღგვენიშნა ეს ფაქტი, რადგან, როგორც შემდეგი გამოკვლევა გვიჩვენებს, ამასთან არის დაკავშირებული კერძოდ ტერმინი „არდა-დეგის“ ისტორიაც. („არდა-დეგი“, ე. ი. „მზის დგომა“ წარმართულ ქართულ კალენდარში დაკავშირებულია ლომის ზოდიაკოსთან. ხოლო მარჩბივის ეპოქაში ლომის ზოდიაკალური რკალი სრულდება სწორედ იმ წერტილთან, როდესაც ასტრონომიულად ხდება „მზის დგომა“—Sol-stitium. ხოლო როდესაც ჩვენ ვვლებულობთ წარმართული ქართული კალენდარის უკანასკნელ ფორმაციას, ე. ი. ვერძის ეპოქას, აქ ლომის ზოდიაკალური ნიშანი იწყება 23 ივლისიდან და სრულდება 22 აგვისტოს, ე. ი. იძლევა „არდა-დეგი“-ს შვის იმ თარიღს, რომელიც ჩვენ წარმართული ქართული კალენდარის უკანასკნელ ეპოქაში გვაქვს).

ამ მარტიროლოგიური მოთხრობის თანახმად ქსტო და მისნი თანამოღვაწენი სხვა-და-სხვა დღეებში უწამებიათ, ერთიმეორის ახლო რიცხვებში.

პირველი ორი მარტკლის (აბდონის და სენენის) მოწამეობა ასეა დათარიღებული:

„უწინარეს სამისა დღისა ახალწლისა“¹.

მესამე მარტკლისა (ქსკსტოჲსი):

„უწინარეს რვისა დღისა ახალწლისა“².

მეოთხე მარტვილისა (ლავრენტისი):

„უწინარეს ოთხისა დღისა ახალწლისა“³.

მეხუთე მარტვილისა (კპოლიტოჲსი):

„თთუესა ახალწლისასა“⁴.

თარიღების შესახებ საჭიროა განმარტება:

1. თარიღების თანამიმდევრობა არ უდგება მოთხრობის შინაარსს. მოთხრობის თანახმად პირველად აწამეს აბდონ და სენენ, რამდენიმე დღის შემდეგ აწამეს ქსკსტო, მის შემდეგ ლავრენტი, ხოლო ბოლოს კპოლიტო. რომ მათი წამება ასეთის თანამიმდევრობით მოხდა, მოთხრობა ამის შესახებ სრულიად გარკვეულ ჩვენებას იძლევა. (მოთხრობაში დაწვრილებით არის გადმოცემული, თუ როგორის თანდათანობით ხდება მათი შეპყრობა, შემდეგ მათი გასამართლება და წამება). ხოლო თარიღები, როგორც ვხედავთ, არ ეთანხმება მოთხრობის ამ გარკვეულს ჩვენებას; თარიღების მიხედვით გამოდის, რომ ჯერ უწამებიათ ქსკსტო („უწინარეს რვისა დღისა ახალწლისა“), შემდეგ ლავრენტი („უწინარეს ოთხისა დღისა ახალწლისა“), ხოლო მის შემდეგ აბდონ და სენენ („უწინარეს სამისა დღისა ახალწლისა“).—მაშასადამე აქ ასახსნელია, რა გზით წარმოიშვა ეს შეუთანხმებლობა თარიღებისა მოთხრობის ტექსტთან.

2. მეორე, რაც ყურადღებას იქცევს ამ თარიღებში, ის გარემოებაა, რომ მეხუთე მარტკლის კპოლიტოჲს წამება ნაჩვენებია მხოლოდ საერთოდ „თთუესა ახალწლისასა“, ხოლო რიცხვი გამოტოვებულია.

თუ რა გზით წარმოიშვა დეფექტები თარიღების აღნიშვნაში, ეს კითხვა რასაკვირველია მარტივად გადაწყდებოდა, თუკი ცნო-

¹) იხ. ხელნაწერი № 95, გვ. 1207.

²) იქვე გვ. 1209.

³) იქვე, გვ. 1211.

⁴) იქვე, გვ. 1212.

ბილი იყვეს ის პირველ-დედანი („კიმენი“), საიდანაც უშუალოდ თარგმნილია ქართული ტექსტი. მაგრამ ასეთი დედანი ჯერჯერობით ცნობილი არ უნდა იყვეს¹.

მაინც ტექსტის ანალიზის საშუალებით შესაძლო ხდება სრულის ზედმიწევნილობით იქმნეს გამორკვეული, თუ რა ნიადაგზე წარმოიშვა თარიღების ეს შეუთანხმებლობა.

თავდაპირველად საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თუმცა ქსკსტოს და თანამარტვილთა ქართული მოთხრობის უშუალო პირველ-დედანი არ მოგვეპოვება, მაგრამ მათი წამების თარიღები კარგად არის ცნობილი ჰაგიოლოგიაში და საკალენდარო-სერინაქსარულ ტექსტებში. ძველ-რომაულს, ბუქერისეულად ცნობილს მეოთხე საუკუნის კალენდარში (354 წლისა), ეს თარიღები ასეა ნაჩვენები:

აბდონის და სენენის წამება	30 ივლისს;
ქსკსტოჲსი	6 აგვისტოს;
ლავრენტისი	10 აგვისტოს;
კპოლიტოჲსი	13 აგვისტოს.

შევადაროთ ბუქერისეული კალენდარის ეს თარიღები ქართული მოთხრობის შინაარსს ერთი მხრით და ქართული მოთხრობის თარიღებს მეორე მხრით.

ჩვენ ვხედავთ, რომ ბუქერისეული კალენდარის ცნობები სრულის ზედმიწევნილობით უდგება ქართული მოთხრობის შინაარსს, ხოლო ქართული მოთხრობის თარიღების თანამიმდევრობისაგან განირჩევა.

თანხმობა ბუქერისეული კალენდარის ცნობებისა ქართული მოთხრობის შინაარსთან ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ მათ შეხვედრას შემდეგს არსებითს ხაზებში:

1. როგორც ქარიულს მოთხრობაში, ისე ბუქერისეულ კალენდარში მარტვილთა წამების თანამიმდევრობა ერთი და იგივეა (ჯერ აბდონ და სენენ, შემდეგ ქსკსტო, შემდეგ ლავრენტი, შემდეგ კპოლიტო);

¹) ქართულს მოთხრობას სჩანს უახლოვდება, მაგრამ არა მთლიანად, ის ბერძნული ტექსტი, რომელიც მოთავსებულია Bibliotheca hagiographica graeca (Brux. 1909, გვ. 976 და შემდგომში). ჩვენ საშუალება გვქონდა შეგვედარებინა ეს ბერძნული ტექსტი ქართულთან მხოლოდ ნაწილობრივ: ბერძნული ტექსტის ეს გამოცემა ტფილისში არ აღმოჩნდა და ლენინგრადიდან შესაძლო გახდა მაგველო ბერძნული ტექსტის მხოლოდ ცალკე ნაწილების ამონაწერები (სახელდობრ ის ნაწილები, სადაც ქართული ტექსტი თარიღებს შეიცავს). შედარებამ გამოარკვია, რომ ეს ბერძნული ვერსია თუმცა საერთოდ უდგება ქართულს, მაგრამ თარიღები მოღწეულ ბერძნულ ტექსტში გამოშვებული ყოფილა.

2. ქართული მოთხრობის თანახმად ქსესტოს წამების შემდეგ განვლო სამმა დღემ (იხ. ხელნაწერი, გვ. 1209—1210), და შემდეგ, მეოთხე დღეს აწამეს ლავრენტი. ბუქერიისეული კალენდარის ცნობითაც მათი წამების შორის ოთხი დღის მანძილია (6 და 10 აგვისტო).

3. ქართული მოთხრობის თანახმად (იხ. ხელნაწერი, გვ. 1211) ლავრენტის წამებიდან მესამე დღეს აწამეს კპოლიტო. ბუქერიისეული კალენდარიც მათ წამებას შორის სამს დღეს სდებს (10 და 13 აგვისტო).

4. დასასრულ, ქართულს მოთხრობაში თუმცა ნაჩვენები არაა დღეების მანძილი აბდონ სენენის და ქსესტოს წამების შორის, მაგრამ აქ აღნიშნულია, რომ ჯერ აწამეს აბდონ და სენენ, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ქსესტო, რაც აგრეთვე ეთანხმება ბუქერიისეული კალენდარის რიცხვების თანამიმდევრობას.

ამ-რიგად ბუქერიისეული კალენდარი სავსებით უდგება ქართული მოთხრობის შინაარსს, რაც გვიჩვენებს, რომ მათი პირველწყარო ერთი და იგივეა.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში იბადება საკითხი, საიდან წარმოიშვა თარიღების ის შეუთანხმებლობა და დამახინჯება, რომელსაც ადგილი აქვს ქართულს ტექსტში, რომელიც არ ეთანხმება არც თვით ქართული მოთხრობის მიმდინარეობას, და არც ბუქერიისეული კალენდარის თარიღებს.

ამ კითხვას ნათელი მოეფინება, თუ გავითვალისწინებთ რომაული კალენდრის თავისებურს სისტემას: კალენდებით, ნონებით და იდებით აღრიცხვას.

ზემოთ-ნაჩვენები რიცხვები--30 ივლისი, 6 აგვისტო, 10 აგვისტო, 13 აგვისტო, ძველ-რომაულ სისტემის თანახმად, ასე გამოიხატება:

30 ივლისი==„უწინარეს სამისა დღისა კალენდათა აგვისტოს თჳსა“ (=ante diem III Kalendas Augustas).

6 აგვისტო==„უწინარეს რვისა დღისა აგვისტოს იდებისა“. (=ante diem VIII Idus Augustas.).

10 აგვისტო==„უწინარეს ოთხისა დღისა აგვისტოს იდებისა.“ (=ante diem IV Idus Augustae.)

13 აგვისტო==„აგვისტოს იდები“. (=Idus Augustiae.)

შედარება ქართული ტექსტისა ამ ცხრილთან არავითარ ექვს არ სტოვებს, რომ იმ დედანში, საიდანაც უთარგმნია ეს მოთხრობა ქართველ ავტორს, ქსესტოს და მისთა თანამოღვაწეთა წამების თა-

რილები ასეთის სახით ყოფილა წარმოდგენილი. ქართველ მთარგმნელს, როგორც ირკვევა, არ ჰქონია სწორი წარმოდგენა ძველი რომაული კალენდარის ამ თავისებურ ელემენტებზე, კალენდების, ნონების და იდების სისტემაზე, ამის გამო მას მხოლოდ მექანიკურად გადმოუწერია ორიგინალის რიცხვები (სამი, რვა, ოთხი), ხოლო კალენდებისა და იდების განსხვავება აღარ აღუნიშნავს; ხოლო უკანასკნელს შემთხვევაში, სადაც ორიგინალში რიცხვი არ იყო ნაჩვენები, ე. ი. ეწერა „აგვისტოს იდებში“, ეს ადგილი ურიცხვოდ უთარგმნია: „თთუესა ახალწლისასა“ (ეს იმ დროს, როდესაც თითონ სიტყვა „იდები“ ამ შემთხვევაში სწორედ გარკვეულ რიცხვს, 13-ს ნიშნავს).

მართლაც შევადაროთ ყველა თარიღები:

1. აბდონ და სენენის წამების თარიღი: „უწინარეს სამისა დღისა კალანდათა აგვისტოს თვსა“, — ქართველ მთარგმნელს უთარგმნია ასე: „უწინარეს სამისა დღისა ახალწლისა“;

2. ქსვსტოს წამების თარიღი: „უწინარეს რვისა დღისა აგვისტოს იდებისა“, — უთარგმნია: „უწინარეს რვისა დღისა ახალწლისა“;

3. ლავრენტისი: „უწინარეს ოთხისა დღისა აგვისტოს იდებისა“ — უთარგმნია „უწინარეს ოთხისა დღისა ახალწლისა“.

4. ეპოლიტოხსი: „აგვისტოს იდებში“ (ურიცხვოდ) — უთარგმნია: „თთუესა ახალწლისასა“ (ურიცხვოდ).

თარიღების ამ ზედმიწევნითი პარალელიზმებიდან სრულიად უდავოდ ირკვევა, თუ როგორი ორიგინალი ჰქონდა თვალწინ ქართველ მთარგმნელს, და რა გზით წარმოიშვა თარიღების ის შეუთანხმებლობა მოთხრობის მიმდინარეობასთან, რომელსაც ქართულ ტექსტში ვხედავთ.

თავისთავად ეს გარეშეობა, რომ ქართველ მთარგმნელს არ სცოდნია ზედმიწევნით რომაული კალენდარის ეს თავისებურობა, კალენდებით, ნონებით და იდებით აღრიცხვა, მოულოდნელს არას შეიცავს. საქმე ის არის, რომ იმ ეპოქაში, რა დროსაც ეკუთვნის ჩვენი ტექსტი, აღრიცხვის ეს ძველი ტექნიკა უკვე ხმარებიდან გამოდიოდა. ცნობილია, რომ კალენდა-ნონა-იდებით აღრიცხვაში იბნეოდნენ ზოგჯერ თვით დასავლეთის, ბერძენი და რომაელი მწერლებიც კი, და არა ერთი შეცდომაა დაშვებული ამ ძველი სისტემის გადაყვანის დროს შემდეგდროინდელ ჩვეულებრივ სისტემაზე.

აღვნიშნავთ ამასთანავე, რომ ქართული მწერლობის უძველეს საქართველოს მუხეუმის მოამბე, VII.

პერიოდში ქართველი ავტორები, როგორც ირკევეა, კარგად ყოფილან გაცნობილი რომაული კალენდარის ამ ტექნიკურ თავისებურობას (კალენდა-ნონა-იდებით აღრიცხვას) და უმრავლეს შემთხვევებში თარიღები სწორად არის გაანგარიშებული¹, მაგრამ იმგვარი შეცდომა, რომელიც მოსვლია ქსვსტოს მარტვლობის ძველ ქართველ მთარგმნელს, არ არის ერთად-ერთი მაგალითი; ასე, ჩვენ ქვევით შემთხვევა გვექნება შევხვით მეორე ძველ-ქართულს თარგმნის ჰაგიოგრაფიულს ძეგლს „წამებაჲ სპევსიპსისი, ელასიპსისი და მელასიპსისი“, და იქ ვნახავთ, რომ ორიგინალის გამოთქმა: „XVI Calendas Februarii“ „πρὸς βεχαιῆς χαλκωνῶν φεβρουαρίου“ მთარგმნელს გაუგია როგორც თებერვლის 16 რიცხვი, რაც რასაკვირველია სინამდვილეს არ შეეფერება.

ამ წინასწარ განმარტებათა შემდეგ დაუბრუნდეთ საკითხს, თუ რა დროს უწევდა ძველ-ქართული კალენდარით ახალი წელი და მისი მომდევნო „თთუც ახალწლისაჲ“.

როგორც გამოირკვა, ქსვსტოს და თანამოღვაწეთა მარტვილობის ტექსტის ჩვენება ამ საკითხის გადასაჭრელად მხოლოდ ერთგვარის შეზღუდვით არის მისაღები; რაკი ქართველ მთარგმნელს არ სცოდნია ზედმიწევნით რომაული კალენდარის ცალკე დეტალები, თარიღი აქ შესაძლოა მიღებულ იქმნას მხოლოდ ზოგადი რკალის დასადგენად. ამ საერთო ჩვენების თანახმად ქართული კალენდარის ახალი წელი მოდიოდა აგვისტოს თვეში, ანუ უფრო ზედმიწევნით აგვისტოს იდების ახლო დროს (ე. ი. აგვისტოს შუა რიცხვების ახლო დროს). მართალია ძველ ქართველ მთარგმნელს, რომაული აღრიცხვის ტექნიკური დეტალების უცოდნელობის გამო, შეცდომა მოსვლია ცალკე დღეების გაანგარიშებაში, ამიტომ თითონ რიცხვები არაა მისაღები უმეტესკლებოდ, à la lettre; მაგრამ, რაც მთავარია, აქ ჩვენ გვაქვს დაცული გარკვეული ჩვენება თვის საერთო რკალის შესახებ. ავტორს რამდენჯერმე აქვს აღნიშნული, მოთხრობის სხვადასხვა ადგილას, რომ ახალი წელი აგვისტოს ფარგლებში მოდის, და იგი ქართულ ახალ წელს რომაულ აგვისტოს იდებს, ე. ი. აგვისტოს შუა რიცხვებს უფარდებს.

რაკი, ამ-რიგად, ეს საერთო ჩვენება მოგვეპოვება, ამის შემდეგ ადვილი გასარკვევია, თუ სახელდობრ რა რიცხვში მოდიოდა ქართული „ახალი წელი“. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ წინა თვე—«არდა-

¹) ასე იხ. მაგალითად პროკოპის მარტვილობა (ზემოთ, გვ. 265—270) და ძველ-ქართული სამეცნიერო გამოცემა პავლეს ეპისტოლეთა და მოციქულთა საქმეთა (ამ უკანასკნელს ვეხებით ქვემოთ, მე-VII თავში).—დანარჩენი მარტიროლოგიური ტექსტების თარიღებიც სწორად არის გაანგარიშებული.

დეგისაჲ» უდრიდა ლომის ზოდიაკოს ნიშანს, იწყებოდა 23 ივლისს და სრულდებოდა 22 აგვისტოს. მაშასადამე 23 აგვისტო არის ძველ-ქართული კალენდარის ახალი წელი. ამ რიცხვიდან, 23 აგვისტოდან, იწყება მომდევნო „თთუჲ ახალწლისაჲ“, რომელიც გრძელდებოდა 22 სექტემბრამდე, ვიდრე მზე გაივლიდეს ქალწულის ზოდიაკოს ნიშანს.

ეს ჩვენი დასკვნა, რომ „ახალწლის“ თვე უშუალოდ მისდევდა „არდა-დეგის“ თვეს, შესაძლოა სხვა მხრივაც შევამოწმოთ.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ქართული კალენდარის თვე „არდა-დეგისაჲ“ უდრის რიგის მიხედვით სომხური კალენდარის თვეს „ჰროტიც“ და ალვანურს „ბახნეაჲ“. და როგორც ქართულ კალენდარში „არდა-დეგისაჲ“ წლის უკანასკნელი თვე ყოფილა, ასევე სომხურში „ჰროტიც“ და ალვანურში „ბახნეაჲ“—წლის უკანასკნელი თვეებია. ამის შემდეგ დგება ახალი წელი და პირველ თვეს ეწოდება,—სომხურში „ნავასარდ“ და ალვანურში „ნავასარდულ“. განსხვავება ქართულსა და ალვანურ—სომხურს შორის მხოლოდ ტერმინებშია. ქართულში თვის სახელი ძირითადი ქართული სიტყვით არის გაძოხატული—„თთუჲ ახალწლისაჲ“, ხოლო ალვანურსა და სომხურში ეგევე სახელი გადმოცემულია ირანულიდან ნასესხები ტერმინით; „ნავა-სარდ“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „ახალი წელი“¹.

დასასრულ, არაა ინტერესს მოკლებული მოიხსენიოთ აგრეთვე, რომ ქართულს ხალხურ მითოლოგიური ხასიათის დღეობებში აქამდე შენახულა იმისი გამოძახილი, რომ ახალი წელი ძველ-ქართული წარმართული კალენდარით აგვისტოს მეორე ნახევარში, აგვისტოს-სექტემბრის საზღვარზე უწევდა. (არის მხოლოდ მცირეოდენი მერყეობა დღის რიცხვებში, რაც რასაკვირველია სრულიად ბუნებრივია, თუ მოვიგონებთ, რომ წარმართული კალენდარი ათასეულ წელზე მეტია რაც ოფიციალური ხმარებიდან გამოვიდა). ასე, გურიაში, აგვისტოს უკანასკნელ ღამეს სრულდება ღამისთევა, რომელსაც ეწოდება „დადეგი“. ამ „დადეგთან“ დაკავშირებულს რიტუალსა და მითოლოგიურ წარმოდგენებს („ჭაჭვეთი“ და სხვა) დღემდე შერჩენიათ წარმართული ხასიათი. ანალოგიური ღამისთევები აგვისტო-სექტემბრის საზღვართან სხვაგანაც სრულდება დასავლეთ საქართველოში (კერძოდ სამეგრელოში—აგვისტოს ნახევრისათვის). თვით სიტყვა „დადეგი“, როგორც ცნობილია, ძველ-ქართულში გვხვდება (იხ. გიორგი მერჩული, ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, აკად. ნ. მარჩის გამოცემა. TP, VII, თავი იხ, 35) და ნიშნავს დასაწყისს².

¹) ქართულ-ალვანურ-სომხური კალენდარის პარალელების საკითხს ჩვენ ქვემოთ ისევ დავუბრუნდებით სპეციალურ ექსკურსში.

²) „დადეგის“ ხალხური რიტუალი სჩანს არაა დაკავშირებული ქრისტიანულ კალენდარის „ინდიკტიონის დაწყებასთან“ (იხ. გიორგი მთაწმიდელის სვნაქსარი და სხვ.), რადგან ასეთ შემთხვევაში „დადეგის“ ადგილობრივი სპეციფიკური წარმართული ელემენტები აუხსნელი იქნებოდა. „დადეგის“ ღამისთევის წარმოშობის საფუძველი წარმართული კალენდარის მითოლოგიურ ციკლში უნდა ვეძიოთ.

10. «თთუჲ სთუელისაჲ».

საკალენდრო ტერმინი „სთუელი“ ძველ-ქართულში ორგვარი მნიშვნელობით გვხვდება:

ა) „სთუელი“ ეწოდებოდა წელიწადის ერთს სეზონს, და აღნიშნავდა იმავე ცნებას, რასაც ეხლანდელი: შემოდგომა.

ბ) ამავე დროს, როგორც ეს ირკვევა ძველ-ქართული მწერლობის ძეგლებიდან, არსებულა ცალკე თვე, რომელსაც მიკუთვნებული ჰქონია სახელი: «თთუჲ სთუელისაჲ».

ეს თვე მოხსენებულია ორს ძველ-ქართულს ჰაგიოგრაფიულ მოთხრობაში.

პირველი მათგანია «წამებაჲ... კალისტრატისი და მისთანათა სხუათა ორმოც-და-ცხრათაჲ», სადაც ავტორი წამების თარიღად აღნიშნავს:

«თთუესა სთუელისასა ოცსა»¹.

მეორე ტექსტია—ქრისტეფორეს და მისთა მოყვასთა მარტვილობის პირველი ვერსია, სადაც მარტვილთა ერთი ჯგუფის წამება აღნიშნულია

«თთუესა სთველისასა ოც-და-ხუთსა»².

თუ რა თარიღს შეიცავდა «თთუჲ სთუელისაჲ», ამის დასადგენად საჭიროა ჯერ გავითვალისწინოთ ზოგადი ჩვენება: რაკი შემოდგომას ეწოდებოდა საერთოდ „სთუელი“, ცხადია ეს „თთუჲ სთუელისაჲ“ მოქცეული ყოფილა შემოდგომის ფარგლებში, წარმოადგენდა შემოდგომის ერთ-ერთი თვის სახელწოდებას, რომლის სახელიც შემდეგ მთელი შემოდგომის სეზონზე გავრცელებულა.

შემოდგომის სეზონი იწყება დღე-ღამის გასწორების გარკვეული წერტილიდან, როდესაც მზე დაასრულებს გზას „ქალწულის“ ზოდიაკოზე, და მიადგება „სასწორის“ ზოდიაკოს საზღვარს; ამ წერტილთან, რომელიც ძველ-ქართული ზოდიაკალური ქრონოლოგიით 23 სექტემბრის მიჯნაზე უწევს, ხდება „შემოდგომის ბუნობა“ (დღე-ღამის სწორება) და იხსნება შემოდგომის სეზონი.

¹) იხ. ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა, № 341, გვ. 801.

²) იხ. ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა, № 535, გვ. 157ა. (ხელნაწერში სწერია „სთუელისასა“—ნაცვლად „სთველისასა“).

რკალი შემოდგომის ცალკე თვეებისა, ზოდიაკალური ქრონოლოგიის თანახმად, შემდეგია:

თვეები:	შეფარდება შემდეგი ზოდიაკოს ნიშნებს:	დრო:
1. პირველი თვე	„სასწორი“	23 სექტემბრიდან - 22 ოქტომბრამდე
2. მეორე თვე	„ღრიანკალი“	23 ოქტომბრიდან - 21 ნოემბრამდე
3. მესამე თვე	„მშვლდოსანი“	22 ნოემბრიდან - 21 დეკემბრამდე

რომელია შემოდგომის ამ სამ თვეთა შორის ის თვე, რომელსაც ერქვა «თთუჲ სთუელისაჲ».

ირკვევა, რომ თთუჲ სთუელისაჲ ყოფილა პირველი თვე.

ამას ადასტურებს შემდეგი:

1. ტერმინი „სთუელი“ (=სტჳელი), როგორც სპეციალურად თვის სახელწოდება (და არა მთელი სეზონისა) დღემდე შენახულა ერთ-ერთ ქართველურ ენაკავში, სახელდობრ კანურში, და შეიცავს ოქტომბრის თვის რკალს. ამ-რიგად, აღნიშნული სამი თვიდან იგი უდგება პირველ თვეს, რომლის ფარგლებშიაც, ზოდიაკალური ქრონოლოგიის თანახმად, მოქცეული იყო უმთავრესად ოქტომბერი (დრო 23 სექტემბრიდან—22 ოქტომბრამდე).

2. ამას გარდა, თარიღი სთუელის თვისა სრულის ზედმიწევნით ირკვევა აგრეთვე თითონ პირდაპირი შინაარსიდან ამ სიტყვისა: „სთუელი“. ეს სიტყვა „სთუელი“ (=რთველი), როგორც ცნობილია სპეციალურად აღნიშნავს ცნებას: ყურძნის კრეფა. ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას როგორც ახალ-ქართულში, ისე ძველ-ქართულში, რაც დასტურდება უძველესი ტექსტების ჩვენებით, და მათ შორის ბიბლიის ძველ-ქართული ვერსიით. ამ-რიგად „თთუჲ სთუელისაჲ“ ნიშნავს: „თვე ყურძნის კრეფისა“, და ცხადია იგი შეიცავდა სექტემბრის ბოლო რიცხვებს და ოქტომბრის პირველათეულებს, რომლის ფარგლებშიაც უწევს თვით „სთუელი“=რთველი=ყურძნის კრეფის დრო.

საკითხი ამის შემდეგ გამორკვეულად ჩაითვლება და თარიღი სთუელის თვისა ამ-რიგად ყოფილა პირველი თვის რკალი, რომელიც უდრიდა „სასწორის“ ზოდიაკოს ნიშანს, იწყებოდა 23 სექტემბრიდან და სრულდებოდა 22 ოქტომბერს.

აქედან ცხადი ხდება აგრეთვე, რომ სახელწოდება თვისა „ღვინობის-თვე“, რომელიც ეხლანდელს ხალხურ კალენდარში გვხვდება, დაკავშირებულია ძველ-ქართული კალენდარის სახელწოდებასთან „სთუელის თთუჲ“ (=ყურძნის კრეფის თვე=ღვინობის თვე). უდგება როგორც ტერმინის პირდაპირი შინა-

არსი, ისე თარიღიც. (მკითხველისათვის რასაკვირველია ცხადია, რომ ის მცირედენი სხვაობა დღის რიცხვებში, რომელსაც წარმოგვიდგენს ძველი „სთუელის თთუპ“ და ეხლანდელი „ღვინობის-თვე“, აიხსნება კალენდრის „სტილის“ შეცვლით: ეხლანდელი სათვალავი შეფარდებულია რომაულ „სტილთან“, რაც იძლევა ძველ-ქართული კალენდარის „სტილთან“ შედარებით რვა დღით სხვაობას. ამის გამო ეხლანდელი „ღვინობის-თვე“ იწყება 1 ოქტომბერს, ხოლო ძველი „ღვინობის-თვე“ = „სთუელის თთუპ“ იწყებოდა ზოდიაკალური ქრონოლოგიით 8 დღით ადრე, 23 სექტემბრიდან).

ამის თანახმად, კალისტრატეს მარტვილობაში მოხსენებული 20 რიცხვი სთუელის თვისა უდრის 12 ოქტომბერს, ხოლო ქრისტეფორეს მარტვილობის ტექსტში აღნიშნული 27 რიცხვი სთუელის თვისა უდრის 19 ოქტომბერს.

*

ამ ტექსტების (კალისტრატეს მარტვილობის და ქრისტეფორეს მარტვილობის) შესახებ აქ ვურთავთ ზოგიერთს სპეციალური ხასიათის შენიშვნებსაც.

А. კ ა ლ ი ს ტ რ ა ტ ე ს მ ა რ ტ ვ ი ლ ო ბ ა. ამ ძეგლის შესახებ ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი (იხ. ზევით, გვ. 279—280). ეს ძეგლი, როგორც აღვნიშნეთ, ქართული მწერლობის არქაულ პერიოდს ეკუთვნის, ყველა ნიშნებით მე-5 საუკუნეს, და განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის იმ მხრით, რომ ამ თხზულებას გავლენა მოუხდენია გამოჩენილ ძველ-ქართველ მწერალზე, ევსტათი მცხეთელის ბიოგრაფზე.

კალისტრატეს მარტვილობა თარგმნილს თხზულებას წარმოადგენს, მაგრამ ორიგინალი, საიდანაც მომდინარეობს ქართული ტექსტი, არ მოღწეულა ჩვენამდე პირვანდელის სახით. ბერძნულს ენახე წიგნოვნება ამ თხზულების მხოლოდ შენდევდროინდელი გადაკეთებული ვერსია, ეგრეთწოდებული «მეტაფრასია» (იხ. *Migne Cursus compl. Patrologiae*, t. 115). სომხურს ენახე დაცულია კიმენი, მაგრამ ისიც მთელ რიგ ხაზებში გადაკეთებულ ვარიანტს შეიცავს (*Վարդ և վկայաբանութիւնք Իրիւք*, ნაკვეთი I, ვენეტიკი, 1874, გვ. 656—656). ამას გარდა სხვადასხვა ენებზე მოაპოვება მოკლე სვინაქსარული მოსახსენებლები, რომელთაგან ცალკეა აღსანიშნავი ლათინური ტექსტი ბარონისეული მარტიროლოგიისა.

კერძოდ კალისტრატეს მარტვილობის თარიღის შესახებ საჭიროა შემდეგი აღვნიშნოთ.

ბერძნულ «მეტაფრასში» ქრისტეფორეს მარტვილობის თარიღად ნაჩვენებია 27 სექტემბერი. ამასვე უდევს ზოგიერთი სვინაქსარული ტექსტების ჩვენება და აგრეთვე სომხური კიმენის თარიღიც¹.

მეორე წყების წყაროში, ლათინურს ბარონისეულ მარტიროლოგში თარიღად ნაჩვენებია 26 სექტემბერი.

ხოლო ქართულ ტექსტში წამების თარიღად აღნიშნულია სთუელის თვის 20 რიცხვი, რაც უდრის 12 ოქტომბერს.

¹ კერძოდ სომხურს კიმენში თარიღად ნაჩვენებია 27 რიცხვი „ქორის თვისა“. სომხური კალენდარი, როგორც ცნობილია, მოძრავ ციკლს შეიცავს. მაგრამ შეხედურა თვის რიცხვისა (27-ისა) გვიჩვენებს, რომ სომხური კიმენის თარიღი მომდინარეობს ბერძნული პირველწყაროს თარიღიდან: 27 სექტემბერი.

ეს თარიღები, რომლებიც კალისტრატეს შესახებ გვაქვს (26—27 სექტემბერი უცხოური წყაროებისა და 12 ოქტომბერი ძველ-ქართული ტექსტისა) ყველა უწევს სთუელის თვის იმ ფარგლებში, რაც ზევით იყო გამოჩვენებული (ე. ი. 23 სექტემბერსა და 22 ოქტომბერს შუა).

რაც შეეხება რიცხვების განსხვავებას, ეს შეიძლება აიხსნას ან იმით, რომ აქ სხვადასხვანაირი ტრადიციებია დაცული, მით უფრო რომ ძველ-ქართული ტექსტი დამოუკიდებელ ვერსიას წარმოადგენს. (ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში, როგორც ცნობილია, ხშირი მოვლენაა ტრადიციების სხვაობა, და ერთი და იმავე მარტვილის ხსენება, სხვადასხვა წარმოშობის ქეგლებში, ზოგჯერ სხვადასხვა თარიღით არის ხოლმე აღნიშნული).

მაგრამ შესაძლოა დაუშვათ მეორე შესაძლებლობაც, რომ განსხვავება რიცხვებისა აიხსნება არა ტრადიციის სხვაობით, არამედ უბრალო lapsus-ით. რომ რიცხვები აქ გადამახინჯებულია ტექსტის არა ერთგზისი გადაწერის დროს საუკუნეთა განმავლობაში. საფიქრებელია, რომ უფრო სწორია ეს მეორე შესაძლებლობა და აი რატომ. კალისტრატეს მარტვილობის ძველი ქართული ტექსტი, რომელიც მეხუთე საუკუნის ძეგლს წარმოადგენს, მოღწეულა გვიანი პირის, შეათე საუკუნის ერთად-ერთი ხელნაწერის სახით (№ 341), და აქ როგორც აღვნიშნეთ სწერია: „თთუესა სთუელისასა ოცსა“, მაგრამ თავდაპირველ დედანში შესაძლოა წერებულყო „თთუესა სთუელისასა ოთხსა“. საქმე ის არის, რომ ასოთა მსგავსების გამო ძველ-ქართულს დამწერლობაში, როგორც ასომთავრულში, ისე ნუსხურში, ტექსტების გამკრთალების დროს ადვილად ხდება არევა სიტყვებისა: „ოთხსა“ და „ოცსა“ (კერძოდ ასომთავრულში ადვილად ასარევია, მკრთალად დაცულ ტექსტში, ასოები „თ“ და „ც“, ხოლო ნუსხურში „ხ“ და „ც“). ასეთი შენთხვევა „ოთხის“ და „ოცის“ არევისა სხვაგანაც გვხვდება სწორედ იმავე ხელნაწერში № 341. ასე, ბარბარეს მარტვილობა ამ ხელნაწერში აღნიშნულია დეკემბრის „ოცსა“, იმ დროს როდესაც უნდა იყოს დეკემბრის „ოთხსა“. (იმავე ტექსტის მეორე პირში, რომელიც დაცულია სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერში № 95, ბარბარეს მარტვილობა სწორად არის ნაჩვენები—დეკემბრის ოთხსა; და საერთოდ ჰაგიოგლოიაში, როგორც ცნობილია, ბარბარეს მარტვილობის თარიღად დეკემბრის ოთხია მიღებული).

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ არევა დამწერლობისა: „ოთხსა“ და „ოცსა“ ხშირ მოვლენას წარმოადგენს ძველ-ქართულ ხელნაწერებში. აღვნიშნავთ აქ ამის მეორე მაგალითსაც. იოანე ზედაზნელის ბიოგრაფიის ბოლოსიტყვაობაში ნათქვამია, რომ ეს თხზულება დასწერა არსენიმ „შემდგომად ოთხას ოთხისა წლისა“ იოანეს გარდაცვალებიდან. ასე იკითხვის ეს თარიღი ხელნაწერთა ერთ წყებაში. ხოლო ანა-დედოფლისეულ ხელნაწერში სწერია: „შემდგომად ოთხას ოცისა წლისა“, ე. ი. აქაც არეულია „ოთხსა“ და „ოცისა“.

(უნდა აღვნიშნოს ამასთან, რომ როდესაც ძველ-ქართულ ხელნაწერებში გვაქვს მერყეობა „ოთხსა“ და „ოცს“ შორის, პირვანდელია ამ შემთხვევაში „ოთხი“: ასომთავრულსა და ნუსხურს დამწერლობაში, ტექსტის გამკრთალების დროს „ოთხსა“ ადვილად შესაძლოა წაკითხულ იქმნას როგორც „ოცსა“, და არა პირიქით).

ამ-რიგად, თუ ეს კონიექტურა ტექსტისა სწორია, და კალისტრატეს მარტვილობის ტექსტში თავდაპირველად იკითხვოდა არა „თთუესა სთუელისასა ოცსა“ არამედ „თთუესა სთუელისასა ოთხსა“, მაშინ ქართული ტექსტის თარიღი უფ-

გება უცხოურ ტექსტებს, არა მარტო თვის საერთო ფარგლებით, არამედ დღეების სათვალავითაც. სთუელის თვის 4 რიცხვი, ზოდიაქალური ქრონოლოგიის თანახმად, უდრის 26 სექტემბერს, ე. ი. აქ ჩვენ გვაქვს იგივე რიცხვი, რაც რომაულს მარტიროლოგში

ეს რაც შეეხება კალისტრატეს მარტივილობას.—

В. მეორე ტექსტის, ქრისტეფორეს მარტივილობის პირველი ვერსიის შესახებ აქ სიტყვის გაგრძელება აღარ მოგვიხდება. შედარება ამ ნაწარმოებისა სხვა ენებზე ცნობილ ქრისტეფორეს მარტივილობის ვერსიებთან გვიჩვენებს, რომ ქართული ტექსტი უნიკალური ძეგლია, მოთხრობა აქ სხვანაირად არის დამუშავებული და ამ ქართული ვერსიის ზუსტი პარალელი სხვა ენებზე არ მოიპოვება¹. ამის გამო საუბარი თარიღების შედარებაზე აქ ზედმეტი ხდება, ვიდრე არ აღმოჩნდება ქართული ტექსტის პირველწყარო.

✱

დასასრულ აქ ცალკე შევჩერდებით ერთს ძველ-ქართულ მარტიროლოგიურ თხზულებაზე, რომელიც შეიცავს მოთხრობას კოზმან-დამიანეს შესახებ. ამ თხზულების პირვანდელ ტექსტში, როგორც ირკვევა, აგრეთვე მოხსენებული ყოფილა „თთუჲ სთუელისაჲ“; ამას ადასტურებს ერთი გადანაშთი, რომელსაც ჩვენ ამ ძეგლში ვპოულობთ.

ეს თხზულება ორნაირად არის ჩვენთვის საინტერესო. ჯერ ერთი, იგი იძლევა საშუალებას მოვახდინოთ საკონტროლო შემოწმება, თუ სახელდობრ რა რიცხვებში იწყებოდა და სრულდებოდა სთუელის თვე. ამას გარდა ეს თხზულება თავისთავადაც ყურადღებას იქცევს თავისი განსაკუთრებული სიძველით. ზოგიერთ მოსაზრებათა გამო, რაც აქ იქნება წარმოდგენილი, საფიქრებელია, რომ ეს მოთხრობა უფრო ადრინდელი დროის ძეგლია, ვიდრე შუშანიკის მარტივილობა (ე. ი. ეკუთვნის მე-5 საუკუნის 70-იან წლებზე უწინარეს ხანას).

ჯერ შევჩერდებით ტექსტის საკითხზე.

ანალიზი კოზმან-დამიანეს ტექსტისა გვიჩვენებს, რომ ერთი ადგილი ამ მოთხრობისა, სადაც მოხსენებული ყოფილა ძველ-ქართული წარმართული თვის სახელი, გადასწორებულია. ვიდრე გამო-

¹) კერძოდ ბერძნული ტექსტი, რომელიც გამოცემულია *Analecta Bollandiana*-ს სერიაში (I, 122—148), უდგება ქრისტეფორეს მარტივილობის არა იმ ქართულ მოთხრობას, რომელზედაც აქ გვაქვს საუბარი, არამედ მეორე ქართულს ტექსტს, რომელიც მოიპოვება საქ. მეზეუმის ხელნაწერში № 341. რაც შეეხება სომხურ ვერსიას (*Մարտի և Վահագնի մարտիկ*, ნაკვეთი II, ვენეტიკი, 1874, გვ. 527—533), იგი შეიცავს მოკლე სვინაქსარული ტიპის გამოკრებილ მოთხრობას, და აქ სწულიად არ არის თავი „ბევრთა ახლად მოქცეულთა“ შესახებ, სადაც ქართულს ტექსტში წარმოდგენილია თარიღი სთუელის თვისა.

ვარკვევდეთ იმ ცვლილებას, რომელიც მოუხდენიათ ტექსტში. თავდაპირველად განვიხილავთ შუშანიკის მარტვილობის კალენდარულ ჩვენებებს.

შუშანიკის მარტვილობაში ჩვენ შემდეგი თარიღები გვაქვს:

„და არს დასაბამი ტანჯვათა მათ წმიდისა შუშანიკისათაჲ თთუესა აპნისისასა, მერვესა თთვსასა და ღლესა ოთშაბათსა. და მეორედ გუემაჲ მისი აღვსებისა ჰატიკსა. და კუალად ტანჯვაჲ ვარდობისა - თთუესა ათცხრამეტსა. და აღსრულებაჲ მისი თთუესა ოკდონბერსა ათშვდშეტსა, საკსენებელსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კოზმან და დამიანესა, და დღს ხუთშაბათი იყო, რომელსა განვაწესეთ საკსენებელი წმიდისა შუშანიკისი“¹.

შუშანიკის მარტვილობა, როგორც ცნობილია, დაწერილია 472—483 წლებს შორის, და ბუნებრივია, რომ აქ თარიღები ძველ-ქართული წარმართული კალენდარის თანახმად არის აღნიშნული („თთუც აპნისისაჲ“, „ვარდობის-თთუც“). რომაული კალენდარი საქართველოში, როგორც გამორკვეულია, ბევრად გვიან, მე-6—7 საუკუნის საზღვარზე შემოვიდა. მართალია შუშანიკის მარტვილობაში გვხვდება ერთხელ რომაული აღრიცხვა (17 ოკდონბერი), მაგრამ რასაკვირველია ცხადია, რომ ტექსტი ამ ადგილას შემდეგ არის შესწორებული და რომაულ სათვალავზე გადაყვანილია ძველ-ქართული თარიღი. 17 ოკტომბერი უდრის, ძველ-ქართული კალენდარის თანახმად, სთუელის თვის 25-ს, და შუშანიკის მარტვილობის სათანადო ადგილას, 17 ოქტომბრის ნაცვლად, უნდა წერებულყო თავდაპირველად: „თთუესა სთუელისასა ოც-და-ხუთსა“.

აქ მხოლოდ შესაძლოა აღიძრას კითხვა იმის შესახებ, თუ რისთვის მხოლოდ ეს ერთი ადგილი შეასწორეს რომაული სათვალავის თანახმად (სთუელის-თვის 25 რიცხვი—ოქტომბრის 17 რიცხვად), ხოლო დანარჩენი ძველ-ქართული თარიღები (აპნისის 8, ვარდობის-თვის 19) უცვლელად დასტოვეს.—მაგრამ ეს გასაგებია. საქმე ის არის, რომ სთუელის თვის 25 (=17 ოქტომბერი) არის თარიღი შუშანიკის გარდაცვალებისა და სწორედ ეს დღე იყო დაწესებული შუშანიკის დღეობის გადასახდელად. ასე რომ ყველა იმ თარიღებიდან, რომელიც მოხსენებულია შუშანიკის მარტვილობაში, ლიტურგიული პრაქტიკისათვის მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ ამ უკანასკნელს, რადგან იგი უჩვენებდა, თუ რა დღეს მოდიოდა შუშა-

¹) იხ. გვ. 22—23 (ს. გორგაძის გამოცემა).

ნიკის დღესასწაული. ამიტომაც შემდეგდროინდელ გადამწერს, როდესაც რომაული კალენდარი დაკანონდა ჩვენში და საყოველთაო ხმარებაში შემოვიდა, სწორედ ეს თარიღი, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, გადაუსწორებია რომაული სათვალავის თანახმად.

განვიხილოთ ამის შემდეგ მეორე ტექსტი, კოზმან-დამიანეს მოთხრობა.

შუშანიკის მარტვილობის ტექსტის ჩვენება გვაფიქრებინებს, რომ იმ დროს, როცა შუშანიკის მარტვილობა იწერებოდა, ქართულს ენაზე უკვე უნდა არსებულიყო კოზმან-დამიანეს მოთხრობის ვერსია. ყოველ შემთხვევაში კოზმან-დამიანეს სახელი ავტორს ისეთს კონტექსტში აქვს მოხსენებული, რომ იგი მას ქართველი მკითხველისათვის ცნობილად მიაჩნია.

და გარეშეც ამ ჩვენებისა, კოზმან-დამიანეს მოთხრობის არსებობა ქართულად ამ დროისათვის ისედაც მოსალოდნელია. იმავე შუშანიკის მარტვილობის სხვა ცნობის თანახმად ქართულს ენაზე ამ დროს უკვე არსებულა მარტვილთა აქტების კრებული („წიგნნი მოწამეთანი“)¹, და ძნელი საფიქრებელია, რომ აქ არ ყოფილიყო შეტანილი ისეთ პოპულარულ მოწამეთა ცხორება, როგორც კოზმან-დამიანე².

შენახულა თუ არა კოზმან-დამიანეს მოთხრობის ძველი ვერსია?

საქართველოს მუზეუმის ხელნაწერებში № 341 და 535, სადაც მოთავსებულია მთელი რიგი იმ უძველესი ტექსტებისა, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, მოიპოვება, სხვათა შორის, კოზმან-დამიანეს მოთხრობაც.

ამ მოთხრობაში რომაული საკალენდარო ტერმინოლოგია არის მიღებული და ამის მიხედვით თითქო უნდა გვეფიქრა, რომ ეს ტექსტი მე-ნ საუკუნეზე გვიანდელი უნდა იყოს.—მაგრამ ტექსტში შერჩენილა გადანაშთი, საიდანაც ცხადი ხდება, რომ რომაული აღრიც-

¹) იხ. იქვე, გვ. 7.

²) ანაა ამასთან ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ აქ ისიც, რომ სხვა შემთხვევაშიაც შუშანიკისა და კოზმან-დამიანეს სახელები ერთად არის მოხსენებული. ასე, ჰაგიოგრაფიულ კრებულში № 341 (ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა), რომლის ძირითადი ნაწილი ხანმეტური ეპოქიდან მომდინარეობს, ერთ სათაურად აღნიშნულია: „თთუესა ოკდონბერსა იზ (ათშვდმეტსა) წათა კოზმამსი და დამიანესი და წისა შუშანიკისი“ (იხ. გვ. 416). თვით კრებულში მარტო კოზმან-დამიანეს მოთხრობაა მოყვანილი, მაგრამ ეს საერთო სათაური გვიჩვენებს, რომ ძველად შუშანიკის და კოზმან-დამიანეს მარტვილობანი ერთ კრებულში ყოფილა შესული.

ხვა აქ შეწორებას წარმოადგენს და თარიღები თავდაპირველად ძველ-ქართული წარმართული კალენდარის თანახმად ყოფილა ნაჩვენები.

მოთხრობის ტექსტში კოზმან-დამიანეს წამება აღნიშნულია „ოც-და-ხუთსა ოქტონბერისასა“¹.

ასეთი დათარიღება უცნაურია. კოზმან-დამიანეს წამების თარიღად ქრისტიანულ პაგიოლოგიაში ჩვეულებრივ ცნობილია 17 ოქტომბერი, და ამ თარიღს, 17 ოქტომბერს, შუშანიკის მარტვილობის გარკვეული ცნობაც ადასტურებს. კოზმან-დამიანეს მოთხრობის არც ერთ ვერსიაში ასეთი თარიღი 25 ოქტომბერი არ მოიპოვება².

მაშ საიდან გაჩნდა აქ ეს თარიღი, 25 ოქტომბერი?

არაა დიდი გონებამახვილობა საჭირო იმის გამოსაცნობად, რომ ტექსტი აქ წარმოადგენს ძველ-ქართული აღრიცხვის გადასწორების შედეგს. 17 ოქტომბერი, როგორც გამორკვეული გვექონდა, უდრის ქართული „სთუელის თთვს“ სწორედ 25 რიცხვს.—ცხადია შემდეგ-დროინდელს გადამწერს, იმ ხანაში როდესაც რომაული თვეთა-აღრიცხვა საყოველთაო ხმარებაში შემოვიდა, ძველ-ქართული „სთუელის თთუე“ გადაუკეთებია ოქტომბერად, რადგან ეს უფრო გასაგები იყო მკითხველისათვის. მაგრამ გადამწერს ის კი აღარ სცოდნია, რომ ძველ-ქართული კალენდარის სტილი განსხვავდებოდა რომაულისაგან დღეების სათვალავში და ამიტომ რიცხვი 25 გადაუსწორებელად დაუტოვებია.

1). იხ. ხელნაწერი № 341, გვ. 342. (ხელნაწერს № 342 აქლია ბოლო).

2) თარიღი 17 ოქტომბერი ჩვენ გვხვდება როგორც შუშანიკის მარტვილობაში. ისე ყველა ძველ-ქართულ ტექსტებში, რომლებიც კოზმან-დამიანეს ეხება: „დიდ კანონში“ მე-8 საუკუნისა (—იხ. დიდი კანონის ძველ-ქართული ხელნაწერი, რომელიც პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკას ეკუთვნის, და რომლის ფოტოგრაფიული პირი საქართველოს მუზეუმში მოიპოვება), მიქაელ მოდრეკილის იადგარში მე-10 საუკუნისა, იელიის იადგარში მე-10 საუკუნისა (ხელნაწერი დაცულია სვანეთში); ამას გარდა თვით იმ ხელნაწერებში, სადაც მოთაესებულია კოზმან-დამიანეს მარტვილობის აქტები (№ 341 და 335) ხელნაწერში აღნიშნულია იგივე თარიღი—17 ოქტომბერი. ამრიგად ძველ-ქართულმა მწერლობამ სხვა ტრადიცია გარდა 17 ოქტომბრისა არ იცის.

იგივე თარიღი, 17 ოქტომბერი, ჩვენ გვხვდება აგრეთვე კოზმან-დამიანეს აქტების ძველს პირვანდელ ტექსტში, რომელიც გამოცემულია Acta Sanctorum-ის სერიაში (Oct., გვ. 428 შდდ.).

შედეგდროინდელ სხვადასხვა მოსახსენებლებში (სვინაქსარებში და სხვა) მართალია ადგილი აქვს თარიღების მერყეობას (იხ. Сергий, Полномъ Месняе-сѣмъ Востока, II, ნაწ. I, გვ. 321, 17 ოქტომბრის ქვეშ), მაგრამ არც ერთ ტექსტში ასეთი თარიღი—25 ოქტომბერი არ მოიპოვება.

აი ამ გზით წარმოდგარა ის შეუსაბამობა, რომელსაც დღეს კოზმან-დამიანეს მოთხრობის თარიღში ვხედავთ და ნაცვლად „ოც-და-ხუთსა ოკდონბერისასა“ თავდაპირველ დედანში ცხადია ეწერა: „ოც-და-ხუთსა სთუელისა თთვსასა“.

ეს ისტორია, რაც გამოირჩევა კოზმან-დამიანეს და შუშანიკის მარტვილობის თარიღების შესახებ, ანგარიშ-გასაწევია, როცა ძველ ტექსტებს ვიკვლევთ. ძეგლების ერთ წყებაში, როგორც სჩანს, თარიღები შესწორებულია და ძველი ტექსტები შესაძლოა აღმოჩნდეს ისეთ ძეგლთა შორისაც, სადაც დღეს რომაული აღრიცხვა გვხვდება.

ამასთან, კოზმან-დამიანეს მოთხრობა, რომლის შესახებ აქ გვქონდა საუბარი, სჩანს უფრო ძველ ტექსტს წარმოადგენს ვიდრე შუშანიკის მარტვილობა. ეს ირკვევა არა მხოლოდ იმის მიხედვით, რომ მასში წარმართული ქართული საკალენდრო ტერმინოლოგია მოიპოვება და რომ ჩვენება კოზმან-დამიანეს შესახებ ჩართულია შუშანიკის მარტვილობაში, არამედ ამასვე ეთანხმება და ადასტურებს თვით ამ თხზულების არქაული ხასიათი.

10 a. ძველ-ქართული, სომხური და ალვანური კალენდრების პარალელები.

ძველ-ქართული კალენდარის სთუელის თვის თარიღის საკითხთან დაკავშირებით აქ საჭიროა შევხვთ იმ პარალელებსაც, რომელსაც შეიღავს სხვა ძველი კავკასიური კალენდრები: სომხური და ალვანური.

ძველ-ქართულსა, სომხურსა და ალვანურში ჩვენ გვაქვს შემდეგი თანამიმდევრობა თვეებისა ახალწლის თვის შემდეგ:

ქართული:	სომხური:	ალვანური:
1. ახალ-წლისაჲ	1. ნავა-სარდ	1. ნავასარდულ
2. სთუელისაჲ	2. ჰორი	2. ტულჰნ

პირველი თვის სახელი სომხურსა და ალვანურში ჩვენ უკვე განხილული გვქონდა. „ნ ა ვ ა -ს ა რ დ“ ირანულიდან შეთვისებული ტერმინია და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ახალ-წელს. ამ-რიგად სახელწოდებანი პირველი თვისა სომხურსა და ალვანურში თავისი შინაარსით უდგება ქართულს, სამივე კალენდარი აქ გადმოგვცემს ერთსა და იმავე კნებას.

ამის შემდეგ გამოსარკვევია, თუ რას ნიშნავს მეორე თვის სახელი, — სომხური კალენდარისა: ჰორი (հորի), და ალვანური კალენდარისა: ტულჰნ (ტულჰნ, resp. ტულჰნ), რომლებიც რიგის მიხედვით შეეფარდებიან ქართული კალენდარის სთუელის თვის.

ჯერ ალვანური ტერმინის შესახებ.

ერთს ჩვენს გამოკვლევაში („კავკასიის ალვანთა დამწერლობის ძეგლი“), სადაც განხილული გვაქვს ჩვენ დრომდე მოღწეული ორ-ენიანი ქართულ-ალვანური წარწერა, ჩვენ დადგენილი გვაქვს, რომ თანამედროვე უდური ენა არის უძუალო ნემკვიდრე ალვანის მთავარი ენისა, (ე. ი. იმ ენისა, რომელიც მრავალ-დიალექტიან ალვანიაში სახელმწიფოებრივ ენას წარმოადგენდა და რომელზედაც არსებობდა ალვანური მწიგნობრობა)¹.

ეს დებულება, რომელსაც ჩვენ დადგენილი გვქონდა ალვანური წარწერის დეშიფრირების საფუძველზე. ახალ დადასტურებას პოულობს ალვანური კალენდარის შესწავლის ხაზით. ირკვევა ახალი, უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი ალვანური პრობლემის გადასაჭრელად: ალვანური თვეების ძირითადი სახელები (ე. ი. ისეთი სახელები, რომლებიც არაა ნასესხები ირანულიდან, ან სხვა კალენდრებიდან), პოულობენ ახსნას უდურ ენაში.

ეს საკითხი მთელის მოცულობით განხილული გვაქვს ქვემოთ, სპეციალურ ექსკურსში, და აქ შევჩერდებით უმთავრესად თვის სახელზე „ტულჰნ“, რამდენადაც ამას კავშირი აქვს ქართული კალენდარის სთუელის თვის დათარიღების საკითხთან.

სახელწოდება ალვანური თვისა „ტულჰნ“ („ტულჰნ“) უდური ენის ნიადაგზე იხსნება.

უდურ ენაში „ტულ“ ნიშნავს: ყურძენი; „ტულ-ენ“ — ყურძნოვანი.

ამ-რიგად ძველი ალვანური თვის სახელი „ტულჰნ“ („ტულჰნ“) გამოხატავდა იმავე ცნებას, რასაც ძველ-ქართული კალენდარის სათანადო თვის სახელი: „თთუჰ სთუელისაჲ“, ე. ი. თვე ყურძნისა, ყურძნის კრეფისა.

და ჯერც მთავარია, ჩვენ აქ გვაქვს შეფარდება არა მარტო თვეების სახელწოდებათა მნიშვნელობისა, არაჲდ თვეების რიგისა: როგორც ვნახეთ, ქართულში, ისევე როგორც ალვანურში, ამ თვეებს, თანრიგის მიხედვით, მიეკუთნება მეორე ადგილი ახალწლის თვის შემდეგ.

კითხვა ყოველმხრივ დადგენილია. შეხვედრა თვეების თანრიგისა, ისე მათი მნიშვნელობისა, და ამავე დროს ალვანური და უდური ლექსი-

¹) ეს გამოკვლევა „კავკასიის ალვანთა დამწერლობის ძეგლი“ წაკითხული იყო მოხსენების სახით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 15 იანვარს 1927 წელს. (ანგარიში გამოქვეყნებული იყო პრესაში). გამოკვლევა ახლო ხანში ცალკე წიგნად გამოვა.

კალური პარალელიზმი იმდენად ზუსტია, — რომ იგივეობა ამ ტერმინებისა „სთუელისაჲ“ = „ტულს“ გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს.

აქედან კი გამოძლინარეობს შემდეგი დასკვნები:

ა) უდური ენა, სჩანს, უშუალო მემკვიდრეა ალვანური ენისა. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ არცერთს სხვა აღმოსავლეთ-კავკასიურ ენაში, რომლებშიაც ეძებდენ ალვანური ენის მემკვიდრეს, სიტყვა „ტულ“ არ ნიშნავს ყურძენს.

კერძოდ ავარულ (ხუნძურ) ენაში ყურძენი აღინიშნება ამ სიტყვით: „წიბილ“.

კიურულ (ლეზგურ) ენაში: „წიფიწ“.

ლაკურ ენაში: „თუთი“.

დარგუას ენაში აგრეთვე: „თუთი“.

ამგვარადვე სხვა აღმოსავლეთ-კავკასიურ ენებში და ენაკაუებში, სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ცნებას „ყურძენი“, განირჩევა ალვანურ-უდური ტერმინისაგან „ტულ“.

აქ საჭიროა ხაზი გაუსვათ შემდეგ გარემოებასაც:

როდესაც ჩვენ ვადარებთ ალვანურსა და სხვა კავკასიურ ტერმინებს. ნხედველობაში უნდა იყვეს მიღებული სიტყვების ისტორიულად ჩამოყალიბებული სახე და არა უბრალოდ სიტყვათა ძირების ნათესაობა. საკმე ის არის, რომ კავკასიური ენები (მათ შორის უდური, სხვა აღმოსავლეთ-კავკასიური ენები და აგრეთვე ქართველური ენებიც) ერთს მონათესავე ოჯახს ეკუთვნიან. ამის განმარტება, რომ ერთი და იმავე ძირიდან არის განშტოებული ყველა ეს ტერმინები, რომლებიც აღნიშნავენ ცნებას ყურძენი: ე. ი. ძველ-ალვანური „ტულ“, უდური „ტულ“, ავარული „წიბილ“ (რომელიც შესაძლოა განვითარდა ასეთი ფორმიდან: * ტიბილ), კიურული „წიფიწ“ (რომლის პირვანდელი ფორმა შესაძლოა იყო * ტიფ-იტ || ტილფ-იტ) ლაკური და დარგოული „თუთი“ (რომლის პირვანდელ ფორმად შესაძლოა ვიგულისხმოდ: * თულთი), და აგრეთვე თვით ქართულ ისთუელი. — მაგრამ თუ დადასტურდა ამ ტერმინების ნათესაობა (ყველა ნიშნებით ნათესაობა ამ სიტყვებისა მართლაც საფიქრებელია), ეს ოჯახაც არ ასუსტებს იმ დასკვნას, რომ ალვანური ენის უშუალო მემკვიდრეა უდური ენა. პირაქით, ამ საერთო ნათესაობის საფუძველზე, უშუალო კავშირი ალვანურისა და უდურისა კიდევ უფრო ნათელი ხდება: იმ დროს როდესაც ყველა კავკასიურ ენებში ეს ტერმინი დიფერენცირებულია და სხვა გაფორმებით არის მოცემული, უდური ზედმიწევნით უდგება ალვანურს როგორც ფუძე-სიტყვით — „ტულ“, ისი გრამატიკული სუფიქსით „ენ“: „ტულ-ენ“.

ბ) მეორე დასკვნა, რომელიც გამოძლინარეობს აქ აღნიშნული შეხვედრიდან, არის ის, რომ ალვანური კალენდარი, როგორც სჩანს, ერთგვარს გენეტიურ პარალელიზმს წარმოგვიდგენს ძველ-ქართულ კალენდართან. სათანადო თვეები, რომლებიც ერთმანერთს უდგება რიგის მიხედვით, ზოგჯერ, როგორც ირკვევა, ერთსა და იმავე ცნე-

ბას აღნიშნავენ. გარდა ამ პარალელიზმისა ქართული „სთუელისაჲ“ და ალვანური „ტულსნ“,—ჩვენ უკვე მოხსენებლი გვაქონდა მეორე ანალოგიური შემთხვევა: ალვანური „ზახნეაჲ“=ქართული „არდადეგისაჲ“ (მზის-დეგისაჲ). აქ აღნიშნავთ დამატებით, რომ ალვანური თვის ეს სახელი „ზახნეაჲ“—აგრეთვე პოულობს ახსნას უდური ენის ნიადაგზე.

თანამედროვე უდურ ენაში მზეს ეწოდება: „ბჰლ“. ხოლო გრამატიკული სუფიქსის („ნაჲ“—ს) დართვით ჩვენ გვაქვს ტერმინი: „ბჰლნაჲ“ რაც უდურად ნიშნავს: „მზისაჲ“. იდენტიურობა თანამედროვე უდურისა: „ბჰლნაჲ“ და ძველ-ალვანურისა: „ზახნეაჲ“—უდავოა. (ამ ტერმინს აქვს პარალელები სხვა კავკასიურ ენებშიაც, მაგრამ აქ საგულისხმოა შეხვედრა ალვანურისა და უდურისა როგორც ფუძე-სიტყვით: ბჰლ=ზახ, ისე გრამატიკული გაფორმებით: ბჰლ-ნაჲ=ზახ-ნეაჲ). ამავე დროს ჩვენ გვაქვს შეხვედრა ქართული კალენდარის თვესთან როგორც შინაარსის მიხედვით (ალვანურ-უდური „ზახნეაჲ=მზისაჲ, ქართული „არდა-დეგისაჲ“=მზის-დეგისაჲ), აგრეთვე რიგის მიხედვითაც: ქართულშიაც და ალვანურშიაც ამ თვეებს მიეკუთვნება მე-12 ადგილი თვეების საერთო რკალში (ახალწლის თვიდან დაწყებული).

ეს პარალელები ამით არ განისაზღვრება. აღნიშნავთ აქ კიდევ ორი თვის სახელწოდებას, რომელთა მნიშვნელობა ადვილი გასარკვევია და აქ სიტყვას არ გაგვიგრძელებს.

ა. ივლისის თვეს თანამედროვე ქართულ პალსტრ კალენდარში ეწოდება „მკალა-თვე“. (როგორც ქვემოთ იქნება დადგენილი, ანალოგიურ ცნებას შეიცავდა ამ თვის ძველ-ქართული სახელიც: „თთუც ქუელთობისაჲ“). ხოლო ალვანურში სათანადო თვის რკალს ეწოდება „ეხნაჲ“. ეს ტერმინიც აგრეთვე პოულობს ახსნას უდურ ენაში. უდურად „ეხ“ ნიშნავს „მკა“, ხოლო უკვე ნაცნობი გრამატიკული სუფიქსის „ნაჲ“-ს დართვით „ეხნაჲ“ უდურად აღნიშნავს: „მკისაჲ“. ამ-რიგად აქაც ჩვენ გვაქვს ზუსტი შეხვედრა ალვანური ტერმინისა უდურთან, და ამავე დროს პარალელი შინაარსის მიხედვით ქართულთან: ქართული „მკალა-თვე“ ე. ი. მკის თვე, ალვანურ-უდური „ეხნაჲ“=მკისაჲ. უდგება აგრეთვე თვეების რიგიც: როგორც ქართულში მკათათვე=ქუელთობისაჲ, ისე ალვანურში „ეხნაჲ“ მე-11 თვეებია (ახალწლის თვიდან დაწყებული).

ბ. ძველ-ქართული კალენდრის მეოთხე თვეს (ახალწლის თვის შემდეგ) ეწოდებოდა „ტირის-დენისაჲ“. იგი შეიცავდა ნოემბერ-დეკემბრის რკალს (იწყებოდა 22 ნოემბერს და სრულდებოდა 21 დე-

კემბერს). როგორც ქვემოთ იქნება დადგენილი, ამ თვის ძველ-ქართული სახელი „ტირის-დენისაჲ“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავდა შებ-დეგს: „ხელის-დენისაჲ“. ალვანურად სათანადო თვეს (ე. ი. მეოთხე თვეს ახალწლის თვის შემდეგ) ეწოდება: „ჰილც“ („ჰილეჲ“). უდურად „ხელლაჲ“ ნიშნავს „წყლისაჲ“ („ხელლა ხაშ“ წყლოვანი თვე). ფონეტიკური იგივეობა თანამედროვე უდურისა „ხელლაჲ“ და ძველი ალვანურისა „ჰილეჲ“ ცხადია. ასევე ცხადია პარალელური ძველ-ქართული კალენდარის სათანადო თვესთან შინაარსის მიხედვით.

ჩვენ ამგზის ამით შეგვიძლია დავასრულოთ საუბარი ალვანურ-უდური შესატყვისობის და ქართულ-ალვანური პარალელების შესახებ.

გადავდივართ ამის შემდეგ ძველ-სომხური კალენდარის სათანადო თვის სახელის განხილვაზე.

კითხვა ეხება სომხური კალენდარის მეორე თვეს „ჰორი“ (*հորի*), რომელიც რიგის მიხედვით უდრის ქართული კალენდარის მეორე თვეს: „თთუც სთუელისაჲ“.

სომხური კალენდარის მეორე თვის ეს სახელი: „ჰორი“, და აგრეთვე სახელწოდებაც სომხური კალენდარის მესამე თვისა: „საჰმი“, დღემდე აუხსნელი რჩება სპეციალურ ლიტერატურაში.

ცნობილი არმენისტი კ. პატკანიანი თავის გამოკვლევაში ძველ-სომხური თვეების შესახებ სახელწოდებას მეორე თვისა „ჰორი“ ადარებს ირანულს „შაჰრიარ“, „შაჰრივარ“, რომელიც მიღებულია „ქშათრავაირია“—საგან. მაგრამ ეს დაპირისპირება ხელოვნურია და უსაფუძვლო. ჯერ ერძი, ფონეტიკურად არავითარი მსგავსება არ არსებობს სომხურ ტერმინს „ჰორი“ და მის შესაფარდებლად მოყვანილ ირანულ ტერმინებს შორის. და ამას გარდა აქ ადგილი აქვს ქრონოლოგიურ განსხვავებას: სომხურში „ჰორი“ აღნიშნავს მეორე თვეს, ხოლო ირანულში „შაჰრიარ“ „შაჰრივარ“—მეექვსე თვის სახელწოდებაა.—რაც შეეხება თვის სახელწოდებას „საჰმი“, ამ ტერმინს კ. პატკანიანი აუხსნელად სტოვებს.

პ. ჰუბშმანი, თავის ცნობილ შრომაში *Armenische grammatik (I: Armenische Etymologie)*—ამ ტერმინებს „ჰორი“ და „საჰმი“ სრულებით არ ეხება, როგორც გამოურკვეველი წარმოშობის სიტყვებს.

განმარტება ტერმინებისა „ჰორი“ და „საჰმი“ შესაძლო ხდება ძველ-ქართული და ძველ-სომხური კალენდრების შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

საკითხს ძველ-ქართული და ძველ-სომხური კალენდარის ურთიერთობის შესახებ ჩვენ აგრეთვე სპეციალურად ვეხებით ამ გამოკვლევის ცალკე ექსკურსში; ამ საკითხის მთლიანის მოცულობით განხილვა შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, როდესაც მკითხველი გაეცნობა ძველ-ქართული კალენდარის შესახებ ყველა რეალებს. აქ კი, წინასწარი ორიენტაციისათვის, ზოგადად აღვნიშნავთ ზოგიერთ ხაზებს, რასაც უშუალო კავშირი აქვს აქ აღძრულ საკითხებთან.

ძველ-სომხური კალენდარის თვეების სახელწოდებათა შორის ჩვენ გვაქვს რამდენიმე ტერმინი (როგორც „ნავა-სარდ“ და სხვანი), რომლებიც შეთვისებულია ირანულიდან, და რომლებიც ჩვენი საკითხისათვის არ წარმოადგენს ინტერესს.

რაც შეეხება სომხური კალენდარის ძირითად ფენს, იგი, როგორც ირკვევა, ორგანიულ კავშირში იმყოფება ძველ-ქართულ კალენდართან.

სომხური კალენდარის ძირითად ფენში ჩვენ გვაქვს სამი ჯგუფი თვეების სახელებისა:

ა) ერთი ჯგუფი თვეების სახელწოდებათა სომხური ძირის სიტყვებით არის აღნიშნული, მაგრამ გადმოგვცემს იმ-ვე წრის ცნებებს, რასაც ქართული თვეების სახელები.

ბ) მეორე ჯგუფი სომხური თვეების სახელებისა პირდაპირ იმეორებს სათანადო ქართულ ტერმინებს. ეს ტერმინები სომხური ენის ნიადაგზე აუხსნელი რჩება და მხოლოდ ქართული ენის საფუძველზე შესაძლო ხდება მათი განმარტება.

გ) მესამე ჯგუფი სომხური თვეების სახელებისა ეს არის მეორე თვის სახელი „ჰორი“ და მესამე თვის სახელი „საჰმი“.

თავდაპირველად საჭიროა აღვნიშნოს, რომ არც ერთი ეს ტერმინი, არც „ჰორი“ და არც „საჰმი“ არ არის ინდოგერმანული ძირის სიტყვა და ამას გარდა არავითარი პარალელი ინდოგერმანულ ხალხთა კალენდრებში ამ ტერმინებს არ მოეპოვება. ჯერ მართლაც ამ ზოგადი ჩვენების მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ ეს ტერმინები შეთვისებული უნდა იყოს სომხურში იაფეტური ენებიდან. (სომხური ენა, როგორც ცნობილია, ორ-ბუნებოვანია, ორმაგი შედგენილობისა, რომლის ერთი ფენი ინდოგერმანულს, ხოლო მეორე ფენი იაფეტურს უდგება).

ეს ზოგადი გამოსავალი დებულება შესაძლოა უფრო ზუსტად განისაზღვროს. რაკი სომხური კალენდარის ტერმინების გარკვეული წყება (სახელდობრ მეორე ჯგუფის ტერმინები) წარმოადგენს ქართული თვეების სახელების პირდაპირ განმეორებას და ქართული

ენის ნიადაგზე პოულობს ახსნას,—ანის მისედვით საფიქრებელია, რომ ის იათეტური ენა, საიდანაც სომხურს უსესხია ეს მესამე ჯგუფის ტერმინებიც (ე. ი. „ჰორი“ და „საჰმი“) აგრეთვე ქართული ენა და მისი ენაკავეები უნდა იყოს.

და ეს მართლაც ასეა.

ქართულს ენაში ჩვენ გვაქვს რიცხვითი სახელები: „ორი“ და „სამი“. იგვევობა ამ ტერმინებისა „ორი“ და „სამი“ და სომხური თვეებს სახელებისა „ჰორი“ და „საჰმი“ უდავო სდება, როდესაც გავითვალისწინებთ ქვემოთ აღნიშნულ გარემოებებს.

მაგრამ ჯერ აღვადგინოთ პირვანდელი ფორმა სომხური და ქართული ტერმინებისა.

სომხური ენის ფონეტიკას, როგორც ცნობილია, ახასიათებს ღოტის (ჰ) შენაცვლება სპირანტით: ჰ. ეს შენაცვლება $h \rightarrow \chi$ ჩვეულებრივი წესია სიტყვის პირველ ბგერაში, მაგრამ მას გავრცელება აქვს ფუძე-მარცვლებზედაც. ამის მისედვით, პირვანდელი ფორმა ტერმინებისა: „ჰორი“ და „საჰმი“ არის: *„**ჰორი**“ და *„**საჰმი**“.

ქართველურ ენებში სიტყვები „ორი“ და „სამი“ შემდეგს ფონეტიკურს სახეობას წარმოგვიდგენენ.

ა) **ორი**.

საკუთრივ ქართულში ამ სიტყვის ძირითადი ფორმა, როგორც ირკვევა, არის შემდეგი: „**ჰორი**“. რომ ძირითადი სახე ამ სიტყვისა ქართულში იყო „**ჰორი**“, ე. ი. დასაწყისში შეიცავდა ბგერას „**ჰ**“ ამას ადასტურებს ამ ფორმიდან განვითარებული სახე-სხვაობა „**ჰორი**“ (რომელიც შენახულა ლიხთ-იმერეთის კილოებში) და აგრეთვე სვანური და ქან-მეგრული პარალელები.

სვანურში უცვლელად არის დაცული ამ სიტყვის პირველი ბგერა „**ჰ**“. ეს სიტყვა სვანურში შემდეგის ვარიანტებით არის წარმოდგენილი: **ჰორი**, **ჰერკ**, **ჰერბი**. პირვანდელი ფორმაა სჩანს **ჰორი**, რაც უდგება ქართულს პრა-ფორმას **ჰორი**, და ამ სიტყვის ქან-მეგრულ განშტოებასაც.

ქანურში ეს სიტყვა დაცულია ასეთის ვარიანტებით: „**ჰური**“ (სპორადიულად), „**ჰური-ი**“ და „**ჰური-ი**“. ქართველური ენების ფონეტიკის კანონები გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ პირვანდელი ფორმა ამ შემთხვევაშიაც სყო * **ჰორი** $\rightarrow$ **ჰური**, ხოლო „**ჰური-ი**“ $\rightarrow$ „**ჰური-ი**“ წარმოადგენს უფრო გვიანდელს სახენაცვალს ფორმებს.

ქართველურ ენებში, როგორც ცნობილია, ბგერა „ა“ შემდეგ ვითარდება და გადადის ბგერაში „ჟ“.

ასე, მაგალითად, მესხურ კილოში ფორმიდან „იარე“ (→ „მარე“) ჩვენ მივიღეთ შემდეგ „ჟარე“, ფორმიდან „ვიარები“ (→ „ვმარები“). მივიღეთ „ჟჟარები“¹.

კერძოდ კან-მეგრულშიაც გავრცელება აქვს იმავე ფონეტიკურ კანონს. ასე, მაგალითად, საგვარეულო სახელიდან „მორდანი“ ჩვენ მივიღეთ „ჟორდანი“; „აკობია“ → „ეაკობია“ → „ჯაკობია“; „ეჭანია“ → „ეჭანია“².

ამგვარადვე ძირითადი ფორმიდან * მორი → მური განვითარდა: ჟური → ჟური.

მეგრულშიაც ძირითადი ფორმაა იგივე * მორი → * მური, საიდანაც შემდეგ მივიღეთ სახენაცვალ ფორმები: * ჟური → ჟგრი → ჟირი.

გ) სამი.

ჯერ ამ სიტყვა „სამი“-ს ქართულსა და სვანურს ენაში დაცული სახეობის შესახებ.

ქართულსა და სვანურში, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ხმოვან ბგერათა შემდეგი შესატყვისობა: ქართულს ბგერას „ა“ სვანურში შეეფარდება „ე“. ამ შეფარდების საფუძველზე ჩვენ გვაქვს ქართულში: „სამი“, ხოლო სვანურში „სემი“.

რას ნიშნავს ქართულ-სვანური ბგერათა ეს შეფარდება: ა=ე. ეს ნიშნავს იმას, რომ იმ სიტყვებში, სადაც ქართულში გვაქვს „ა“, ხოლო სვანურში „ე“, ამ სიტყვების პრა-ფორმა (ე. ი. ის თავდაპირველი ფორმა, საიდანაც განვითარდა ქართული და სვანური ვარიანტები), „ა“ და „ე“-ს მაგიერ შეიცავდა მოტირებულ ბგერას: „აჟ“. ნხოლოდ ამგვარი მოტირებული ბგერიდან „აჟ“ შესაძლოა წარმოშობილიყო სვანურში „ე“ (რომელიც წარმოადგენს შერწყმას ამ კომპლექსისა „აჟ“), ხოლო ქართულში „ა“ (რომელიც წარმოადგენს გარდაქმნას იმავე კომპლექსისა „აჟ“, სუსტი ზენაბგერის მოტის გაქრობით). ამის თანახმად პრა-ფორმა ქართული სიტყვისა „სამი“ და სვანური სიტყვისა „სემი“ არის „ხაჟმი“, საიდანაც წარმოიშვა ეს ორი სახე-სხვაობა.

¹) რომ მესხურ კილოში „იარე“ გამოითქმოდა როგორც „ჟარე“, „ვიარები“ როგორც „ვეარები“, — იხ. ამის შესახებ სულხან-საბა ორბელიანის ცნობა, მის ლექსიკონში, გვ. 276 და 123 (სიტყვები: „ჟარე“ და „ვეარები“).

იხ. ამავე საგანზე სპეციალური წერილი გ. ახვლედიანისა „ვეარები ჟარეს ზეახებ“ (ქურნ. „ჩვენი მეცნიერება“, 1923 წ. № 6—7, გვ. 80).

²) იხ. აკად. ნ. მარტი, Грузинские приписки греческого Евангелия на Коридии (ИРАН, 1911 წ. გვ. 220):

რომ გასაგები გახდეს ქან-მეგრული განშტოება ამ სიტყვისა: „ს ა ჟ მ ი“ (→ სამი||სემი), საჭიროა გათვალისწინებულ იქმნეს შემდეგი:

1. ქართულ-სვანურს დიფტონგს „აჟ“ ქან-მეგრულში შეეთარდება: „აჟ“, საიდანაც ვითარდება ო→უ.

2. ქართულს თანხმოვანს „ს“ და მის შეთარდებას სვანურში „ს||შ“, ქან-მეგრულში უდრის: „შ“.

ამის თანახმად ქართულ-სვანურს პრა-ფორმას: „ს ა ჟ მ ი“ ქან-მეგრულში შეეთარდებოდა: „შ ა ჟ მ ი“, საიდანაც შემდეგ განვითარდა ქან-მეგრული ფორმები ამ სიტყვისა: * შომი→ შუმი¹.

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ ფონეტიკურ ანალიზს ქართველური ენების რიცხვითი სახელებისა. ირკვევა მაშასადამე შემდეგი: პრა-ფორმა სიტყვისა „ორი“ ყველა ქართველურ ენებში (ქართულში, სვანურში და ქან-მეგრულში) არის * ღ ო რ ი. პრა-ფორმა სიტყვისა „სამი“ ქართულსა და სვანურში არის * ს ა ჟ მ ი, ხოლო ქან-მეგრულში „შ ა ჟ მ ი“.

სიტყვათა ფორმების მიმოხილვისა და მათი პირველადი სახის გათვალისწინების შემდეგ გადავიდეთ საკითხის არსებით განხილვაზე.

როგორც ირკვევა, სომხურს კალენდარში ჩვენ საქმე გვაქვს მეტად საგულისხმო შეხვედრასთან. სომხური კალენდარის თვეების სახელებად, როგორც ვხედავთ, გამოყენებული ყოფილა ქართული რიცხვითი სახელები * „ღორი“ (=ორი) და * „საჟმი“ (=სამი).

ხოლო მთავარი აქ ის არის, რომ ჩვენ გვაქვს არა უბრალო შეხვედრა ტერმინებისა, არამედ სრული შეთარდება ამ რიცხვებისა თვეების რიგთან: სომხურს კალენდარში, როგორც აღნიშნული გვქონდა, * „ღორი“ ეწოდება სწორედ მეორე თვეს, * „საჟმი“—მესამე თვეს.

აქ საჭიროა კიდევ შემდეგი განმარტება.

მკითხველს რასაკვირველია მიაჩნდება, რომ კალენდარის ისტორიაში ხშირი მოვლენაა, როდესაც თვეები ატარებენ სახელებს იმ თანრიგის მიხედვით, რომელიც მათ უჭირავთ თვეების საერთო რეალში.

რომ ავიღოთ თანამედროვე მკითხველისათვის უფრო ნაცნობი მაგალითები, რომაული თვეების სახელები: სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.

¹) ქანურში ეს სიტყვა ეხლა დაცულია ამ სახით: „შუმ-ი“ და „სუმ-ი“. „სუმ-ი“ ამ სიტყვის შემდეგი „გაქართულების“ შედეგია და მიღებულია „შუმი“-საგან. მეგრულშიაც დაცულია ეს შემდგომი გაქართულებული სახე „სუმი“.

რი (September, October, November, December, და აგრეთვე შემდეგი თვეების სახელებიც უძველესი რომაული კალენდარისა Quinctilis, Sextilis) რიცხვითი სახელებიდან არის ნაწარმოები.

ასევე ძველი ბერძნული კალენდრებიდან—ფოკიდის კალენდარში ცხრა თვე (გარდა შემდეგი თვეებისა: მე-2-ისა, მე-6-ისა და მე-8-ისა) რიცხვის სახელებს ატარებს: პირველ თვეს ეწოდება *πρωτης* (ე. ი. „პირველი“) მესამე თვეს *τριτης* (= „მესამე“) და ასევე დანარჩენი თვეების სახელები: *τεταρτης*, *πεντατης*, *hexemης*, *εβδομης*, *οκτωμης*, *enneμης*, *δεκαμης*. (იხ. Kubitschek, 150).

ებრაულ კალენდარშიაც, საკუთარი სახელების გვერდით (ნისანი, იარი და სხვა) ჩვენ გვაქვს პარალელურად თვეების სახელების აღნიშვნა რიცხვებით (პირველი, მეორე და სხვა).

ამგვარივე სურათი გვაქვს, მთელ რიგ შემთხვევებში, სხვა კალენდრებშიაც.

ხოლო ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტი: ანალოგიური სახელწოდებანი თვეებისა თან-რიგის მიხედვით, ქართულშიაც ყოფილა მიღებული. ქართულში, როგორც ირკვევა, პარალელურად იხმარებოდა თვეების სახელწოდებათა ორივე ტიპი: როგორც საკუთარი სახელები (ე. ი. „ახალწლისაჲ“, „სთუელისაჲ“ „ტირისკნისისაჲ“ და სხვანი, ხოლო შემდეგ რომაული ტერმინები: იანვარი, თებერვალი და სხვანი) ისე რიცხვიდან ნაწარმოები სახელები („პირველი თთუც“, „მეორე თთუც“, „მესამე თთუც“ და სხვანი).

ამას ადასტურებს, სხვათა-შორის, ძველ-ქართული მწერლობის ძეგლი: «წიგნი ქართველთა მოქცევისაჲ» (ნინოს ბიოგრაფიის შატ-ბერდულ-ქელიშური ვერსია). აქ ჩვენ გვაქვს ასეთი თარიღები:

„წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათხუთმეტსა“ (იხ. გვ. 746, ე. თაყაიშვილის გამოცემა, OP, II).

„მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა, ოცდაათსა დღესა“ (იხ. იქვე, გვ. 746).

„თთუესა მეოთხესა წარვედ მათა ზედა ჯავახეთისათა“ (იხ. იქვე, გვ. 748).

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ეს ძეგლი («წიგნი ქართველთა მოქცევისაჲ») ორიგინალური ქართული თხზულებაა, და რიცხვიდან ნაწარმოები თვეების სახელები, რომლებიც გვხვდება ამ ტექსტში, ეს არის არა უცხოური ორიგინალის გავლენის შედეგი, არამედ, როგორც ირკვევა, ამგვარი სათვალავი ქართულს კალენდარში ყოფილა მიღებული.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქ იყო აღნიშნული, გასაგები ზღვება სომხური კალენდარის მეორე და მესამე თვის სახელები * დორი (=ორი) და * საჲმი (=სამი): ისინი წარმოგვიდგენენ ჩვეულებრივ ტიპს რიცხვიდან ნაწარმოები თვეთა სახელებისას.—

აქ მხოლოდ შესაძლოა აღიძრას ასეთი საკითხი, თუ რად იხმარება სომხურში ეს რიცხვითი სახელები რაოდენობის ფორმით, და არა რიგის ფორმით, ე. ი. რისთვის გვაქვს სომხურში * „**გორითვე**“ (= „**ორი თვე**“) * „**სამითვე**“ (= „**სამი თვე**“) და არა — „**მეორე თვე**“, „**მესამე თვე**“.

ეს დამახასიათებელი თავისებურობა აგრეთვე ეთანხმება ჩვენს დასკვნას, თუ საიდან ისესხა ეს ტერმინები სომხურმა.

რიცხვები აქ შემდეგის სპეციფიკური მნიშვნელობით არის მოცემული: მეორე თვე აქ ათვისებულია არა როგორც უბრალოდ „მეორე“ თანამიმდევრობის მიხედვით, არამედ როგორც **ორი თვე** ახალწლიდან, მესამე თვე როგორც **სამი თვე** ახალწლიდან.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ შემდეგი საგულისხმო გარემოება. ხმარება რაოდენობის ფორმებისა (ერთი, ორი, სამი და სხვა) რიგის აღსანიშნავად (პირველი, მეორე, მესამე და სხვა) სწორედ დამახასიათებელია ქართველური და საერთოდ იაფეტური სისტემის ენებისთვის. ამ მხრით სრულს ანალოგიას წარმოგვიდგენს თვეების სათვალავთან: 1) თვის დღეების სათვალავი და 2) კვირის დღეების სათვალავი.

1. თვის დღეების სათვალავი.

ძველ-ქართულში თვის დღეების სათვალავი ორგვარად აღინიშნება, როგორც რიგის ფორმით, ისე რაოდენობის ფორმით. ითქმოდა:

„**პირველი დღე იანვრის თვისა**“ და ამავე დროს „**ერთი დღე იანვრის თვისა**“;

„**მეორე დღე იანვრისა**“ და ამავე დროს „**ორი დღე იანვრისა**“;

„**მესამე დღე იანვრისა**“ და ამავე დროს „**სამი დღე იანვრისა**“.

და ამგვარადვე ყველა დანარჩენი რიცხვები.

აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ქართული ენისათვის სჩანს უფრო ბუნებრივია რაოდენობის ფორმა (ერთი, ორი, სამი და სხვა) და არა რიგის ფორმა (პირველი, მეორე, მესამე და სხვა). ჩვენ შევამოწმეთ ყველა თარიღები, რომლებიც კი ძველ-ქართულ ნწერლობაში გვხვდება მე-10 საუკუნის დასასრულამდე, და გამოირკვა, რომ დიდი უმრავლესობა, თითქმის 90% თარიღებისა რაოდენობის ფორმით არის აღნიშნული, ე. ი. წარმოგვიდგენს ამ ტიპს: **ერთი დღე იანვრისა**, **ორი დღე იანვრისა** (resp. **ერთი იანვრისა**, **ორი იანვრისა**, resp. **ერთი იანვარი**, **ორი იანვარი**). ხოლო აღრიცხვა რიგის ფორმებით (ე. ი. ამ ტიპით: „**პირველი დღე იანვრისა**“, „**მეორე დღე იანვრისა**“) აქ ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს.

და საფიქრებელი ხდება, რომ ეს წყობა მწიგნობრულის გზით არის შეთვისებული ინდოგერმანული სისტემის ენებიდან.

რომ რაოდენობის ფორმები უფრო ბუნებრივია ქართული ენისათვის, ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ხალხური ენა (და მასზე აღმოცენებული ასალი სალიტერატურო ქართული) ხმარობს მხოლოდ რაოდენობის ფორმებს. ახალ-ქართულში ითქმის: ო რ ი ი ა ნ ვ ა რ ი, ს ა მ ი ი ა ნ ვ ა რ ი, თ ხ უ თ მ ე ტ ი ი ა ნ ვ ა რ ი, ო ც დ ა ა თ ი ი ა ნ ვ ა რ ი, და არა: მ ე ო რ ე ი ა ნ ვ ა რ ი, მ ე ს ა მ ე ი ა ნ ვ ა რ ი, მ ე თ ხ უ თ მ ე ტ ე ი ა ნ ვ ა რ ი, მ ე ო ც დ ა ა თ ე ი ა ნ ვ ა რ ი.

ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთად-ერთი გამონაკლისი,—რიცხვი: „პირველი“. ახალ-ქართულში ითქმის პ ი რ ვ ე ლ ი ი ა ნ ვ ა რ ი, იმ დროს როდესაც საერთო წესის თანახმად უნდა ყოფილიყო „ერთი იანვარი“. მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ თვით სიტყვა „პირველი“ სხვა წარმოშობისაა, ვიდრე დანარჩენი რიცხვითი საბელები, და იგი სჩანს არ ეკუთვნის ქართული ენის ძირითადს ფენს¹. ეს უცხო ტიპის წარმოება გადანაშთის სახით არის შერჩენილი ახალ-ქართულში.

ყოველ შემთხვევაში ეს ერთად-ერთი გამონაკლისი, რასაც წარმოგვიდგენს რიცხვი „პირველი“, არ არღვევს იმ საერთო დებულებას, რომ ქართული ენისათვის ბუნებრივი წყობაა სწორედ რაოდენობის ფორმები და არა რიგის ფორმები.

აქ საყურადღებოა აღვნიშნოთ ისიც, რომ ინდოგერმანული სისტემის ენებში ჩვენ გვაქვს სრულიად საწინააღმდეგო წესი და აქ ჩვეულებრივ ხმარობენ რიგის და არა რაოდენობის ფორმებს. რომ ავიღოთ თანამედროვე მკითხველისათვის უფრო ნაცნობი მაგალითები, ასე რუსული ენიდან, აქ ჩვენ გვაქვს: второе Января, третье Января, ანდა გერმანული d. zweite Januar, d. dritte Januar და არა два Января, три Января, zwei Januar, drei Januar (=ქართული ორი იანვარი, სამი იანვარი). ანგვარადვე ლათინურში ჩვენ გვაქვს: die secunda Ianuarii „დღე მეორე იანვარისა“, die tertia Ianuarii „დღე მესამე იანვარისა“ და სხვანი².

1) რომ „პირველი“ განსხვავებული წარმოშობისაა, ამას მკითხველი დაინახავს შემდეგიდანაც. ყველა დანარჩენი რიგის ფორმები უშუალოდ ნაწარმოებია რაოდენობის ფორმებიდან, ე. ი. „ორი“—აქედან „მეორე“, „სამი“—აქედან „მესამე“, „ოთხი“—„მეოთხე“ და სხვა. ამის თანახმად, რიცხვიდან „ერთი“ უნდა გვექონოდა „მე-ერთე“ და არა „პირველი“. ეს გარემოება, რომ სიტყვა „პირველი“ ერთად-ერთი გამონაკლისია ამ საერთო წესიდან, გვაფიქრებინებს, რომ „პირველი“ ნასესხები სიტყვაა და მას განუდევნია ხმარებუდან ძირითადი ქართული სიტყვა. (ყველა ნიშნებით, ქართული პირ-ვე ლი არის განშტოება იმავე ფუძე-სიტყვისა, რომლიდანაც გვაქვს ბერძნულში πρ-ωτος, ლათინურში pr-imus და სხვ.)

2) ინდოგერმანული ტიპის ენებიდან ცალკეა აღსანიშნავი ბერძნული. ძველსა და საშუალო ბერძნულის ტექსტებში, რამდენადაც აქ რიცხვები სრულად არის დაწერილი (და არა მხოლოდ ნიშნებით ნაჩვენები) ჩვენ გვაქვს იგივე ჩვეუ-

რაც შეეხება სომხურს ენას, იგი, როგორც აღვნიშნავდით, გარკვეული წარმოშობის ნარევი ენაა, ინდოგერმანულ-იაფეტური, და ამის გამო ბუნებრივია, რომ აქ გავრცელება აქვს სათვალავის ორსავე წესს, როგორც რიგის, ისე რაოდენობის ფორმებს.

2. კვირის დღეების სათვალავი.

რიგისა და რაოდენობის ფორმების შენაცვლების მეტად დამახასიათებელ მაგალითს წარმოგვიდგენს აგრეთვე კვირის დღეების სათვალავი.

ძველ-ქართულში ჩვენ გვაქვს რიცხვებიდან ნაწარმოები შემდეგი სახელები, რომლებიც ამგვარის ფორმებით გვხვდება:

ს რ უ ლ ი ფ ო რ მ ე ბ ი

ერთი შაბათთაჲ (=ერთი 'დღე' შაბათთაჲ).
ორი შაბათთაჲ (=ორი 'დღე' შაბათთაჲ).
სამი შაბათთაჲ (=სამი 'დღე' შაბათთაჲ).
ოთხი შაბათთაჲ (=ოთხი 'დღე' შაბათთაჲ).
ხუთი შაბათთაჲ (=ხუთი 'დღე' შაბათთაჲ).

შ ე მ ო კ ლ ე ბ უ ლ ი (შერწყმული) ფ ო რ მ ე ბ ი:

I	II	III
ერთ-შაბათთაჲ	= ერთ-შაბათისაჲ	= ერთ-შაბათი.
ორ-შაბათთაჲ	= ორ-შაბათისაჲ	= ორ-შაბათი.
სამ-შაბათთაჲ	= სამ-შაბათისაჲ	= სამ-შაბათი.
ოთხ-შაბათთაჲ	= ოთხ-შაბათისაჲ	= ოთხ-შაბათი.
ხუთ-შაბათთაჲ	= ხუთ-შაბათისაჲ	= ხუთ-შაბათი.

აქ აღნიშნული ფორმებიდან თავდაპირველ სახეს წარმოგვიდგენს სრული ფორმა (ერთი შაბათთაჲ, ორი შაბათთაჲ და სხვ.), რომელიც დამოწმებულია ქართული სახარების უძველეს ხანმეტურ ვერსიაში:

ღებრივი წესი ინდოგერმანული ენებისა, ე. ი. რიგის ფორმები (პირველი, მეორე მესამე და სხვა). არის მხოლოდ იშვიათი გამონაკლისი; ითქმის: „ოცდაერთსა“ და არა „მეოცდაერთესა“ (მაგ. $\mu\alpha\chi\alpha\iota K\tau\omicron\upsilon\varsigma \Phi\epsilon\mu\epsilon\nu\alpha\theta\iota$ = ოცდაერთსა ფამენოთისასა“. იხ. W. Kubitschek, Grundriss der antiken Zeitrechnung. 150).

ბერძნული არაა წმინდა ინდოგერმანული წყობის ენა, მასში ძლიერია „აზიანური“ (=იაფეტური) ენების გადანაშთები, და მერყეობა რიცხვით სახელებში, რომელიც ბერძნულს (კერძოდ ახალ-ბერძნულს) ემჩნევა, სჩანს ამ „აზიანურ“ ფონიდან მომდინარეობს.

იხ. იოანე, XX, I:

„ერთსა მას შ ა ბ ა თ თ ა ს ა მარიამ მაგდანელი მოვიდა“¹.

ლუკა, XXIV, I:

„ხოლო ერთსა მას შ ა ბ ა თ [თ] ა ს ა ცისკარსა მას მსთუად მოვიდეს“².

რაც შეეხება სრული ფორმიდან შემდეგ წარმოშობილს შემოკლებულ (შერწყმულ) ფორმებს, ესენიც ადრე ლებულობენ გავრცელებას და გვხვდება ძველ-ქართულს მწერლობაში უკვე მე-5 საუკუნიდან.

ასე, შემოკლებული ფორმები I და II უკვე შესულია სახარების ხანმეტურ ვერსიაში:

I: „და ხიყო მწუხრ დღს ერთ-შ ა ბ ა თ თ ა ა და კარნი იგი დაკსულ ხიყნეს“ (იოანე, XX, I)³.

II: „და ნიად განთიადსა მას ერთ-შ ა ბ ა თ ი ს ა ს ა მოვიდეს“ (მარკოზ, XVI, 2)⁴.

შემოკლებული მესამე ფორმა (ერთ-შაბათი, ორ-შაბათი და სხვ.) აგრეთვე გვხვდება ქართულს მწერლობაში უკვე მე-5 საუკუნიდან:

„და დღს ხუთ-შ ა ბ ა თ ი იყო, რომელსა გავაწესეთ საკსენებელი“ (შუ-შანიკის მარტვილობა)⁵.

„და დღს ოთხ-შ ა ბ ა თ ი იყო“ (პროკოპის მარტვილობა)⁶.
და სხვანი.

თანამედროვე მკითხველისათვის, რომელიც შესაძლოა არ იცნობდეს ზედმიწევნით ძველ-ქართულს, აქ საჭირო იქნება წარმოვადგინოთ განმარტება ამ სათვალავისა.

ტერმინი შ ა ბ ა თ ი და შ ა ბ ა თ ნ ი აქ ნიშნავს კვირეულს, შვიდ-დღიურ წრეს (იმასვე, რასაც გერმანული Woche, რუსული неделя).

(ტერმინი „შაბათი“ ამ შემთხვევაში სრულს ანალოგიას წარმოგიდგენს შემდეგდროინდელ ტერმინთან „კვირა“. ისევე როგორც „კვირა“ ეწოდება გარკვეულ დღეს, და ამავე დროს „კვირა“ ნიშნავს მთელს შვიდ-დღიურ წრესაც, ამგვარადვე „შაბათი“ აღნიშნავდა ერთ დღეს და ამავე დროს მთელს შვიდ-დღიურს.)

გამოთქმა „ერთი შაბათთაჲ“, „ორი შაბათთაჲ“, ანუ უფრო სრულად „ერთი დღე შაბათთაჲ“, „ორი დღე შაბათთაჲ“ ზედ-

¹) იხ. გრაკის ხანმეტი ლექციონარი, აკ. შანიძის გამოცემა, (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX, გვ. 336).

²) იქვე, გვ. 332.

³) იქვე, გვ. 338.

⁴) იქვე, გვ. 331.

⁵) იხ. ზემოთ, გვ. 297.

⁶) იხ. ზემოთ, გვ. 267.

მიწევნით ნიშნავს შემდეგს: „პირველი დღე შვიდეულისა“, „მეორე დღე შვიდეულისა“ და სხვანი.

ამ-გვარად აქ რიგი აღნიშნულია რაოდენობის ფორმებით: ცნება „პირველი“ გამოცემულია ფორმით „ერთი“, ცნება „მეორე“ ფორმით „ორი“, ცნება „მესამე“ ფორმით „სამი“ და სხვა.

არ იქნება ზედმეტი აღვნიშნოთ აქ უცხოური პარალელებიც.

სათვალაფი „შაბათობით“, როგორც ცნობილია, ქრისტიანულ ზანაში გავრცელდა, ათამეულის გავლენით, სახარებასთან ერთად, და აქ საგულისხმოა, თუ როგორაა ათვისებული დღეების ეს სათვალაფი სხვადასხვა ენებში.

ქართულში, როგორც ვნახეთ, დღეების სათვალაფი რაოდენობის ფორმებით არის გადმოცემული: ერთი, ორი, სამი, და სხვა.

სომხურშიაც იგივე რაოდენობის ფორმებია მიღებული.

ხოლო რაც შეეხება ინდოგერმანული ტიპის ენებს, აქაც ჩვენ გვაქვს საწინააღმდეგო წესი: იგი ჩვეულებრივ ხმარობს რიგის და არა რაოდენობის ფორმებს. ასე ბერძნულში ჩვენ გვაქვს: *πρωτη εβδομα, δευτερα εβδομα, τριτη εβδομα, τεταρτη εβδομα, πεμπτη εβδομα* (ე. ი. პირველი შაბათთაჲ, მეორე... მესამე... მეოთხე... მეხუთე შაბათთაჲ) ¹.

ასე მაგალითად პროკოპის მარტვილობის ბერძნულ ტექსტში, რომელიც ზემოთ გვქონდა მოხსენებული, ჩვენ ვკითხულობთ: *ηγουμενος τεταρτη εβδομα* „დღესა მეოთხესა შაბათთასა“. საგულისხმოა, რომ ძველ-ქართულ მთარგმნელს ბერძნული ორიგინალის გამოთქმა „მეოთხე“ უთარგმნია როგორც „ოთხი“.

დამატებით საკეროა ისიც მოვიხსენოთ, რომ გარეშე ამ „შაბათობის“ აღრიცხვისა, ინდოგერმანული ტიპის ენებში, როდესაც კი დღეების სახელები რიცხვებიდან არის ნაწარმოები, აქ საერთოდ მიღებულია ეს ჩვეულებრივი წესი, ე. ი. რიგის ფორმები. ასე, მაგალითად, იმავე ბერძნულში ჩვენ გვაქვს კვირის დღეების სახელები, სადაც „შაბათობა“ უკუგდებულია და დღეები ატარებენ პირდაპირ რიცხვის სახელებს; ამ მეორე აღრიცხვათ ორშაბათს ეწოდება *δευτερα* (ე. ი. „მეორე“) სამშაბათს *τριτη* („მესამე“) ოთხშაბათს *τεταρτη* („მეოთხე“) ხუთშაბათს *πεμπτη* („მეხუთე“).

ლათინურში კვირის დღეების სახელები, როგორც ცნობილია, არ არის რიცხვების სისტემაზე აგებული (აქ დღეებს ეწოდება საკუთარი სახელები მნათობების მიხედვით: *dies Solis*=დღე მზისა, *dies Lunae*=დღე მთვარისა, *dies Martis*=დღე მარსისა და სხვ.), მაგრამ თავისთავად ამ-გვარი ცნება: 1 დღე შვიდეულისა, 2 დღე შვიდეულისა, ლათინურის ბუნებრივი წყობის თანახმად, გამოითქმის ამ-რიგად: *prima die hebdomadis* („პირველი დღე შვიდეულისა“) *secunda die hebdomadis* („მეორე დღე შვიდეულისა“).

ამ-რიგად, როგორც თვის დღეების, ისე კვირის დღეების სათვალაფის მიმოხილვიდან ჩვენ ვღებულობთ შემდეგს დასკვნებს:

¹) თვით სახარების ბერძნულ ტექსტში, სადაც უშუალო გავლენაა არამეულისა, კერძოდ ტერმინი „პირველი შაბათთაჲ“ გვხვდება როგორც *πρωτη εβδομα* (მთ. 28,1), ისე *αυτη εβδομα*. აქ დამასახიათებელი ისაა, რომ საბოლოოდ ბერძნულში რიგის ფორმები დამკვიდრდა, რომელიც ინდოგერმანული სათვის, სჩანს, ბუნებრივ წყობას წარმოადგენს.

1. ქართულს კალენდარულს აღრიცხვაში სათვალავი აღინიშნებოდა როგორც რიგის ფორმებით (პირველი, მეორე, მესამე...) ისე რაოდენობის ფორმებით (ერთი, ორი, სამი...).

2. ქართულისათვის უფრო ბუნებრივ წყობას წარმოადგენდა რაოდენობის ფორმები: ერთი, ორი, სამი... (იმ დროს როდესაც ინდოგერმანულისათვის ბუნებრივი წყობაა რიგის ფორმები: პირველი, მეორე, მესამე...).

ამის შემდეგ გასაგები ხდება ძველ-სომხური კალენდარის თვეების სახელწოდებანი: * „ჯორი“ (=მეორე თვე) + „საჰმი“ თვე (=მესამე თვე). აქ ჩვენ გვაქვს, როგორც ეს უკვე დადგენილია, ქართული რიცხვითი სახელები, მათი პირვანდელი სახით: * „ჯორი“ (=ორი), * „საჰმი“ (=სამი). და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, თვეების სახელები აქ შეთვისებული ყოფილა არა რიგის ფორმებით (მეორე, მესამე), არამედ რაოდენობის ფორმებით (ორი, სამი), რაც, როგორც გამოირკვა, ქართული საკალენდარო აღრიცხვის ბუნებრივ წყობას წარმოადგენდა.

ჩვენ ამ-გზის ამით დავასრულებთ ამ ექსკურსს სომხური თვეების სახელების შესახებ. წარმოდგენილი მიმოხილვის შემდეგ ისტორია ძველ-სომხური კალენდარის ტერმინებისა * „ჯორი“ (=ორი) და * „საჰმი“ (=სამი) დადგენილად ჩაითვლება: ირკვევა, რომ ძველ-სომხური კალენდარი დამოკიდებული ყოფილა ქართულისაგან.

*

11. «თთუჲ ტირისკნისისაჲ».

ამ თვის სახელწოდება შენახულა ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში «წამებაჲ თალელჲსი». სამწუხაროდ ამ თხზულების პირი საქართველოში არ მოიპოვება, რომ შესაძლო ყოფილიყო ტექსტის მთლიანად გაცნობა. (მოთავსებულია ეს ძეგლი სამს ძველ-ქართულს ხელნაწერში, რომლებიც ამ ჟამად საქართველოს გარეთ ინახება, სახელდობრ: — არსენი მამათმთავრისეულ ხელნაწერში მე-10 საუკუნისა, რომელიც ათონის მთაზე დაცული (№ 57), პავლე პალაგრელისეულ ხელნაწერში მე-9—10 საუკუნისა, რომელიც სინას მთაზე ინახება (№ 50), და პროხორე ჯვარელის ხელნაწერში მე-11 საუკუნის პირველი ნახევრისა, რომელიც ოქსფორდის ბოდლეანის წიგნთსაცავს ეკუთვნის.)

ცნობილია მხოლოდ „თალელჲს წამებაჲს“ დასაწყისი და ბოლო, რომელიც დაბეჭდილი აქვთ აკადემიკოს ნ. მარსს (ათონურ ხელნაწერთა აღწერილობაში) და ცნობილს ბელგიელ მეცნიერს P. Peeters-ს (ბოდლეანის კოდექსის აღწერაში).

დასაწყისი ასე იკითხვის:

„წელთა მათ სუფევისა ნუმერიანოსისთა, მსაჯულობასა თევდორსთა, თთუესა ტირისკნისისასა, ოც-და-ხუთსა თთვსასა, მოვიდა თევდორე მსაჯული ეგეა ქალაქად და შევიდა ტაძრად ანდრიანსსა, ღმერთთა თვსთასა...“¹

რომელ თვეს უდრიდა „თთუც ტირისკნისისაჲ“?

„ტირისკნისი“ (იგივე „ტირისკონისი“ ანუ „ტირისკონი“) ძველ-ქართული წარმართული კალენდარის თვეთა შორის მოხსენებული აქვს აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანს, რომელიც თავის ლექსიკონში ასეთს განმარტებას იძლევა:

„ქართულის ენით ეწოდება: ნოენბერს—ტირისკნისი (ტირისკონი)“².

რომ საბას განმარტება ამ თვის ზოგადი რკალისა სწორია, ეს შემდეგიდან ირკვევა. თალელეს მარტვილობის შესავალის მიხედვით, თალელეს განკითხვა ტირისკნისის თვეში მომხდარა, ხოლო თალელეს სახსოვარი ძველს ქრისტიანულ ჰაგიოლოგიაში მართლაც დათარიღებულია ნოემბრის თვით. ასე, ძველ-ქართულს ძეგლებში «მცირე კანონში» (რომელიც მე-6—7 საუკუნის საზღვარს ეკუთვნის) და «დიდ კანონში», (რომელიც მე-8 საუკუნის პირველი ნახევრის ტექსტია) თალელეს ხსენება აღნიშნულია 19 ნოემბერს; აქ ეკითხულობთ:

„თთუესა ნოენბერსა... ი-თ (ე. ი. 19-სა) სიონსა თანა დადგმაჲ თალელსი“³.

იგივე თარიღი, 19 ნოემბერი, როგორც თალელს მოსახსენებელი, ჩვენ გვხვდება არა მარტო ქართულ ტექსტებში, არამედ სპორადიულად ბერძნულ ჰაგიოლოგიაშიაც⁴.

რაკი, ამ-რიგად, 19 ნოემბერი ტირისკნისის თვის ფარგლებში ყოფილა მოქცეული, აქედან ცხადია, რომ ტირისკნისის თვე უშუალოდ მისდევდა „სთუელის“ თვეს. „სთუელის“ თვე, როგორც ვნახეთ,

¹) იხ. Н. Марр, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера. Записки Вост. Отд. Арх. Общ., XIII, გვ. 67.—Р. Peeters, De codice Hiberico, Analecta Bollandiana, XXI, გვ. 308.

²) იხ. საბას ლექსიკონი, ქართული წიგნის გამოცემა, 1928 წ., გვ. 139, 333, 259 (სიტყვები: „თთუე“, „ტირისკონი“, „ნოენბერი“).

³) იხ. „მცირე კანონის“ ტექსტი, აკაკი შანიძის გამოცემა (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. II, გვ. 365).—„დიდი კანონის“ ტექსტი, კ. კეკელიძის გამოცემა (Иерусалимский Канонарь, 1912 წ., გვ. 143).

⁴) იხ. Сергей, Полный месяцеслов Востока, II, 1901 წ., გვ. 358.

22 ოქტომბერს სრულდებოდა, როცა მზე სტოვებს ზოდიაკო „სას-წორის“ ნიშანს. მაშასადამე „ტირისკნისის“ თვის დასაწყისი ყოფილა 23 ოქტომბერი (როცა მზე შედის მომდევნო ზოდიაკოს „ღრიანკალის“ ნიშანში) ხოლო დასასრული უწევს 21 ნოემბერს (როცა მზე დასტოვებს ამ ნიშანს).

აღსანიშნავია, რომ თაღელეს მარტვილობა იძლევა არა მარტო ზოგად ჩვენებას ტირისკნისის თვის რკალის შესახებ, არამედ მისი მიხედვით შესაძლოა მოვახდინოთ საკონტროლო შემოწმება ზოდიაკალური ქრონოლოგიისა და თვის რიცხვებისა.

როგორც თაღელეს წამების შესავალიდან სჩანს, თეოდორე მსაჯულის მისულა ეგეა-ქალაქში, სადაც თაღელე გაასამართლეს, მომხდარა ტირისკნისის 25-ს. 25 ტირისკნისისა, ზოდიაკალური ქრონოლოგიის თანახმად, 16 ნოემბრის უდრის. ამ რიცხვიდან, ნოემბრის 16-დან, დაწყებული თაღელეს გასამართლება და მისი წამებაც ამის მომდევნო დღეებში უნდა ვიგულისხმოთ. და, როგორც ვნახეთ, თაღელეს მოწამეობის მოსახსენებელი „კანონში“ და სხვა ტექსტებში მაოთლაც აღნიშნულია უახლოეს დღეებში, სახელდობრ საპი დღის შემდეგ, 1!) ნოემბერს.

ამ-რიგად, ჩვენ აქ გვაქვს შეხვედრა არა მარტო თვის საერთო რკალით, არამედ თითონ რიცხვებისაც.

12. «თთუც ტირისდენისაჲ».

ამ თვის სახელწოდება აღნიშნული აქვს სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში.

მას შემდეგ რაც გამორკვეულია საბას ნაშრომის ხასიათი, ცხადია, რომ საბა ამ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის, წერილობითს წყაროს ეყარება, და ამ თვის სახელი ამოღებული აქვს რომელიღაც ჰაგიოგრაფიული ძეგლიდან. სამწუხაროდ ეს ძეგლი, ტირისდენის თვის სახელის შემცველი, ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა.

საბას ცნობის თანახმად თეგები „ტირისკნისისა და „ტირისდენისა“ მეზობელი თეგებია; „ტირისკნისის“ დასრულების შემდეგ იწყებოდა „ტირისდენის“ თეგ¹.

ხოლო როგორც ეს ზემოთ იყო დადგენილი ტირისკნისის თეგ სრულდებოდა 21 ნოემბერს, როდესაც მზე დაასრულებს გზას ღრიანკალის ზოდიაკოზე და მიაღება მშვილდოსანის საზღვარს;

მაშასადამე შემდეგი თეგ „ტირისდენისაჲ“ იწყებოდა 22 ნოემბრიდან (როდესაც მზე შედის მშვილდოსანის ზოდიაკოს ნიშანში), ხოლო სრულდებოდა 22 დეკემბერს (როდესაც მზე დაასრულებს გზას მშვილდოსანის ზოდიაკოს ნიშანზე).

¹) იხ. საბას ლექსიკონი, ქართული წიგნის გამოცემა. 1928 წ., გვ. 139, 348-97 (სიტყვები: „თთუც“ „ტირისდენი“, და „დეკემბერი“).

რომ ეს დათარიღება სწორია, ამის შემოწმება შესაძლო ხდება სხვა ძველი კავკასიური კალენდრების, ძველ-სომხურისა და ალვანურის პარალელების მიხედვით.

ძველ-ქართულ კალენდარში ტირისდენის თვეს მიეკუთვნება, თანრიგის მიხედვით, მე-4 ადგილი ახალწლის თვიდან დაწყებული (1—ახალწლისაჲ, 2—სთუელისაჲ, 3—ტირისკნისისაჲ, 4—ტირისდენისაჲ).

ჯერ სომხური კალენდარის პარალელზე შევჩერდებით.

ძველ-სომხურ კალენდარში მე-4 თვეს ეწოდება: „ტ გ რ ე ჯ“. ნათესაობა ქართული ტერმინისა „ტირის-დენისაჲ“ და სომხური ტერმინისა „ტ გ რ ე ჯ“ გვსგარეშება: აქ ჩვენ გვაქვს არა მხოლოდ ფონეტიკური იდენტივობა, არამედ ქრონოლოგიური შეხვედრა: თვით თვეების რიგი, როგორც ვხედავთ, ერთი და იგივეა.

აქ მხოლოდ შესაძლოა აღიძრას საკითხი, თუ ვინ ვისგან შეითვისა ეს ტერმინი.

მას შემდეგ, რაც გამოირკვა ისტორია სომხური კალენდარის მეორე თვის სახელისა: *ჟორი, და მესამე თვის სახელისა: *საჟნი, რომლებიც სომხურს ქართულიდან უსესხია, საფიქრებელი ხდება, რომ მეორე და მესამე თვის სახელებთან ერთად, მეოთხე თვის ეს სახელიც სომხურს ქართულიდან უნდა პქონდეს შეთვისებული.

და ეს მართლაც ასეა.

სომხური ენის ნიადაგზე ტერმინი „ტ გ რ ე ჯ“ აუხსნელია. ტერმინები „ტირი“ „ტირის-დენისაჲ“ ქართულს ნიადაგზე პოულობს განმარტებას. „ტირი“ ქართულად, მის არქაულ ფორმაციაში, აღნიშნავდა ცნებას „წყალი“. „ტირის-დენისაჲ“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავდა: „წყლის-დენისაჲ“.

ქართული თვეების სახელწოდებათა ეტიმოლოგია ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით გვაქვს განხილული ცალკე ნაწილში, და აქ წინასწარი ორიენტაციისათვის აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ ჩვენებას, რომელიც დაკავშირებულია ტირის-დენის ეტიმოლოგიასთან.

პრეტესიის იმ რკალში, როდესაც ჩამოყალიბდა ძველ-ქართული წარმართული კალენდარი, ე. ი. მარჩბივის ეპოქაში (იხ. ზემოთ, გვ. 284—285, შენიშვნა 2), ტირის-დენის თვეს შეეფარდებოდა თანავარსკვლავედი Aquarius, რომელთანაც, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია მითოსი „წყლის-დენის“ შესახებ. (ამას გარდა თვით სახელწოდებაც ამ თანავარსკვლავედისა Aquarius მთელ რიგ ენებზე „წყლის“ ცნებას შეიცავს: Aquarius—„მერწყული, მეწყალე“, Ἰνδριοχιδης—„წყლის მდენელი, წყლის გადმომსხმელი“ და სხვანი).

თუ მხედველობაში მივიღებთ ძველ-ქართული კალენდარის ასტრონომიულ საფუძვლებს, ჯერ მარტო ეს ზოგადი ჩვენება, რომ თვე „ტირის-დენისაჲ“ შეეთარდებოდა Aquarius-ის, 'Արեգաց-ის („წყლის-დენის“) თანავარსკვლავედს, მიგვითითებს რომ „ტირის-დენისაჲ“ ნიშნავდა „წყლის-დენისაჲ“.

და რომ ეს ასეა, ანას ადასტურებს თითონ ქართული ტერმინის პირდაპირი შინაარსი. მართლაც ირკვევა, რომ სიტყვა „ტირი“ ქართული ენის არქაულ ფორმაციაში აღნიშნავდა ცნებას: „წყალი“. ამ სიტყვიდან „ტირი“=წყალი ჩვენ გვაქვს, სხვათა შორის, ტერმინი: „ტირი-ფი“ (ე. ი. წყლის, წყლოვანი მცენარე). ამავე ფუძესიტყვიდან „ტირი“=წყალი ნაწარმოებია სიტყვა „ტირი-ლი“, რაც პირდაპირის მნიშვნელობით სჩანს ამ-გვარს ცნებას გამოხატავდა: წყლის ფრქვევა. (შეადარეთ სემასიური პარალელები: „კურცხალი“— „კურ-წყალი“; აგრეთვე „ცრემლი“— „ცურემლი“=ცურის, ცუარის, ე. ი. წყლის ფრქვევა).

ეს რაც შეეხება ქართული ტერმინის ეტიმოლოგიას.

განვიხილოთ ამის შემდეგ ალვანური კალენდარის ტერმინი. ალვანურში მე-4 თვეს ეწოდება: „ჰილეჲ“.

ალვანური ტერმინის შინაარსი იძლევა ერთგვარ საკონტროლო შემოწმებას და სავსებით ადასტურებს აქ წარმოდგენილ დებულებათა სინამდვილეს.

ალვანურის შესახებ ჩვენ უკვე დადგენილი გვქონდა, რომ ალვანური თვეების სახელები წარმოგვიდგენენ ერთგვარ პარალელიზმს ქართულთან, და თვეების სახელებში გადმოცემულია იგივე შინაარსი, ან და იმავე წრის ცნება, რასაც შეიცავს შესაფარდი ქართული თვის სახელი. და კერძოდ მე-4 თვის სახელიც ანალოგიურ სურათს წარმოგვიდგენს. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ალვანური ტერმინი „ჰილეჲ“ ნიშნავდა „წყლისაჲ“, რასაც ადასტურებს ამ ტერმინის უდური შესატყვისობა „ხელლაჲ“, რაც აგრეთვე ნიშნავს „წყლისაჲ“.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქ იყო განმარტებული, საკითხი მე-4 თვის სახელის შესახებ როგორც ქართულში, ისე სხვა კავკასიურ კალენდრებში, დადგენილად ჩაითვლება. ჩვენ მაშასადამე შემდეგს დასკვნებს ვღებულობთ:

ა) მე-4 თვის სახელწოდება კავკასიურ კალენდრებში „წყლის“ ცნებას შეიცავს: ქართულში „ტირის-დენისაჲ“=„წყლის-დენისაჲ“, ალვანურში „ჰილეჲ“=წყლისაჲ (|| უდური „ხელლაჲ“=წყლისაჲ).

ბ) ძველ-სომხური კალენდარი, ძირითად ფენში, სჩანს არ არის ორიგინალური და იგი ქართულისაგან არის დაშოკიდებული. ისევე როგორც მეორე და მესამე თვის სახელები * „ჯორი“ და * „საჰმი“ ნასესხებია ქართულიდან, ამგვარადვე მეოთხე თვის სახელიც სომხური კალენდარისა „ტგრეჟ სჩანს მომდინარეობს მე-4 თვის ქართული სახელიდან: „ტირის-დენისაჲ“¹.

*

ჩვენ დავამთავრეთ ცალკე თვეების მიმოხილვა. მოგვყავს ამის შემდეგ თვეების მთლიანი სია.

ძველ-ქართული წარმართული კალენდარის „ახალი წელი“, როგორც გამორკვეული იყო, უწყევდა 23 აგვისტოს, და აქედან იწყებოდა პირველი თვე, რომელსაც ერქვა „თთუჲ ახალწლისაჲ“.

თვეების სათვალავს დაგიწყებთ ამ ძველი თანრიგის თანახმად, ახალწლის თვიდან:

1. თთუჲ ახარ-წრისაჲ	(23 აგვისტო-- 22 სიძვიმბერი)
2. თთუჲ სთუღრისაჲ	(23 სიძვიმბერი 22 ოძვომბერი)
3. თთუჲ ტირისკნისისაჲ	(23 ოძვომბერი-- 21 ნოემბერი)
4. თთუჲ ტირისდენისაჲ	(22 ნოემბერი-- 21 დეკემბერი)
5. თთუჲ სურწყუნისისაჲ	(22 დეკემბერი-- 19 იანვარი)
6. თთუჲ აჰნისისაჲ	(20 იანვარი-- 18 თებერვალი)
7. თთუჲ შიჰრაჰანისაჲ	(19 თებერვალი-- 20 მარტი)
8. თთუჲ იგრიკისაჲ	(21 მარტი-- 20 აპრილი)
9. თთუჲ შარდობისაჲ	(21 აპრილი-- 21 მაისი)
10. ²	(22 მაისი-- 21 ივნისი)
11. თთუჲ ძუღრითობისაჲ	(22 ივნისი-- 22 ივლისი)
12. თთუჲ ბრდა-დღისაჲ	(23 ივლისი-- 22 აგვისტო)

¹) შენიშენაში საკიროდ ვსთვლით ხაზი გავუსვამთ იმ გარემოებას, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ კავკასიური, ქართულ-ალვანურ-სომხური პარალელური ფარგლავთ ჩვენი გამოკვლევის წრეს, და ამ-გზის არ ვეხებით ამ ტერმინის განშტოებას კავკასიის გარეთ, ასე ირანულში და კაბადოკიურ კალენდარში.

²) სახელწოდება ამ მეთე თვისა, როგორც გამორკვეული იყო, არ შენახულა ჩვენ პირობითად (ციტირების გაადვილების მიზნით), ამ თვეს ვუწოდებთ: „მაჰ-ჩბივის თვე“,—რადგან იგი „მარჩბივია“-ს ზოდიაკალურ რკალს უდრის (იხ. ზგ-მთ, გვ. 260 - 261).

VII

ძველ-ქართული წარმართული კალენდარის თვეების
პარალელური სახელწოდებანი.

სხვადასხვა კალენდრებში არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე თვეს ორი და ზოგჯერ რამდენიმე პარალელური სახელწოდება მოეპოვება.

ირკვევა, რომ ძველ-ქართულ კალენდარშიაც ადგილი ჰქონდა ანალოგიურ მოვლენას.

ჩვენ გვაქვს შემდეგი სამი შემთხვევა თვეების პარალელური სახელებისა ძველ-ქართულ წარმართულ კალენდარში:

1. მიჭრაკანის თვეს ჰქონია პარალელური სახელწოდება: „მარიალისაჲ“ (ანუ „მარიალი“);

2. ვარდობის თვეს ჰქონია ორი პარალელური სახელწოდება: „ყუაფილობისაჲ“ და „ახალთაჲ“;

3. ქუელთობის თვეს ჰქონია პარალელური სახელწოდება: „თიბისაჲ“.

ამათგან ვარდობის-თვის პარალელური სახელწოდებანი („ყუაფილობისაჲ“ და „ახალთაჲ“) ჩვენ უკვე განხილული გვქონდა (იხ. გვ. 441—443, მოამბე, VI).

აქ შევეხებით დანარჩენ პარალელურ სახელებს: „მარიალისაჲ“ და „თიბისაჲ“.

*

«ძველი» (ქართული) და «ახალი» (რომაული) სტილი მე-ნ — 8 საუკუნის მწერლობის ძეგლებში.

ვიდრე გადავიდოდეთ გამოკვლევის პირდაპირ საგანზე, აქ ჩვენ წინასწარ მოგვიხდება შევეხოთ ერთ საკითხს: ძველ-ქართული თვეთა-აღრიცხვის სტილის ვარიაციას.

საკითხი შემდეგში მდგომარეობს.

ძველი ქართული მწერლობის ზოგიერთს ძეგლებში ადგილი აქვს, როგორც ირკვევა, წარმართული ქართული კალენდარის თვეების „სტილის“ შეცვლას რომაული „სტილის“ ზეგავლენით. და რადგან შემდეგი გამოკვლევის დროს ჩვენ გვექნება შემთხვევა შევეხოთ რამდენსავე ასეთს ძეგლს და ვისარგებლოთ მასში წარმოდგენილი ცნობებით, ამის გამო აუცილებელია ამ საკითხის წინასწარი განხილვა, თუ როდის, და რა ხასიათის ძეგლებში გვხვდება სტილის შეცვლის ეს მაგალითები.

ჯერ იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატება „სტილის“ ეს შეცვლა.

ამ გამოკვლევის მე-6 თავში ჩვენ დავადგინეთ, ქართული მწერლობის უძველესი ძეგლების ჩვენებათა მიხედვით, რომ ქართული კალენდარის თვეების „სტილი“ (ე. ი. თვეების დასაწყისი და დასასრული) განირჩევა რომაული კალენდარის თვეების „სტილისაგან“. ქართული კალენდარის თვეების „სტილი“ შეფარდებულია, როგორც ვნახეთ, გარკვეულ ზოდიაკალურ ქრონოლოგიასთან და განსხვავდება რომაულისაგან 8—12 დღით; იმისდა მიხედვით, თუ როდის შედის მზე ამა თუ იმ ზოდიაკალურ ნიშანში, ქართული თვეები იწყება რომაულთან შედარებით:

ზოგი 8 დღით ადრე („სთუელისაჲ“);

9 დღით ადრე („ახალწლისაჲ“, „ტირისკნისისაჲ“, „ტირისდენისაჲ“, „ქუელთობისაჲ“ „არდა-დეგისაჲ“);

10 დღით ადრე („სურწყუნისასაჲ“, „მიჰრაკანისაჲ“, „ვარდობისაჲ“, მარჩბივის-თვე);

11 დღით ადრე („იგროკისაჲ“);

12 დღით ადრე („აპნისისაჲ“).

ამ-რიგად განსხვავება ქართული და რომაული „სტილისა“ 8—12 დღის ფარგლებშია მოქცეული.

და აი, როგორც აღვნიშნეთ, ძველი ქართული მწერლობის ზოგიერთს ძეგლებში ადგილი აქვს რომაული სტილის გავლენას, რაც ამაში გამოიხატება, რომ ქართული თვეების დასაწყისი და დასასრული გაიგივებულია რომაული თვეების დასაწყისთან და დასასრულთან.

რა დროს ეკუთვნის სტილის აშგვარი შეცვლა.

მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ რომაული კალენდარი საქართველოში ხმარებაში შემოვიდა მე-6-7 საუკუნის საზღვარზე. მაგრამ მას არ მოჰყოლია ძველ-ქართული კალენდარის საბოლოო გაუქმება ერთბაშად, ერთ დღეს. ჩვენ უკვე დადგენილი გვქონდა, რომ რომაული კალენდარის შემოღების შემდეგაც, მე-6—7 საუკუნის საზღვრიდან მე-8 საუკუნის პირველ ნახევრამდე, რომაული და ქართული თვეთა აღრიცხვა პარალელურად იხმარებოდა. ამ-რიგად ამ ორი კალენდარის პარალელურმა არსებობამ მთელი საუკუნე-ნახევარი გასტანა.

წყაროების შესწავლიდან ირკვევა, რომ ქართული თვეების „სტილის“ შეცვლა და მათი შეფარდება რომაული თვეების „სტილთან“ მომხდარა სწორედ ამ გარდამავალ ხანაში, როდესაც რომაული თვეთა აღრიცხვა ოფიციალურად იყო შემოღებული, და ამავე დროს

არც ძველი თვეების სახელები იყო საბოლოოდ გადავარდნილი და რომაულთან პარალელურად იხმარებოდა.

რაც შეეხება უფრო ძველს ხანას, როგორც ეს ცხადი გახდა ამ გამოკვლევის მე-6 თავში განხილული ძეგლებიდან, ამაზე წინ მე-4/5—6 საუკუნის ქართულ მწერლობაში, საყოველთაო გავრცელება ჰქონდა წარმართული ქართული კალენდარის სტილს, რომელიც, როგორც ვნახეთ, სულ სხვა სისტემაზე, ზოდიაქალურ ქრონოლოგიაზე არის აგებული და განსხვავდება რომაულისაგან 8-12 დღით. მაგრამ ამავე დროს ირკვევა, რომ სტილის შეცვლას იშვიათად, თითო-ორიჯერ შემთხვევაში, ამ უძველეს ხანაშიაც ჰქონია ადგილი, სახელდობრ ზოგიერთ თარგმნილს თხზულებაში.

აი ამ საგანზე მოგვიხდება აქ შეჩერება. საჭიროა სტილის შერყეობის ყველა ეს შემთხვევაები ნათლად გვქონდეს გათვალისწინებული, რათა სწორი დასკვნები გამოვიტანოთ იმ ჩვენებებიდან, რომელთაც ესა თუ ის ძეგლი იძლევა.

ჩვენ აქ ცალ-ცალკე განვიხილავთ ორივე ეპოქის ძეგლებს: ა) რომაული კალენდარის შემოღების წინანდელი ხანისა; ბ) რომაული კალენდარის შემოღების შემდგომი ხანისა.

ა. რომაული კალენდარის შემოღების წინანდელ ხანაში რომაული სტილის ხმარებას ჩვენ ვხვდებით, როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთ თარგმნილს თხზულებაში. სტილის შეცვლა ამ შემთხვევაში აიხსნება უცხო ორიგინალების საკალენდარო სისტემების გავლენით, საიდანაც ითარგმნებოდა ესა თუ ის თხზულება.

ძველი ქართული თარგმნილი ტექსტების შედარებითი შესწავლიდან შემდეგი ირკვევა.

როდესაც ძველი ქართველი ავტორები სთარგმნიდნენ უცხო ტექსტებს, და როდესაც ორიგინალში მოიპოვებოდა უცხოური თარიღები და თვის სახელები (რომაული, ბერძნულ-მაკედონური, ებრაული, სომხური, თუ სხვა), ეს უცხოური თვეთა-აღრიცხვა მათ გადაჰყავთ ქართულ სათვალავზე ზოგჯერ ზუსტად, ზოგჯერ კი მიახლოებით.

ზუსტი შეფარდება უფრო ხშირს მოვლენას წარმოადგენს. უფრო მეტიც: გარდა ორიოდ შემთხვევისა, ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში ჩვეულებრივ ზუსტი შეფარდება გვხვდება. (ზუსტ შეფარდებას ვეძახით ისეთს თარგმანს, როდესაც თარიღი ზედმიწევნით არის გაანგარიშებული და რიცხვები გადაყვანილია ერთი სტილიდან მეორე სტილზე; ხოლო მიახლოებულს შეფარ-

დებას, როდესაც მხედველობაში მიღებულია, თუ რომელი თვე რომელს უახლოვდება ზოგადად, მაგალითად: სურწყუნისი=იანვარი, აპანისი=თებერვალი, მიჰრაკანი=მარტი და სხვა, ხოლო რიცხვები არაა გადაყვანილი ერთი სტილიდან მეორე სტილზე).

არ იქნება ზედმეტი აღვნიშნოთ ამასთანავე, რომ მიახლოებული შეფარდება, ე. ი. როდესაც აღებულია მხოლოდ თვეების იგივეობა ზოგადად, ხოლო რიცხვები არაა ერთი სტილიდან მეორე სტილზე გადაყვანილი, მოულოდნელს არას შეიცავს: ასეთი მიახლოებული შეფარდება ჩვენ გვხვდება არა მარტო ქართულში, არამედ არა იშვიათს მოვლენას წარმოადგენს საერთოდ ყველა ლიტერატურებში, როდესაც ესა თუ ის თხზულება თარგმნილია ან და მოკიდებული ისეთი ორიგინალიდან, რომელიც სხვანაირ კალენდარულს სისტემას მისდევდა. რომ არ გამოვიდეთ იმ რკალიდან, რომლის ფარგლებშიაც აქ ვაწარმოებთ გამოკვლევას და შევჩერდეთ მხოლოდ საშუალო საუკუნეთა დასაწყისის ლიტერატურებზე, აქ საკმაო იქნება მიუთითოთ, რომ ანალოგიურ შემთხვევებს სტილის შეცვლისას უცხო ორიგინალების ზეგავლენით ჩვენ არა იშვიათად ეპოულობთ მაგალითად ამ ეპოქის ბერძნულს, სირიულს და სხვა კალენდარულ-ჰაგიოლოგიურ ძეგლებში, აი რასა სწერს ამ საგანზე კალენდარულ-ჰაგიოლოგიურ ტექსტების ცნობილი მკვლევარი, ერთი უდიდესი ავტორიტეტი ამ დარგში:

„როდესაც ჩვენ ვადარებთ ჰაგიოლოგიურ ძეგლებს, ჩვენ ვხვდებით აქ სხვაობას იმ მხრით, რომ ერთი და იმავე თარიღის აღმნიშვნელი ცნობა გადატანილია სხვადასხვა დღეებზე... ზოგჯერ ეს განსხვავება დღეების აღნიშვნაში იმით არის გამოწვეული, რომ კალენდარი სხვადასხვა ხალხებისა არ იყო ერთნაირი: ეგვიპტელებისა, სირიელებისა და სხვათა. არის შემთხვევები, როდესაც მაგალითად ბერძნულ „თთუნში“ (—კალენდარში) თარიღები აღნიშნულია თვის იმავე რიცხვებში, რომელ რიცხვებშიაც ისინი ნაჩვენებები იყო ადგილობრივს (არა-ბერძნულს) კალენდრებში, თუმცა ამ კალენდრების თვეების რიცხვი არ შეეფარდება ბერძნული თვეების რიცხვს; მაგალითად, პაფნუტი ეგვიპტელის ხსენება, ძველს ბერძნულს კალენდრებში ნაჩვენებია 20 აპრილს, იმიტომ რომ იგი გარდაიცვალა ეგვიპტური თვის ფარმუთის 20-ს; მაგრამ 20 ფარმუთი უდრის ნამდვილად 16 აპრილს“¹.

რასაკვირველია, ასეთ მოვლენას შესაძლოა ადგილი ჰქონოდა და ჰქონია კიდევ ქართულს მწერლობაში. მართალია, ძველი ქართველი

¹) იხ. Сергей, Полный месяцеслов Востока. წიგნი II, გვ. VIII, XI-XII.

ავტორები, როგორც აღვნიშნეთ, უმრავლეს შემთხვევაში იცავდნენ ძველი ქართული კალენდრის სტილს, და რომაული თვეების რიცხვები გადაჰყავთ ხოლმე ქართული კალენდრის სტილზე, მაგრამ არის ხოლმე ისეთი შემთხვევებიც, თუმცა იშვიათად, როცა მხედველობაში მიღებულია მხოლოდ თვეების ზოგადი შეფარდება. ასე, ამის მაგალითს წარმოგვიდგენს, ერთი ძველ-ქართული თარგმნილი ტექსტი, — „ქრისტეფორეს მარტვილობის“ მეორე ვერსია; აქ ჩვენ გვაქვს შემდეგი პარალელები ქართული ტექსტისა ბერძნულ ორიგინალთან:

ή τῶν μηνῶν δεσλῆ ἐκισμῆθη
καλῶ πνευ... τῆς πρώτης τῶν
ἀπριλλίου μηνός.

„... მკეველმან მან ქსმან კეთილითა ძილითა დაიძინა და გვრგვნოსან იქმნა აკვლინა პირველსა დღესა თთუესა იგრიკისასა.“

ή τῶν μηνῶν δεσλῆ Καλλιν(κ)η...
καλῶ ἐκισμῆθη πνευ... μηνὶ ἀπριλλίου
ἡμετέρᾳ.

„... მკეველმან მან ღისამან... [კალენიკე] კეთილითა ძილითა დაიძინა მეორესა დღესა თთუესა იგრიკისა“

καὶ εὐτως συνδεθέντες οἱ διακόσιοι τῆς τοῦ ἀντίμου περυστάξει, ξίφει τῆς τιμῆς αὐτῶν ἐπιμήθησαν κρηφάδας... καὶ ἐτελειώθησαν μνηνὶ ἀπριλλίου 5¹.

„... მას ეამსა შეიკრნეს ორასნი იგი ბრძანებითა მეფისაჲთა და მოჰკვეთეს თავები მათი და აღესრულნეს... მეშვდესა დღესა თთუესა იგრიკისასა“².

ქართული „თთუე იგრიკისაჲ“, როგორც ზევით გვქონდა გამოკვეთული, იწყებოდა 21 მარტს და სრულდებოდა 20 აპრილს, ე. ი. შეიცავდა უმთავრესად აპრილის თვის რკალს. ხოლო, როგორც ვხედავთ მოყვანილი ტექსტებიდან, ქართველ მთარგმნელს ამ შემთხვევაში მხოლოდ ზოგადი შეფარდება აუღია, აპრილი=იგრიკაჲ, ხოლო რიცხვები კი აღარ გადაუყვანია რომაული სტილიდან ქართულ სტილზე, არამედ იგივე რომაული თვის რიცხვები დაუტოვებია („პირველსა დღესა თთუესა იგრიკისასა“=τῆς πρώτης τῶν ἀπριλλίου μηνός; „მეორესა დღესა თთუესა იგრიკისასა“=τῆς δευτέρας τῶν ἀπριλλίου μηνός; „მეშვდესა დღესა თთუესა იგრიკისასა“=τῆς πέμπτης τῶν ἀπριλλίου μηνός).

ეს ძეგლი, რომელიც აქ განვიხილეთ, ქრისტეფორეს მარტვილობის მეორე ვერსია, ეკუთვნის იმ ხანას, როცა საქართველოში რომაული თვეთა-აღრიცხვა ჯერ კიდევ შემოღებული არ იყო, და

¹) იხ. Analecta Bolland. I, გვ. 134, 135, 140.

²) იხ. ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 341, გვ. 373, 377 და 378.

რომაული სტილის გავლენა აქ, როგორც ვხედავთ, იმით აიხსნება, რომ პირველ-წყარო, საიდანაც სთარგმნიდა ქართველი მწერალი, რომელსა თვალდასწავდა.

აქ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ეს ძეგლი, ქრისტეფორეს მარტვილობის მეორე ვერსია, არ არის ერთად-ერთი მაგალითი ამ ეპოქიდან, სადაც ჩვენ რომაული სტილის გავლენას ვპოულობთ. ჩვენ ქვემოთ შემთხვევა გვექნება განვიხილოთ მეორე თარგმნილი თხზულება «წამებაჲ სპევსიპსისი, ელასიპსისი, და მელასიპსისი», და ჩვენ ვნახავთ, რომ ამ ტექსტშიაც აგრეთვე აღგილი აქვს რომაული სტილის ანალოგიურ გავლენას.

ბ. გადავიდეთ ამის შემდეგ ძეგლების მეორე ჯგუფზე, რომლებიც ეკუთვნიან იმ ხანას, როცა ძველ-ქართული კალენდარი ხმარებიდან გამოდიოდა და მის ნაცვლად რომაული თვეთა-აღრიცხვა მყარდებოდა.—თუ ძველ-ქართული და რომაული სტილის გაიგივებას აღგილი ჰქონდა, თუმცა იშვიათად, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ძველ-ქართული წარმართული კალენდარი მოქმედებაში იყო (—რის მაგალითსაც ზემოთ განხილული ქრისტეფორეს მარტვილობის მეორე ვერსია იძლევა), მით უფრო, როცა საქართველოში რომაული თვეთა-აღრიცხვა ოფიციალურად იქმნა შემოღებული და კალენდარის სტილი გამოიცვალა, ცხადია ამის შემდეგ უნდა დაკანონებულიყო გაიგივება თვის ძველი სახელებისა ახალ რომაულ სახელებთან, იმის მიხედვით, თუ რომელ რომაულ თვეს შეეფარდებოდა ესა თუ ის თვე, სახელდობრ:

იანვარი	=	სურწყუნისასაჲ	(ძველად იწყებოდა 10 დღით ადრე)
თებერვალი	=	აპნისისაჲ	(„ „ 12 „ „)
მარტი	=	მიჰრაკანისაჲ	(„ „ 10 „ „)
აპრილი	=	იგრიკისაჲ	(„ „ 11 „ „)
მაისი	=	ვარდობისაჲ	(„ „ 10 „ „)
ივნისი ¹			
ივლისი	=	ქუელთობისაჲ	(„ „ 9 „ „)
აგვისტო	=	არდა-დეგისაჲ	(„ „ 9 „ „)
სექტემბერი	=	ახალწლისაჲ	(„ „ 9 „ „)
ოქტომბერი	=	სთუელისაჲ	(„ „ 8 „ „)
ნოემბერი	=	ტირისკნისასაჲ	(„ „ 9 „ „)
დეკემბერი	=	ტირისდენისაჲ	(„ „ 9 „ „)

1) როგორც გამორკვეული იყო, ივნისის თვის ძველ-ქართული სახელწოდება ცნობილი არაა.

[არ იქნება ზედმეტი მოვიგონოთ ამასთან, რომ ჩვენ აქ გვაქვს სრული ანალოგია თანამედროვე შემთხვევასთან, რასაც ადგილი აქვს ეხლა, ძველი „იულიანეს“ სტილის შეცვლის დროს ახალი „გრიგორიანული“ სტილით. ჩვენ ძველი სტილის პირველს თვეს ვუწოდებთ „იანვარს“, ამავე დროს ახალი სტილის პირველ თვესაც ვეძახით იმავე „იანვარს“, თუმცა ძველი „იანვარი“ და ახალი „იანვარი“ განსხვავდებიან 13 დღით. ამასთან, სტილის შეცვლას არ გამოუწვევია რიცხვების შეცვლა: ასე, მაისობას ჩვენ, როგორც ახალი სტილით, ისე ძველადაც ერთსა და იმავე 1 მაისს ვდღესასწაულობთ, თუმცა ძველ „1 მაისს“ და ახალ „1 მაისს“ შორის 13-დღიანი განსხვავებაა].

რომ ქართულს კალენდარში სტილის შეცვლისა და რომაული თვეთა-ღრიცხვის შემოღების შემდეგ მოხდა გაიგივება რომაული თვეების სახელებისა მათთან დაახლოვებულ ქართული თვეების ძველ სახელებთან, ამის შესახებ ქართულს წყაროებში გარკვეული ჩვენებანი მოიპოვება. ამ გარდამავალი ხანიდან, როცა რომაული კალენდარი შემოვიდა და ამავე დროს ძველ-ქართული წარმართული თვეთა-აღრიცხვა ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო გადავარდნილი, ჩვენამდე მოღწეულა რამდენიმე ძველი (არჩილის მოსახსენებელი, და სხვ.). ამ ტექსტებში ჩვენ პარალელურად გვხვდება რომაული და ძველ-ქართული თვეების სახელები და მათ შორის გატარებულია იგივეობის ნიშანი: „მიჰრაქნისაჲ რომელ არს მარტი“, „აპრილი, რომელ არს იგრიკაჲ“ და სხვანი, თუმცა, როგორც ეს ზევით იყო დადგენილი, ეს ქართული თვეები—ძველ-ქართული კალენდარის სტილის თანახმად—ათეული დღით ადრე იწყებოდა.

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ შენიშვნას „ძველი სტილის“ (ძველ-ქართული კალენდარის აღრიცხვის) და „ახალი სტილის“ (რომაული კალენდარის აღრიცხვის) შესახებ.

წყაროების მიმოხილვიდან, მაშასადამე, შემდეგი გამომდინარეობს:

1. მე-4/5—6 საუკუნის ქართულს მწერლობაში გავრცელება აქვს ძველ-ქართული კალენდარის სტილს, რომელიც გარკვეულ ზოდიაქალურ ციკლზეა დამყარებული. აქ მხოლოდ იშვიათად, გამოწკლისის სახით, ზოგიერთ თარგმნილ ტექსტებში, გვხვდება რომაული სტილის გავლენა.

2. რომაული კალენდარის ოფიციალურად შემოღების შემდეგ, რაც მე-6-7 საუკუნის საზღვარზე მოხდა, რომაული სტილი საერთო გავრცელებას ღებულობს და ამ დროიდან ძველ-ქართული თვეების სათვალავი რომაულ სტილზეა გადაყვანილი.

ამ განმარტებათა შემდეგ გადავდივართ გამოკვლევის პირდაპირ საგანზე, თვეების პარალელური სახელების განხილვაზე.

1. «თთუჲ მარიალისაჲ» (ანუ «მარიალი»).

ა. თარიღი.

სახელწოდება ამ თვისა „მარიალისაჲ“ ანუ „მარიალი“ მოიხსენება ორს ძველ-ქართულს თარგმნილ მოთხრობაში:

ა) მარტვლობაჲ ფილეკტემონისი¹;

ბ) მარტვლობაჲ ივლიანსისი, ევბულოჲსი, თევდოროსისი, მალკამონისი, მოკიმოჲსი და სალამონსისი².

პირველ მოთხრობაში, ფილეკტემონის მარტვლობაში, ჩვენ გვაქვს შემდეგი თარიღი:

„აღესრულა ფილეკტემონ ათხუთმეტსა მარტისა თთვსაჲ, რომელ არს მარიალი“³.

ამ-რიგად, ტექსტი აქ სრულიად გარკვეულს სათარიღო ცნობას იძლევა. მარიალის თვე, „ახალი“ (ე. ი. რომაული) სტილის თანახმად უდრიდა მარტის თვეს; ხოლო „ძველ“ სტილზე (ძველ-ქართული კალენდარის ზოდიაკალური ქრონოლოგიაზე) გადაყვანით სათანადო თვე იწყება ათი დღით ადრე, ე. ი. 19 თებერვალს, და დასრულდება 20 მარტს. (იხ. ზემოთ, გვ. 326, 320).

აქედან ცხადი ხდება აგრეთვე, რომ მარიალის თვე ყოფილა ბარაღელური სახელწოდება მიჰრაკანის თვისა. ჩვენ უკვე გამოკვეული გვქონდა (ბიბლიისა და „სახისმეტყუელის“ ტექსტების თანახმად) რომ მიჰრაკანის თვე „ძველი“ სტილით (ძველ-ქართული ზოდიაკალური ქრონოლოგიით) იწყებოდა 19 თებერვლიდან და სრულდებოდა 20 მარტს; ხოლო „ახალი“ (რომაული) სტილით იგი უდრიდა მთლიანად მარტის თვეს: „მიჰრაკანი, რომელ არს მარტი“, —ნათქვამია არჩილის მოსახსენებელში.

მაშასადამე ჩვენ გვაქვს მიჰრაკანის თვის და მარიალის თვის თარიღების ზუსტი შეხვედრა.—

განვიხილოთ ამის შემდეგ მეორე მოთხრობა, სადაც მოხსენებულია „თთუჲ მარიალისაჲ“: მარტვილობა ივლიანესი, ევბულოსი, თევდოროსისი, მალკამონისი, მოკიმოსი და სალამონესი. ეს მოთხრობაც ავრეთვე ადასტურებს მიჰრაკანის და მარიალის იგივეობას.

მოთხრობის თანახმად, აქ მოხსენებული მარტვილნი (ივლიანე,

¹) ტექსტი ამ მოთხრობისა მოთავსებულია ათონის კოლექციის ხელნაწერში № 57. გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ (Keimena I, ტფ. 1918).

²) ტექსტი ამ მოთხრობისა მოთავსებულია საქართველოს მუზეუმის ხელნაწერში № 341. გამოცემულია P. Peeters-ის მიერ (Analecta Bollandiana, t. XLIV, Brux. 1926).

³) იხ. Keimena, I, 160.

ევბულო და სხვანი) წარუდგენიათ სამსჯავროს წინაშე და მათი გასამართლება დაუწყიათ:

„მეხუთესა მარიალისა თთვსასა“¹.

მოთხრობას, ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერში აკლია ბოლო, ამის გამო მოთხრობაში ჩვენ გვაქვს მხოლოდ ეს ერთი თარიღი, თუ როდის დაიწყო მარტვილთა გასამართლება. ხოლო ცნობა იმის შესახებ, თუ როდის აწამეს ესა თუ ის მარტვილი, არ მოღწეულა; ეს თარიღები ცალკე მარტვილთა წამებისა აღნიშნული უნდა ყოფილიყო მოთხრობის ბოლოში, რომელიც დაკარგულია.

მოთხრობა ივლიანეს და თანამოღვაწეების შესახებ თარგმნილს თხზულებას წარმოადგენს. თარიღების შემოწმებას აძნელებს ის გარემოება, რომ ორიგინალი, საიდანაც ითარგმნა ქართული ტექსტი, არ შენახულა²; მაგრამ შემოწმება თარიღებისა მაინც არის შესაძლებელი. საქმე ის არის, რომ ამ მოთხრობაში მოხსენებულ მარტვილთა მოწამეობის თარიღები აღნიშნულია სხვადასხვა უცხოურ საკალენდრო-სვინაქსარულ მოსახსენებლებში. და აქ ჩვენ გვაქვს შემდეგი თარიღები, რომლებიც თებერვლის ბოლოს და მარტის დასაწყისს უწევს (26 და 29 თებერვალს, 4, 6, 7 და 8 მარტს)³.

როგორც ვხედავთ, ეს თარიღები იძლევა შეხვედრას მარიალის თვის რკალთან, რომელიც, როგორც გამოირკვა, შეიცავდა ძველი ქართული სტილის თანახმად სწორედ თებერვლის ბოლოს და მარტის პირველ ორ ათეულს (იწყებოდა 19 თებერვალს და სრულდებოდა 20 მარტს). ქართულ მოთხრობაში აღნიშნულია, რომ მარტვილთა გასამართლება დაწყებულია 5 მარიალს, რაც უდრის, 23 თებერვალს; ხოლო მათი წამება უნდა მომხდარიყო ამის შემდეგ უახლოეს დღეებში, რაც უდრება თარიღების იმ წყებას, რომელსაც საკალენდარო-სასვინაქსარო ტექსტები შეიცავენ, და რომლებიც თებერვლის ბოლოს და მარტის დასაწყისშია ნაჩვენები.

ამ-რიგად, თუმცა ჩვენ არა გვაქვს ზუსტი ჩვენება ამა-თუ-იმ ცალკე მარტვილის წამების დღის რიცხვების შესახებ, რადგან ქართულ მოთხრობას აკლია ბოლო, და არც ის ორიგინალი შე-

¹) იხ. ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 341, გვ. 475.

²) იხ. ამ ძეგლის უნიკალობის შესახებ P. Peeters-ის გამოცემაში: *La passion géorgienne de SS. Théodore, Julien, Eubulus etc.* (Analecta Bollandiana. t. XLIV).

³) იხ. Сергий. Полный месяцеслов Востока, II, ნაწილი პირველი, გვ. 55, 66, 67. (კერძოდ 55 გვერდზე აღნიშნულ ტექსტში ევბულოს მოწამის ხსენება მანს გადატანილია ევბულოს მოციქულებზე).

ნახულა, საიდანაც ქართული ტექსტი ითარგმნა; (ხოლო რაც შეეხება უცხო ენებზე შენახულს მოკლე საკალენდრო-სასვინაქსარო შენიშვნებს ისინი ეკუთვნიან სხვადასხვა ეპოქას, სხვადასხვა ადგილს, და წარმოგვიდგენენ სხვადასხვა ტრადიციას). მაგრამ მთავარი, რაც ინტერესს წარმოადგენს ჩვენი საკითხისათვის, ცხადი ხდება ამ საერთო ჩვენებებიდანაც, სახელდობრ ის, რომ ყველა ზემოთ-მოყვანილი თარიღები მოქცეულია მარიალის თვის ფარგლებში, ე. ი. 19 თებერვალს და 20 მარტს შორის.—

მაშასადამე ეს მეორე ძეგლიც ადასტურებს მარიალისა და მიჰრაკანის თვეების იგივეობას.

*

1b. რომელი სახელწოდებაა ქართულს კალენდარში ძირითადი: «მარიალი» თუ «მიჰრაკანი».

რაკი გამოირკვა მარიალის თვის და მიჰრაკანის თვის იგივეობა, ამის შემდეგ ისმის საკითხიც, თუ რომელია ამ ორ პარალელურ სახელწოდებათა შორის ძველი, პირველადი, და რომელია შემდეგ შემოღებული.

ამ კითხვაზე გარკვეული პასუხის გაცემა შეიძლება. პირველადი, ძირეული სახელწოდება ამ თვისა არის „მარიალი“, ხოლო „მიჰრაკანი“ შემდეგ არის შეთვისებული.

ძველ-ქართული წარმართული კალენდარის თვეების სახელებს შორის ტერმინს „მიჰრაკანი“ განკერძოებული ადგილი უჭირავს. ყველა დანარჩენი თვეების სახელები, როგორც ეს ქვემოთ, ამ გამოკვლევის სპეციალურ ნაწილში იქნება დადგენილი, ქართული წარმოშობისაა, ქართველური ენების მსოფლიოს ეკუთვნის. ერთადერთი არა-ქართული ტერმინი ძველ-ქართულ კალენდარში ეს არის „მიჰრაკანი“. იგი შეთვისებულია ირანულიდან და ნიშნავს მით-რას თვეს.

აქ საჭიროა ამავე დროს ხაზი გაუსვათ იმ გარემოებასაც, რომ საზოგადოდ ქართულისა და ირანული კალენდარის ურთიერთობა არც ისე მარტივია, როგორც ეს პირველი შეხედვით შესაძლოა გვეჩვენოს. ზოგიერთი ხაზები, სადაც ირანული და ქართული ერთმანერთს ხვდება, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ამ შემთხვევებში პირველწყაროა ირანული, ხოლო ქართულმა ირანულიდან შეითვისა ესა თუ ის ტერმინი. ქართველური მსოფლიო სჩანს არის უშუალო განშტოება წინა-აზიის არქაული კულტურების წრისა, და ამის გამო ამგვარი წინასწარადღებული აზრი, თითქო ქართული

მსესხებელია, ხოლო ირანული, საერთოდ ინდოგერმანული, ანდა სემური, პირველწყაროა,—უკუგდებულ უნდა იქმნეს. ასეთს გამარტივებულს მიდგომას, რომელსაც საკმაო გავრცელება ჰქონდა, და ნაწილობრივ ეხლაც აქვს, ყოველ შემთხვევაში არაფერი აქვს საერთო მეცნიერულ კრიტიკასთან, და თუ რასმე ამჟღავნებს, ეს მხოლოდ იმ რუტინას, რომელიც დღემდე საბოლოოდ დაძლეული არაა.

ასე, მაგალითად, შესაძლოა ვისმე ეფიქრა, და ეს მოსაზრება გამოთქმული იყო კიდევ (არმენისტის კ. პატკანიანის მიერ), რომ ქართული კალენდარის მე-4 თვის სახელი „ტირის-დენისაჲ“ შეთვიაებულია ირანულიდან. ირანულში ჩვენ მართლაც გვაქვს მე-4 თვის ანალოგიური სახელწოდება, რომელსაც უკავშირებენ ირანული რელიგიის „კეთილი სულის“ სახელთან: *tistrya*. მაგრამ საქმე ის არის, რომ არც სახელწოდება ირანული კალენდარის მე-4 თვისა, და არც „კეთილი სულის“ ეს სახელი *tistrya* ირანულს ნიადაგზე ვერ პოულობს სათანადო განმარტებას.

ამას გარდა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვის სახელები კი არ არის წარმოშობილი „კეთილი სულების“ resp. ამშასპანდების სახელებიდან, როგორც ამას ჩვეულებრივ ფიქრობენ, არამედ პირიქით, ამშასპანდების, „კეთილი სულების“ სახელები თვეების სახელებიდან არის წარმოებული. „კეთილი სულების“ სახით აქ ჩვენ გვაქვს თვეების სახელების მითოლოგიზირება. ერთადერთი სამსახური, რომელსაც ჩვენ „კეთილი სულები“ ამ შემთხვევაში გვიწევენ, არის ის, რომ მათი სახელების სახით შენახულა თვეების სახელწოდებათა უძველესი, პირველადი ფორმები.

ირანული მე-4 თვის სახელთან (რომლის პირველადი ფორმა შემოუნახავს მისი შესაფარდი „კეთილი სულის“ სახელს *tistrya* ← **tirstya*) ცხადია მართლაც კავშირი აქვს ქართული თვის სახელს „ტირის-დენისაჲ“. გარდა ამ ორი ტერმინის ფონეტიკური მსგავსებისა, განსაკუთრებით საგულისხმო ისაა, რომ აქ ჩვენ გვაქვს ქრონოლოგიური შეხვედრა: ორსავე კალენდარში ამ თვეს მიეკუთვნება მე-4 ადგილი ახალწლის თვის შემდეგ.

მაგრამ ირანულს ნიადაგზე გაუგებარი **tirstya* კი არა ხსნის ქართული თვის სახელს „ტირის-დენისაჲ“, არამედ, პირიქით, ირანულში გაუგებარი **tirstya* პოულობს ახსნას ქართველური ენების საფუძველზე. როგორც ეს უკვე აღნიშნული გვქონდა, „ტირის-დენისაჲ“ ნიშნავდა სიტყვა-სიტყვით: „წყლის-დენისაჲ“. რომ ეს ეტიმოლოგია ქართული ტერმინისა სწორია, ამას ადასტურებს არა მხოლოდ ის გარემოება, რომ სიტყვა „ტირი“ ქართული ენის არქაულ

ფორმაციაში აღნიშნავდა წყალს, და აგრეთვე არა მარტო ის გარემოება, რომ სხვა კალენდრების მიხედვითაც ამ თვის სახელი დაკავშირებული იყო ცნებასთან „წყალი“, არამედ საბოლოოდ გადამწყვეტს საკონტროლო ჩვენებას აქ იძლევა ის ფაქტი, რომ ძველქართულ კალენდარში ჩვენ გვაქვს გარკვეული სისტემა ასტრონომიულ-ზოდიაკალური შეფარდებისა და „ტირისდენისა“ ორგანიზულად შედის ამ მთლიან სისტემაში (იხ. ზემო გვ. 318—320).

მაგრამ ქართულ-ირანული პარალელები ცალკე საკითხია და იმ ზოგიერთს შეხვედრითს ხაზებს, რომელთაც ადგილი აქვს ქართულსა და ირანულში, და რომლებშიაც პრიორიტეტი ქართულს ეკუთვნის, ისევ დაუბრუნდებით, როდესაც გავეცნობით ძველ-ქართული კალენდარის შესახებ ყველა სათანადო რეალიებს¹.

აქ ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ მიჰრაკანის თვის სახელზე. მიჰრაკანის თვის ისტორია გვიჩვენებს, რომ ქართულისა და ირანულის გავლენა ორმხრივი ყოფილა. თუ არქაულ ეპოქაში ზოგიერთი ტერმინები, რომლებიც ქართველური ენების მსოფლიოს ეკუთვნის, გადასულა (უშუალოდ თუ მეშვეობით) ირანულში, უფრო გვიან ხანაში ჩვენ გვაქვს პირუკუ მოვლენაც, ირანულის გავლენა.

სახელწოდება „მიჰრაკანი“, არსებულის სახით, ცხადია ქართულს შეთვისებული აქვს ირანულიდან; ირანულში ჩვენ გვაქვს ამ თვის სახელწოდების შემდეგი ფორმები: Mihrakana, Mihrakān (ფაჰლაური), Mihrgān (ახ.-სპარსული): ქართულში, როგორც ვხედავთ, უცვლელად გადმოღებულია ამ ტერმინის ფაჰლაური ფორმა: mihrakān.

მიჰრაკანი ნიშნავს ღვთაება მითრას (მიჰრ-ის) თვეს.

მითრას კულტს რთული ისტორია აქვს. მითრას კულტს ჩვენ ვხვდებით მცირე აზიაში და კავკასიის სანაპირო ქვეყნებში ჯერ კიდევ მეორე ათასეულში ჩვენი წელთ-აღრიცხვის უწინარეს, მიტანურ-ხეთურ მსოფლიოში. მაგრამ მითრას კულტის არქაული ისტორია ამ შემთხვევაში არაა ჩვენთვის საინტერესო; ქართული კალენდარის ტერმინი „მიჰრაკანი“ უფრო ახალი წარმოშობისაა, და, როგორც ამას გვიჩვენებს თვით ტერმინის ირანული გაფორმება, იგი ცხადია დაკავშირებულია უფრო გვიანი ეპოქის მოვლენასთან, მითრაიზმის ირანულ სახეობასთან.

1) აქ საკირო იქნება აღნიშნოთ მხოლოდ წინასწარ, რომ სახელწოდება თვისა „აპანისისაჲ“ resp. „აპანისისაჲ“ (რომელსაც ჩვენ მოვიხსნება შევუხოთ, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, ამ გამოკვლევის პირველ ნაწილშივე),—არ არის ირანული წარმოშობისა, არამედ ქართული კალენდარის ძირითადს ფენს ეკუთვნის და ქართული კალენდარის სისტემაში პოულობს განმარტებას.

ირანულ რელიგიაში მითრას კულტს, როგორც ცნობილია დიდი ადგილი ეჭირა. ირანის კულტურული გავლენის გაძლიერებასთან ერთად მითრაიზმის ირანული სახეობა თანდათან გავრცელებას ღებულობს მცირე-აზიაში და მის სანაპირო ქვეყნებში, რომლებიც წინათაც, არქაულ ეპოქაში, იცნობდნენ მითრას კულტს. ირანულ მითრაიზმთან ერთად გავრცელება მიუღია თვის ირანულ სახელსაც „მითრაკანა“||„მიჰრაკან“, რომელ თვეშიაც სრულდებოდა მითრას მთავარი საკულტო დღეობა. ირანული თვის ეს სახელი ჩვენ გვხვდება მაგალითად სომხურშიც, ფორმით: მეჰეკი, მეჰეკან (← * მეჰრაკან). იგი მიღებული იყო მცირე აზიაშიაც; კაპადოკიურ თვეთა-აღრიცხვაში იგი გვხვდება ფორმით: Miṣri. სტრაბონს ამ თვის სახელი მოჰყავს ფორმით: Μιϑράκινα(← Μιϑράκινα).

იცნობდა თუ არა კერძოდ ქართველური მსოფლიოც მითრას კულტს არქაულ ეპოქაში, ამ კითხვას ჩვენ ეხლა უპასუხოდ ვტოვებთ, რადგან ამას არა აქვს აქ აღძრულ საკითხებთან უშუალო კავშირი; ხოლო ირანული მითრაიზმი რომ საქართველოში გავრცელებით სარგებლობდა, ეს უეჭველია. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისის უახლოეს საუკუნეებში ძირითადი ქართული პროვინცია იბერია მჭიდრო პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობაში იყო ირანთან, და ამ ეპოქაში, როდესაც ირანული მითრაიზმი ფართოდ გავრცელდა სხვა მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ მცირე აზიაში და სომხეთშიაც, ბუნებრივია, რომ მას საქართველოშიაც უნდა მიეღო გავრცელება. და მართლაც, მითრას კულტის ირანული სახეობა რომ არსებობდა საქართველოში, ამას, სხვა რეალიებთან ერთად¹, ადასტურებს, სხვათა შორის, ამ ხანის ონომასტიკონიც, ირანული მითრაიზმის თეოფორული სახელები: მიჰრ-დატ, მიჰრ, მიჰრან, მირიან, მიჰრან დუხტ, და სხვანი, რომლებიც მიღებული იყო კლასიკურ იბერიაში. ცხადია ამ დროსვე, ირანულ მითრაიზმთან ერთად, ჩვენში დამკვიდრებულა ირანული თვის ეს სახელიც „მიჰრაკანი“=მითრას, მიჰრ-ის თვე.

ჩვენ ამ-გზის ამით დავასრულებთ განხილვას ტერმინ მიჰრაკანის“ სადაურობის საკითხისა.

რაკი, ამ-რიგად, მიჰრაკანს განმარტოებული ადგილი უჭირავს ძველ-ქართული თვეების წრეში და ამ თვის სახელწოდების არსებული სახე უცხო წარმოშობისაა, ამის შემდეგ გამოსარკვევი იყო, თუ რა ერქვა ძველად იმ თვეს, რომლის ადგილი შემდეგ ირანიზირებულმა „მიჰრაკანმა“ დაიჭირა. და როგორც ეხლა ირკვევა, ეს ძველი სახელწოდება ყოფილა „მარიალი“.

1) რის შესახებაც ქვემოთ.

აღსანიშნავია ამასთან, რომ ახალ სახელწოდებას „მიჰრაკანი“ არ განუდევნია მთლად ძველი სახელი ამ თვისა „მარიალი“, მაგრამ მაინც ამ პარალელურ ტერმინს „მიჰრაკანი“ უფრო ფართო გავრცელება მიუღია; იგი უფრო ხშირად გვხვდება, და კერძოდ ბიბლიის ძველ-ქართულ ვერსიაში „მარიალი“-ს ნაცვლად „მიჰრაკანი“ არის მიღებული.

1c. ქართული თვის სახელი «მარიალი» და მისი სომხური და ალვანური პარალელები.—ძველ-ქართული ასტრონომიული ტერმინი «მარი-ოტა».

ძველ-ქართული კალენდარის თვის სახელი „მარიალი“ ჩვენ გვხვდება აგრეთვე სომხურში, ფორმით: „მარერი“.

ოაკი დადგენილია, რომ სომხური კალენდარის ძირითადი ფენი არ არის ორიგინალური და ძველ-ქართულიდან არის დამოკიდებული, გასაგებია ამის შემდეგ ქართულისა და სომხურის შეხვედრა; სომხურს, სხვა თვეების სახელებთან ერთად (ჟორი, საჰმი, ტგრეჟ და სხვ.) სჩანს შეუთვისებია ქართულიდან თვის ეს სახელიც „მარერი“.

ქართული თვის სახელის „მარიალი“-ს პარალელი ჩვენ გვხვდება აგრეთვე ალვანურშიაც, ამ სახით: „მარც“.

ალვანური ენა (და მისი უშუალო მემკვიდრე უდური) ეკუთვნის კავკასიურ ენათა ძირითად ჯგუფს, იათეტურ ოჯახს, და მაშასადამე მონათესავეა ქართულისა. ამის გამო ალვანურის შეხვედრა ქართულთან შესაძლოა ორნაირად აიხსნას: ა) ან ჩვენ აქ საქმე გვაქვს სესხებასთან; ბ) ანდა პარალელიზმი აიხსნება ამ ორი ენის გენეტიური ნათესაობით (ე. ი. ერთი და იგივე ცნება აქ გადმოცემულია ფუძესიტყვით, რომელიც ორსავე ენაში ერთნაირად გამოითქმოდა).

თუ რომელია ამ ორ შესაძლებლობათა შორის ნამდვილი, ამ კითხვას ამ-გზის ღიად ვტოვებთ, რადგან ეს ამ-ჟამად არ წარმოადგენს ჩვენი გამოკვლევისათვის პირდაპირს ინტერესს. (შემდეგ, როდესაც გავეცნობით ძველ-ქართული და ალვანური კალენდრების შესახებს ყველა სათანადო რეალიებს, გამოირკვევა, რომ ალვანური ამ შემთხვევაში არ არის დამოუკიდებელი, არამედ ეს ტერმინი ალვანურს ქართულიდან უსესხია).

ჩვენ აქ შევჩერდებით მხოლოდ ქრონოლოგიის საკითხზე.

საქმე ის არის, რომ რომ ეს თვე: მარიალი (ქართული), მარე-

რი (სომხური) და მარც (ალვანური) სხვადასხვა თარიღებს შეიცავს სამსავე კალენდარში.

ქართულში „მარიალი“, როგორც გამოირკვა, შეიცავდა დროს 19 თებერვლიდან 20 მარტამდე, მაშასადამე მარიალი არის მეშვიდე თვე („ახალ-წლის“ თვის შემდეგ).

სომხურში „მარერი“ არის მეათე თვე. ხოლო ალვანურში „მარც“ მეექვსე იქნება.

რომელი თარიღია ამ შემთხვევაში პირველადი?

ის გარემოება, რომ თვის ეს სახელი სომხურს, და საფიქრებელია ალვანურსაც, ქართულიდან უსესხნიათ, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ქართულში თვის თარიღი უფრო ძველის სახით არის მოღწეული. შესაძლოა ქართულში თვის თარიღი შემდეგ შეიცვალა, ხოლო სომხურში ან ალვანურში თარიღი პირველადის სახით შერჩა.

ხოლო თავისთავად ამგვარი მოვლენა—თვის თარიღების გადანაცვლება—მოულოდნელს არას შეიცავს; ანალოგიური შემთხვევები, როგორც ცნობილია, არა ერთგზის გვხვდება სხვადასხვა კალენდრების ისტორიაში.

მარიალის თვის თარიღის საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ჯერჯერობით შევჩერდებით ერთს ძველ-ქართულ ასტრონომიულ ტერმინზე. ფუძე-სიტყვიდან „მარი“, საიდანაც წარმოსდგა თვის სახელი „მარი-ალი“||„მარე-რი“||„მარც“ ჩვენ გვაქვს ძველ-ქართულში ასტრონომიული ტერმინი: „მარი-ოტა“.

სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ამ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის, ძველ-ქართულის წყაროებს ემყარება, ამ ტერმინის შესახებ შემდეგს ცნობას იძლევა:

„მარიოტა მას ცის გრკალსა ეწოდების, რომელსა ზედა მზე გაზაფხულისა ბუნიობასა ზედა ვალს“¹.

გაზაფხულის „ბუნიობა“ ეს არის გაზაფხულის მზის ქცევა (დღე-ღამის გასწორების წერტილი), რაც 20 მარტის დასრულებისას უწევს, 20 და 21 მარტის საზღვარზე².

შეადარეთ ამას მარიალის თვის ფარგლები. „მარიალი“ ქართულს კალენდარში, როგორც დადგენილია, უდრის თევზის ზოდიაკალურ ნიშანს, იწყება 19 თებერვლიდან და სრულდება 20 მარტს (ამ უკანასკნელი რიცხვის ჩათვლით), ე. ი. სწორედ მაშინ,

¹ იხ. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი (ქართული წიგნის გამოცემა, 1928 წ.) გვ. 196, სიტყვა „მარიოტა“.

² იხ. გვ. 421, 425 (საქ. მუხ. მონბე, VI).

როდესაც მზე გაივლის „მარი-ოტას“ ე. ი. მზის ქცევის (დღელამის გასწორების) ასტრონომიულ წერტილს. ცხადი ხდება ამის მიხედვით, რომ თვის სახელი „მარი-ალი“ და ასტრონომიული ტერმინი „მარი-ოტა“ ერთი წარმოშობისა არიან; მათი სახელების შეხვედრა ცხადია არ არის შემთხვევითი, რადგან ისინი ერთსა და იმავე ასტრონომიულ-ქრონოლოგიურ თარიღს უჩვენებენ.

აქედან კი ორი რამ ირკვევა.

ჯერ ერთი ის, რომ ტერმინი „მარი-ალი“. არა სდგას განმარტებით ძველ-ქართულ კალენდარში, არამედ დაკავშირებულია ძველ-ქართულ კალენდარის ასტრონომიულ განრიგებასთან და ძველ-ქართულს ასტრონომიულ ტერმინოლოგიასთან; აქ ჩვენ გვაქვს მაშასადამე მეტად მნიშვნელოვანი ჩვენება იმის შესახებ, რომ თვის სახელი „მარიალი“ ქართული კალენდარის ორგანიზული ნაწილია, მის ძირითად ფენს ეკუთვნის.

მეორე ის, რომ, „მარი-ოტას“ ასტრონომიული თარიღი, 20 მარტის ბოლო, ეთანხმება მარიალის თვის იმ ქრონოლოგიას, რომელიც ქართულს კალენდარშია მოცემული (= მე-7 თვე).

მარიალის თვის სახელთან, და მარი-ოტას (= მზის ქცევის) კალენდარულ თარიღთან დაკავშირებულია ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა ძველ-ქართული მითოლოგიისა. მაგრამ ამაზე აქ აღარ შევჩერდებით და მას ქვემოთ ცალკე თავში განვიხილავთ. იქვე შევხებით ეტიმოლოგიასაც ტერმინებისა: მარიალი (რომლის პირვანდელი ფორმა ყოფილა: *მარ-ი-არი|| *მარ-ი-ერი) და ასტრონომიული ტერმინისა მარი-ოტა.

აქ კი ჩვენი კვლევის მიზანი იყო მხოლოდ გამოგვეჩვენა მარიალის თვის ადგილი ძველ-ქართული კალენდარის რკალში. ხოლო ეს კითხვა, წარმოდგენილ განმარტებათა შემდეგ, დადგენილად ჩაითვლება¹.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

¹) შენიშვნაში საჭიროდ ვსთვლით აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ მარიალის და მარი-ოტას აქ განმარტებული თარიღი წარმოგვიდგენს წარმართული ქართული კალენდარის უკანასკნელს ფორმაციას, ე. ი. „ვერძის ეპოქას“. რაც შეეხება პრეცესიის წინარე რკალს, მას აქ აღარ ვეხებით, რადგან გამოკვლევის ამ პირველ ნაწილში, როგორც ეს ზევითაც გვქონდა აღნიშნული, ჩვენ ვაკვლევთ ძველ-ქართული კალენდარის მხოლოდ უკანასკნელს ფორმაციას, მის უკანასკნელს სტატიკურს მდგომარეობას.